№32 (299) ● 24 სექტემბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

## ორი გაზეთი ერთ გაზეთში

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი



### კობა არაბული:

ირაკლი ღარიბაშვილი მიუახლოვდა ქართული კულტურის საკრალურ სიმაღლეს — მუცოს! მიუახლოვდა არხოტს, ხოგაის მინდიას მითოსურ სამყაროს და იგი იწყებს შესვლას საკუთარი ერის და ისტორიის სიღრმეში მის გადასარჩენად!!!



### დავით საგანელიძე:

კოალიცია „ქართული ოცნება“ არ დაიშლება. გარწმუნებთ, კიდევ ექვსი წელი მაინც ერთად ვიქნებით...

## საპარლამენტო უმრავლესობა მარგველაშვილთან შეხვედრას ითხოვს

## „ჩვენი მთავარი ამოცანაა, ვაიძულოთ ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან წავიდეს!“

საიდუმლო გეგმა თუ „ნაცების“ შიზოფრენიული ხილვა?



გრიგოლ ფერაძე — სისხლით, ხორცით და სულით სამშობლოსთან შესისხლხორცებული

## უახლოეს დღეებში გავასაჯაროებ ყველა დოკუმენტაციას, რომელიც ლაშა ტუღუშთან დაკავშირებით ჩემი განცხადებების სისწორეს ცხადყოფს

## ტრიალებს თუ არა სომხურ-რუსული ფული ქართულ მედიაში?

**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**



ქვეყანაში დღეს შექმნილი სიტუაცია ძალიან ჰგავს 2001-2002-2003 წლებში არსებულ სიტუაციას, როცა „ნაციონალები“ „ვარდების რევოლუციისთვის“ გამალებით ემზადებოდნენ.

მათ ხელწერა არ შეუცვლიათ — იგივე ხასიათის პროვოკაციული განცხადებები, იგივე პიარტექნოლოგიები, შანტაჟი, ბინძური ცილისწამებები, უსაფუძვლო ბრალდებები, დეზინფორმაციების გავრცელება და, რაც მთავარია, ძირგამომთხრელი საქმიანობა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე.

**„ნაციონალები“ იქცევიან როგორც დამპყრობლები, რომლებიც ვერ ეგუებიან ერთხელ უკვე დაპყრობილი ქვეყნის დაკარგვას და ხელახლა ცდილობენ მის ოკუპაციას.**






დიახ, „ნაციონალები“ საკუთარი ქვეყნის დამპყრობლები იყვნენ, რომლებიც სასტიკად გაუსწორდნენ საკუთარ ხალხს, თუმცა რამდენად თვლიდნენ ისინი ქართველ ხალხს საკუთარ ხალხად, ეს კიდევ საკითხავია.

როგორც ვთქვით, „ნაციონალები“ ისევ ძველი „შპარგალკით“ მოქმედებენ, მაგრამ არავინ ჩანს ისეთი, ეს „შპარგალკა“ თავზე გადაახიოს ამ უტიფრებს და ქართული პოლიტიკის საკლასო ოთახიდან გამოაძევოს.

გამოძევებას ვინ ჩივის, უმცირესობაში დარჩენილები ისეთ ხმაურს და ღრიანცელს ტეხენ ხოლმე საკლასო ოთახში (დავარქვათ მას პირობითად პარლამენტი), რომ ამ გნიასში უმრავლესობის ხმა ხანდახან არც ისმის.

თუ არ ჩავთვლით ადამიანური რესურსების მცირეოდენ დანაკარგს, რაც რამდენადმე ლიდერის და პარტიული წვრილფეხობის იზოლაციაში გამოიხატა, „ნაციონალებმა“ თითქმის ყველაფერი შეინარჩუნეს, რაც ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ძარცვით, ყაჩაღობით, ძალადობით იშოვეს და მიიტაცეს — შეინარჩუნეს ბიზნესი, შეინარჩუნეს უზარმაზარი ფინანსები, შეინარჩუნეს მათ კონტროლს დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებები, მათი გობიდან ნაკვები არასამთავრობოები, მათი ჯიბიდან დაფინანსებული ე. წ. „პაგონიანი“ ჟურნალისტების კორპუსი, შეინარჩუნეს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში გაფანტული და ჩანერგილი „ნაციონალური“ კადრები, შეინარჩუნეს კავშირები სხვადასხვა გავლენიან და ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ წრეებთან.

„რუსთავი-2“-ი რომ „რუსთავი-2“-ია, რომელიც ყველამ იცის, რომ „ნაციონალების“ კერძო საკუთრებაა, ისიც კი შეინარჩუნეს და არა მარტო შეინარჩუნეს, როგორც ამბობენ, კიდევ უფრო გააძლიერეს და გააფართოვეს.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, „რუსთავი-2“-ის სარეკლამო შემოსავალი გასულ წელს 9 მილიონით გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ბიზნესის დიდი ნაწილი კვლავ „ნაციონალების“ ხელშია.

**პატივცემულო ხელისუფლებავ, კოალიცია „ქართული ოცნებავ“, თუ თქვენდამი მტრულად განწყობილი ამ ტელეკომპანიისთვის დაფინანსების წყაროების გადაკეტვაც ვერ ახერხებთ, ის მაინც გააკეთეთ, რისი გაკეთებაც ადვილად შეგიძლიათ — ნუ მისცემთ ინტერვიუებს „რუსთავი-2“-ს, ნუ მიიღებთ მონაწილეობას მათ პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ თოქ-შოუებში, შეუწყვიტეთ აკრედიტაცია პარლამენტსა თუ კანცელარიაში.**



**როცა თქვენ თვითონ არაერთგზის გითქვამთ, რომ „რუსთავი-2“-ი „ნაცმოძრაობის“, კერძოდ კი სააკაშვილის ტელევიზიაა, რატომ მიდიხართ საკუთარი ფეხით სააკაშვილის ტელევიზიაში და რატომ აძლევთ მას საშუალებას თქვენი მონაწილეობის ხარჯზე სრულფასოვნად იფუნქციონიროს, რეიტინგი აიმაღლოს, მაყურებელი შეინარჩუნოს?**



— ჩვენ პრესა გავათავისუფლეთ! — ამაყად აცხადებენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ეს მართლაც საამაყოა, მაგრამ უსახსროდ, უშემოსავლოდ, გაკოტრების პირას მისული ეს „თავისუფალი“ პრესა კვლავ „ნაციონალების“ ქერით სავსე ბაგას რომ მოადგეს არსებობის შესანარჩუნებლად, ამაზე თუ გიფიქრიათ?

„ნაციონალებმა“, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, პირველივე თვეებში, პირწმინდად ამოქაჩეს შევარდნაძის ხელმრუდი ჩინოვნიკების თუ კარის ბიზნესმენების მუთაქებში მოყუჩებული შავი ფული, მილიონები, მილიარდები, რითაც ორი კურდღელი ერთდროულად დაიჭირეს — პირადადაც იხეირეს და მეორე და მთავარი — მათ უკვე არსებულ თუ მომავალ ოპოზიციას დაფინანსების ყოველგვარი პერსპექტივა დიდი ხნით მოუსპეს.

ნამდვილად არ მოვუწოდებ ხელისუფლებას „ნაცმოძრაობის“ ის ბარბაროსული და ყაჩაღური მეთოდები გამოიყენოს, მაგრამ „ნაციონალების“ კუთვნილი ის „შავი ფული“, რომელიც ქვეყანაში ტრიალებს ან ქვეყნის გარედან შემოედინება, თუ დროულად არ იქნა ამოღებული, ეს „შავი ფული“ აუცილებლად დაბადებს შავ ძალას, რომელიც დროთა განმავლობაში ქვეყნის სტაბილურობას და მის განვითარებას დიდ საფრთხეებს შეუქმნის.

**„საერთო გაზეთი“**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

უცხოური პრესის მიხედვით

# ამერიკა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს თავისი გავლენის სფეროდ განიხილავს

## აშშ-რუსეთის ინტერესების შეჯახებამ შესაძლოა, საქართველოს სტაბილურობა შეარყიოს

**ამერიკის კონგრესის კანონპროექტი „აგრესიის პრევენციის შესახებ“ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას „ამერიკის სამხედრო მოკავშირის“ სტატუსს ანიჭებს. ამით სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ვაშინგტონთან ფართო თანამშრომლობის პერსპექტივა უჩნდება. გამოსაცდელ ვადაში სახელმწიფოებს სამხედრო რეფორმის გატარება ევალებათ, ხოლო პენტაგონს იმ გეგმის წარმოდგენა, რომელიც სამხედრო თანამშრომლობის გასაღრმავებლად მოლაპარაკებების ბაზის მომზადებას ითვალისწინებს.**



ექსპერტების ვარაუდით, ნატო-ში „ცალი ფეხით“ შესვლის ტოლფასი გადაწყვეტილება ამერიკამ იმიტომაც მიიღო, რომ წინასწარ იცოდა, უელსის სამიტზე ეს ქვეყნები ვერ მიიღებდნენ მაპ-ს — ალიანსში შესვლის „საგზაო რუკას“.

კავკასიაში საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის მოკავშირის ოფიციალურ სტატუსს იღებს. ამ გადაწყვეტილებას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს — ეს იგივეა, საქართველო ნატო-ს წევრი გამხდარიყო, მაგრამ მას არსებითი პრაქტიკული სარგებელი არ გააჩნია. ვაშინგტონი წამოაყენებს ხოლმე იდეებს და მათი უმთავრესი მიზანია, მკაფიოდ შემოფარგლოს რეგიონები, რომლებსაც თავისი პრიორიტეტული ინტერესების ზონად განიხილავს.

მნიშვნელოვანია, რომ ამერიკისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთთანამშრომლობაში ჩნდება „სამხედრო მოკავშირის“ ცნება და იგი იურიდიული ნორმა ხდება. წარსულს ჰბარდება თეზისი იმის შესახებ, რომ საქართველოსთვის ნატო-ს კარი დაკეტილი იქნება მანამდე, ვიდრე ქვეყნის „ტერიტორიული მთლიანობის“ საკითხი რამე ფორმით არ მოგვარდება. ალიანსის კარი საქართველოსთვის შესაძლოა ჯერჯერობით მართლაც დაკეტილია, მაგრამ ვაშინგტონმა თბილისისთვის შემოვლითი გზები ააგო. საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებთან სრულფასოვან სამხედრო და პოლიტიკურ თანამშრომლობას ტერიტორიული საკითხის მოუგვარებლად იწყებს. სწორედ აქ არის განსაკუთრებული მომენტი — ვაშინგტონს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორია კვლავაც საქართველოს რეგიონებად მიაჩნია. შესაბამისად, ამ ტერიტორიას იგი თავისი გავლენის სფეროდ მოიაზრებს და ამ სივრცეში რუსეთთან კონკურენციას აპირებს. თბილისსა და ვაშინგტონს შორის სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი გზავნილია მოსკოვისთვის იმის შესახებ, რომ რეგიონში დიდი გეოპოლიტიკური თამაში ჯერაც არ დამთავრებულა.

სახვალიოდ დღის წესრიგი მაინცდამაინც არ შეიცვლება, მაგრამ სამომავლოდ მას სერიოზული შედეგები მოჰყვება. ჯერ ერთი, ვაშინგტონს აქვს ამბიცია, კავკასიის რეგიონში რეგიონალურ პოლიტიკას განაგებდეს; მეორეც — თვითონ ცნება „მოკავშირე“ მსოფლიო „დერჟავასა“ და რეგიონულ მოთამაშეს შორის ამერიკის კანონის დონეზე გაწერილ მოცემულობად ყალიბდება.

რუსეთთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამოკავშირეო ურთიერთობაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავდაცვით სფეროში თანამშრომლობის საკითხებს. ამ შემთხვევაში მოკავშირე ქვეყნებს სამხედრო თანამშრომლობის მხრივ, გარკვეულწილად, მეტი გამოცდილება აქვთ, ვიდრე საქართველოს და ამერიკის შეერთებულ შტატებს. რეგიონი, რომელიც რუსეთისა და ამერიკის ინტერესების შეჯახების ადგილად ქცეულა, კვლავ კარგავს იმ ხელშესახებ სტაბილურობას, რაც 2008 წლის შემდეგ აქ გაჩნდა.

ვაშინგტონი ცდილობს მიანიშნოს მოსკოვს, რომ სამოკავშირეო ურთიერთობა მოსკოვსა, ერთი მხრივ, და მისგან აუღიარებელ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის არც ისეთი სერიოზულია, რომ სტატუს-კვოს შეცვლა არ სცადოს. ამიტომაც, რუსეთსა და მის კავკასიელ პარტნიორებს შორის ურთიერთობაში, სავარაუდოდ, ახალი ეტაპი დგება — უნდა გაჩნდეს რამე ახალი, რაც დაადასტურებს იმ პოლიტიკური მდგომარეობის ურღვევობას, რაც მოსკოვს, სოხუმსა და ცხინვალს შორის ფუნდამენტური და არა დროებითი კავშირით ჩამოყალიბდა.

# ბრუკლინელ დევნილს თვალი საქართველოზე უჭირავს



**ბრუკლინში სურსათის ბაზრობაზე დეკოლტეიან კომბინიზონებში ჩაცმულ ქალებსა და ტატუირებულ წვეროსნებს შორის თვალში მოგხვდებოდათ კაშკაშა მწვანე ფერის (ლიუმინესცენციურ) სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილი მიხეილ სააკაშვილი. მან ქოქოსის კაკლის ახალგამოწურული წვენი შეუკვეთა. „ჩემმა მეგობარმა, არაბთა გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა შეიხმა საქართველოს ოცი ათასი პალმა აჩუქა“, — უამბო გაზეთ The New York Times-ის ჟურნალისტს ექსპრეზიდენტმა. „პირადად მაჩუქა“, — დასძინა მან.**

სააკაშვილი ნებაყოფლობითი დევნილია და ნიუ-იორკში ცხოვრობს. „მას ჩაფიქრებული აქვს ტრიუმფული დაბრუნება, მაგრამ მისი ასეთი შერისხვა ერთგვარი მწარე გაკვეთილია ამერიკელი სახელმწიფო მოხელეებისთვის, რომლებსაც სააკაშვილი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დემოკრატიის სამაგალითო ექსპორტიორად ესახებოდათ“, — ვკითხულობთ გამოცემაში.

სააკაშვილი, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა, თავისი ბიძის ბინაში, უილიამსბურგის სანაპიროს ერთ-ერთ საცხოვრებელ კოშკში დასახლდა და ამ რაიონისთვის დამახასიათებელი „იდუმალი წარმოშობის სიმდიდრის“ მრავალწლიანი ტრადიციებით ტკბება. თუ კაფეში არ ზის, ველოსიპედით არ დაქრის და მეგობრებთან ერთად მარტოხელების საღამოებში არ მონაწილეობს, უკრაინული კონფლიქტითა და პუტინის ლანძღვით არის დაკავებული. ეს მისთვის მაშველი რგოლის ფუნქციას ასრულებს და ცდილობს ამით პოლიტიკური მნიშვნელობა კვლავ შეიძინოს.

სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ უკრაინული კონფლიქტი გახდება ბიძგი იმისა, რომ მისი, როგორც უგუნური ლიდერის რეპუტაცია გადაფასდეს.

ყოფილმა პრეზიდენტმა გაანიავა თავისი პოპულარობა. გამოცემის ინფორმაციით, ახლა იგი მემუარებს წერს, დიდ აუდიტორიებში გამოდის, რაშიც „კარგად უხდიან“, ვაშინგტონში გაურკვეველი მიზნების ანალიტიკური ცენტრის შექმნას აპირებს და თავის გულმხურვალე მხარდამჭერ სენატორებს (მაგალითად, მაკკეინსა და ნულანდს) სტუმრობს. ამბობს, რომ ახლა სტატუსის შეცვლის პროცესშია — ტურისტის ვიზის ნაცვლად სამუშაო ვიზის მიღებას გეგმავს. ბიძის სახლში ტერასაზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ დირექტორ პეტრეუსს უმასპინძლა, ხოლო თვის ბოლოს საფრანგეთის ექსპრეზიდენტ სარკოზის ელოდება.

სააკაშვილის მეგობრებს სურდათ, მისთვის ადგილი გამოენახათ მშობლიურ კოლუმბიის უნივერსიტეტში, მაგრამ, როგორც საქართველოს ყოფილი ლიდერის მუდმივი კრიტიკოსი ლინკოლნ მიტჩელი ამბობს, კოლუმბიის უნივერსიტეტი სიფრთხილეს იჩენს — ვაითუ, საერთაშორისო სასამართლომ სააკაშვილს ბრალდებები წაუყენოს. გარდა ამისა, საჯარო ადგილებში მისი საქციელითაც არიან შეშფოთებული.





# დავით საგანელიძე:

# ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის არანაირი ნიშანი არ არსებობს!

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, პარლამენტარი დავით საგანელიძე**

**— ბატონო დავით, მოდით, შეაფასეთ დღევანდელი პოლიტიკური რეალობა. ზოგიერთი ამბობს, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისიაო. შს მინისტრის განცხადებით, 500-კაციანი ზონდერჯგუფი მზადდება ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად, ამბობენ, ყოველივე ამის უკან „ნაციონალები“ და თვით მათი ბელადი მიხეილ სააკაშვილი დგასო.**

— პირველ რიგში, დიდი მადლობა, რომ მომეცა საშუალება თქვენი გაზეთის საშუალებით მკითხველს და მოსახლეობას ჩემი პოზიციები გავაცნო.

15 წელიწადია, პოლიტიკაში ვარ და მომავალზე ორიენტირებული, ისეთი მშვიდი სიტუაცია, როგორიც დღეს საქართველოშია, მე არ მახსოვს.

მთავრობა აკეთებს იმ საქმეს, რაც უნდა აკეთოს, პარლამენტი აკეთებს თავის საქმეს. ხარვეზები და პრობლემები ყოველთვის არის და იქნება, მაგრამ მთავარი ბარომეტრი არის საზოგადოება.

მე მჭიდრო კონტაქტები მაქვს საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან და არის ერთი განწყობა — ბიზნესი აბსოლუტურად თავისუფალია. არავითარი ზეწოლა არ არსებობს. სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი დოტაციები იდება, სული მოითქვა სოფელმა, თუმცა გარკვეული ხარვეზები არის — ნედლეულის მოპოვება, წიაღისეულის მოპოვება და ა.შ. ღიაა იპოთეკარების საკითხი. თუმცა ეს საკმაოდ რთული თემაა და ხელაღებით ამ პრობლემის გადაწყვეტა არ ხერხდება.

რთული პერიოდი იყო საპრეზიდენტო არჩევნებამდე, იმიტომ, რომ, როცა შენ ქვეყანაში რაღაცას ქმნი, პრიორიტეტებს წამოწევ, გაგაქვს ინფორმაცია ქვეყნის გარეთ, გსურს ინვესტიციები მოიზიდო, ქვეყანა განავითარო და ამ დროს მოქმედი პრეზიდენტი გამოდის და ყველას ეუბნება, რომ არ ღირს ამ ქვეყანაში ჩასვლა, ინვესტიციების ჩადება და ა. შ. მაგრამ ხანდახან, აი, რომელიმე გაზეთის პირველ გვერდს შეხედავ, ან რომელიმე ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამებს მოუსმენ და პირველი 15-20 წუთი აცხადებენ ისეთ რამეებს, რომ გგონია, სხვა ქვეყანაში ხარ, სადაც იქცევა და ინგრევა ყველაფერი. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალები სპეციალურად ახდენენ სიტუაციის გამუქებას და ამბობენ, რომ ეს არის პოლიტიკური კრიზისის ნიშანი და ა.შ.

როცა 10 000-ობით ადამიანი ქუჩაში ვიდექით, როცა პარლამენტის წინ გაუთავებელი მიტინგები, შიმშილობები, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების, საზოგადოების დიდი ნაწილის დარბევები, ტერორი და დაშინება მიმდინარეობდა, ის ადამიანები, რომლებიც დღეს პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობენ, მაშინ ამბობდნენ, რომ ყველაფერი კარგად იყო. ხალხს ხუთავდნენ გაზით, დაგვდევდნენ ხელკეტებით, ართმევდნენ ტელევიზიებს, პირდაპირ სიები იყო შემდგარი, როგორ უნდა დაესაჯათ სიის მიხედვით ადამიანები. ციხეები სავსე იყო იმ ხალხით, რომლებიც მათნაირად არ ფიქრობდნენ. დღეს 50 კაცი რომ შეიკრიბონ და ქუჩაში გაატარონ, ჩათვლიან, რომ ეს არის კრიზისი და ინგრევა ქვეყანა.

ხელოვნურად აზვიადებდნენ ფაქტებს და ამბობენ, რომ აი, კრიმინალმა მოიმატა. ძალიან მარტივია ამაზე პასუხი. მე დავინტერესდი, რომ უფრო ღრმად ჩამეხედა ამ სიტუაციაში და ჩვენი მკითხველი ძალიან ადვილად გაიგებს ყველაფერს. 2012 წლამდე კრიმინალის აღრიცხვა ხდებოდა ფურცლებზე რაღაც ბარათების საშუალებით. ამ ბარათებს მერე თვლიდნენ და ასე ადგენდგენ საბოლოო შედეგს. ამ ბარათების 99%-ის განადგურება ძალიან მარტივი რამე იყო. დღეს აბსოლუტურად ყველა სტატისტიკური მონაცემი, ყველა დანაშაული და განცხადება, სატელეფონო ზარი აღირიცხება ერთიან სისტემაში, რომელიც უცებ გადადის ცენტრალურ სერვერზე და ძალიანაც რომ მოინდომო, ვერც ერთ ინფორმაციას ვერ დამალავ და ვერ გააქრობ, ვერ წაშლი სისტემის მეხსიერებიდან.

ზოგიერთი რაიონის პოლიციის უფროსის სიტყვებს დავესესხები: ადრე რაიონში 6 ყაჩაღობა რომ ხდებოდა და თვეში 40 კრიმინალური დანაშაული, საბოლოო ჯამში, აღირიცხებოდა თვეში 4 შემთხვევა.

ფაქტობრივად, დამალვა ხდებოდა დანაშაულობების.

ახლა ამას ვერ გააკეთებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშკარად უკეთესი სიტუაციაა.

ამიტომ ვამბობ, მასმედიას დიდი ძალა აქვს. თქვენ შეგიძლიათ საზოგადოების განწყობა შემოატრიალოთ, მაგრამ, როცა დღეს მედიის ნაწილი დაკვეთით მოქმედებს, ხალხის ნაწილს მართლაც ექმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაც საშინელება ხდება.

დღეს რა სიტუაციაც არის ბიზნესში, სოფლის მეურნეობაში, სამართალწარმოებაში, საპარლამენტო მუშაობაში, ეს აჩვენებს, რომ ვართ დემოკრატიული, ნორმალური ქვეყანა, სადაც აკეთებენ საქმეს, და, რაც მთავარია, ყველა პროცესი გამჭვირვალეა. დღეს ყველამ ყველაფერი იცის — ხელფასი ვის რამდენი აქვს, გამოიწერა თუ არა პრემია, რომელი მინისტრი რითი სუნთქავს, ვინ ვისი ახლობელია.

იცოდა ადრე ვინმემ ეს?

**— სხვათა შორის, ნაციონალები ხშირად საუბრობენ ახალ ხელისუფლებაში ნეპოტიზმის შემთხვევებზე.**

— რაღაცაზე რომ უნდა ილაპარაკონ. რაიმეთი ხომ უნდა შეიქმნან დამცავი კედელი, ზღუდე, რომ სალაპარაკო ჰქონდეთ.

აბა, რა ილაპარაკონ, როცა მათი ლიდერი ამ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამნაშავე აღმოჩნდა. კაცზე, რომელიც მილიონებს ფლანგავდა თავის ხუშტურებზე, ახლა რა თქვან, აღარ იციან.

**— დღეს ქართული მედიასივრცე სავსეა ნაციონალების მიერ გადადგმული თუნდაც მცირე ნაბიჯების რეკლამირებით. ხომ არ ფიქრობთ, რომ ახალი ხელისუფლება ვერ მუშაობს მედიასთან, არ უთმობს მას მნიშვნელოვან ყურადღებას და მედიაც ძველი პატრონების თუ მოძალადეების ხელში კვლავ მანიპულირების იარაღად რჩება?**

— როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ჟურნალისტიკა გასცდა თავისი მოქმედების სფეროს და პოლიტიკური დაკვეთის, ან პოლიტიკური ინტერესის იარაღად იქცა, მივიღეთ პოლიტიკური დაკვეთებით ანგაჟირებული მედია. მერე, თითქოს, სურთ, რომ ითამაშონ, თითქოს, აი, ობიექტურად აშუქებენ და ყველა მხარეს აძლევენ აზრის გამოთქმის საშუალებას, მაგრამ დაკვირვებული თვალი ძალიან კარგად დაინახავს, საბოლოო აქცენტი სადაა გაკეთებული.

წეღანაც გითხარით, როცა ქვეყანაში აბსოლუტური სიწყნარე, სიმშვიდეა, ჩართავ ტელევიზორს, ან წაიკითხავ ზოგიერთ გაზეთს და გგონია, რომ დაბომბვის ქვეშ ხარ, კრიმინალს მიაქვს ყველაფერი და ა.შ.

ესაა მიზანმიმართული ქმედება და ანალოგიური ხდებოდა 2000 წლის დასაწყისში, როცა შევარდნაძეს და მის ხელისუფლებას ებრძოდნენ. ახლაც ფიქრობენ, რომ ანალოგიური მეთოდები გამოიყენონ, მაგრამ საფუძველი არ აქვთ. ხალხი ყველაფერს ხედავს. ისევ დავუბრუნდები თქვენს პირველ კითხვას და გეტყვით, რომ ის ილუზია, თითქოს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, ესაა ტყუილი.

**პოლიტიკურ კრიზისს ჩვენ, კოალიციაში შემავალი პარტიები თუ შევქმნით ძალით, თორემ კრიზისი არ არსებობს!**

მეტსაც გეტყვით, დღეს საქართველოში ოპოზიციაც არ არსებობს. ვითომ ოპოზიციის ნაწილი, რომელშიც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები არიან და ისინიც პოლიტიკური კარიერის დასასრულს უახლოვდებიან, თავი გატეხილი აქვთ და კუდით ცდილობენ ზიანი მოგვაყენონ. სხვა ოპოზიციური ძალებიც ძლივს სუნთქავენ.

თითქმის მთელი ცხოვრება პოლიტიკურ ოპოზიციაში გავატარე და მინდა ვთქვა, რომ ოპოზიცია ქვეყანას სჭირდება და იმედია, ოდესმე ნამდვილი ოპოზიციური ძალა შეიქმნება. თუმცა ჰორიზონტზე ჯერ არაფერი ჩანს.

**— კვლავ პრესის თემას განვაგრძობ. ერთმა გაზეთმა თქვენი „აგენტობის“ დამადასტურებელი „დოკუმენტი“ დაბეჭდა. თქვენ იმ ხანებში ამბობდით, რომ დაამტკიცებდით ამ ბრალდების სიყალბეს. ჯერჯერობით ეს ვერ მოახერხეთ. რატომ?**

— **გარკვეულ ხანს მეგონა, რომ ასეთი პროვოკაციები მხოლოდ ნაციონალებისგან მოდიოდა, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ აქ, ასე ვთქვათ, შინაურების ხელიც ერია**. პირადად ჩემზე ვლაპარაკობ. სხვებზე ვერაფერს მოგახსენებთ. იმ პერიოდში, როცა ამ ვითომდა ხელწერილების ფრიალი დაიწყო იმ გაზეთმა, ჩემს საკადრო გადაადგილებებზე იყო საუბარი და როგორც ჩანს, ამით ბიძინა ივანიშვილის თვალში ჩემი დისკრედიტაცია უნდოდათ. მე ავუხსენი ყველაფერი ბატონ ბიძინას და მან შესანიშნავად გაიგო, რაც ვუთხარი.

ეს ტყუილი იმ ძალისგან წამოიწია, რომელიც თავს, სამწუხაროდ, მასმედიას ეძახის, მაგრამ რატომღაც მედიის სხვა წარმომადგენლებმა ამაზე საუბარი არ ისურვეს, არადა, ასეთი ტიპის მედიის წარმომადგენელი სხვებსაც უტეხს სახელს. რა სახის კომპრომატი შეიძლება ჩემზე არსებობდეს? მეცინება. თუ რამე აქვთ, ყველაფერი გამოიტანონ. მაგრამ ერთს გეტყვით, 5 წლის წინ მოვიყვანე ცოლი და შეიძლება, მანამდე, სადმე, ქალბატონებთან შეხვედრების ფოტოები ან კადრები არსებობდეს. სხვა რა უნდა იყოს, არ ვიცი.

ეს არის სამარცხვინო რაღაც. რატომ ჩაიგუბეს ჟურნალისტებმა მაშინ პირში წყალი?! დაიწყეთ გამოკვლევა. გამოიძიეთ, ვინაა საერთოდ ეს ხალხი და საიდან მოვიდნენ?! თუ ასეა, დავწერ ახლა მეც რაღაცას, ადრე ანონიმშიკები რომ იყვნენ, ისე, ყველას ფაქსიმილეს გადმოვიღებ და ამტკიცოს მერე ვინმემ, რომ მისი ხელმოწერა არაა.

ვიღაცამ უნდა მიიყვანოს ამ პროვოკატორების და შანტაჟისტების საქმე ბოლომდე, თუ არადა, არ დამთავრდება ეს ამბავი. თუ ერთმა სალახანამ ცხვირი არ წაიმტვრია, ხვალ მაგისთანა 100 გაჩნდება.

მე რომ ხმა არ ამოვიღე ამ საქმეზე, ამას ვერავინ დამწამებს.




**გარკვეულ ხანს მეგონა, რომ ასეთი პროვოკაციები მხოლოდ ნაციონალებისგან მოდიოდა, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ აქ, ასე ვთქვათ, შინაურების ხელიც ერია.**

# კოალიცია „ქართული ოცნება“ არ დაიშლება. გარწმუნებთ, კიდევ ექვსი წელი მაინც ერთად ვიქნებით...

ზოგიერთი მეუბნებოდა, არ ღირს ამ აბსურდზე ამბის ატეხვა, იქ 100-მა კაცმა წაიკითხა და რომ ახმაურდე, მილიონი გაიგებსო. მაგრამ მე არ ვაპირებ მაგ თემას მოვეშვა.

მინდა გითხრათ, რომ პროკურატურა ამ საქმეს იძიებს და, ალბათ, დასკვნებიც მალე დაიდება.

**— ბრძანეთ, რომ „ნაცმოძრაობა“ ოპოზიცია არ არის. რამდენიმე ხნის წინ თქვენ პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადეთ, რომ რეჟიმს, რომელსაც 200 პოლიტპატიმარი ჰყავდა, თავისი უნდა მიეზღოს.**

— როცა პოლიტპატიმრების ამნისტია გამოვაცხადეთ, ამით ჩვენ ყველაფერი ვთქვით.

დღეს პოლიტპატიმრების თემა მართლაც პრობლემურია, ბევრი საუბრობს ამაზე, თუმცაღა ეს აქტიურობა არაა საკმარისი.

რეჟიმის დამნაშავეები, იგივე მერაბიშვილი, ახალაია, სხვები, დაპატიმრებულნი არიან. თუმცა ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკოსი არ გვიწონებს ამ ნაბიჯს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას.

„ნაციონალების“ სხვა წარმომადგენლების დასჯას რაც შეეხება, ეს პროკურატურის საკითხია და არ ვიცი, ვერ ჩავერევი პროკურატურის საქმეებში.

მე შემიძლია როგორც პარლამენტარმა, პოლიტიკოსმა, გავაკეთო პოლიტიკური განცხადება. გამოვედი, მივუთითე და მოვთხოვე კიდეც პროკურორს. როცა უკმაყოფილო ვიყავით ჩვენ პროკურატურის საქმიანობით, შევცვალეთ კიდეც.

**— რამდენიმე დღის წინ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საკითხი დააყენა საზოგადოების წინაშე. მიგაჩნიათ, რომ არის ამის ან წინაპირობა, ან აუცილებლობა?**

— ნინო ბურჯანაძეს თავისი წარმომადგენლობიდან პარლამენტში არავინ არ ჰყავს და როგორც ჩანს, იმედი აქვს, თუ არჩევნები ჩატარდება, ბარიერს გადალახავს და შევლენ პარლამენტში. ბუნებრივია, ეს მისი სურვილია, მაგრამ რა ხდება ქვეყანაში ისეთი, რომელმაც შეიძლება ეს გადაწყვეტილება მიგვაღებინოს, ჩემთვის გაუგებარია და თუ ქალბატონი ნინო გვეტყვის, ძალიან კარგი იქნება.

მე ამის საჭიროებას ნამდვილად ვერ ვხედავ.

რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, ზოგ შემთხვევაში, საჭირო და აუცილებელია, როცა ქვეყანაში სერიოზული ფორსმაჟორული სიტუაციაა, მაგრამ დღეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას




თუ სურს საარჩევნო მარათონში მონაწილეობა მიიღოს, შეიძლება პარლამენტში ვერც მოხვდეს, მაგრამ ტრიბუნა ექნება და ა.შ. თანაც პოლიტიკური პარტია იმას ხომ ვერ იტყვის, არ მინდა რიგგარეშე არჩევნებიო?! ვინც გარეთაა, ყველას სურს ეს. რაც შეეხება ქალბატონ ნინოს, თუ დაასაბუთებს, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გადაუდებელი აუცილებლობაა, მაშინ შეიძლება პოლემიკაში შესვლა.

**— „ქართული ოცნების“ დეპუტატებს საპრეზიდენტო არჩევნებამდე თქვენს წინააღმდეგ წერილი გაუგზავნიათ ბიძინა ივანიშვილისთვის. რა შინაარსის იყო ეს წერილი? სხვათა შორის, იმ ბარათის ერთ-ერთი ხელმომწერი მურმან დუმბაძეც ყოფილა, რომელიც ოპოზიციაში გადავიდა.**

— ერთი წლის წინ, არჩევნების დროს, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ვიყავი და, სხვათა შორის, საპრეზიდენტო არჩევნებშიც შტაბის ხელმძღვანელი გახლდით, თავისთავად ცხადია, როცა რაიონებში შტაბის ხელმძღვანელობას ნიშნავ, ზოგიერთებს რაიონებში და განსაკუთრებით, მაჟორიტარებს ჰქონდათ სურვილი, რომ ან თვითონ ეხელმძღვანელათ, ანდა მათ მიერ ნდობაგამოცხადებულ პირებს. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, რომ მაჟორიტარი შეიძლებოდა ყოფილიყო შტაბის ხელმძღვანელი, რადგან შტაბი, ეს არის ცენტრალიზებული, სამხედრო ტიპის სისტემა და შეუძლებელი იყო ჩემი კოლეგებისთვის, დეპუტატებისთვის მომეთხოვა ისეთივე 24-საათიანი მუშაობა, როგორც შტაბის ხელმძღვანელებს ვთხოვდი რაიონებში, ამიტომაც მათი მოყვანილი ხალხი ჩემს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. ამან გამოიწვია ჩემსა და ზოგიერთ დეპუტატს შორის გარკვეული უთანხმოება. მათ შორის იყო **ზაქარია ქუცნაშვილი, მურმან დუმბაძე, დავით ლორთქიფანიძე, ომარ ნიშნიანიძე** და სხვები. მათ მერე ჩათვალეს, რომ უნდა დაეწერათ, რომ, აი, დათო საგანელიძე ისეთი უსამართლოა, რომ ჩვენ, დეპუტატებს, არ გვიჯერებს, თითქოსდა, ვინმესთვის, რატომღაც უნდა დამეჯერებინა და მათ ჭკუაზე უნდა მევლო და დაწერეს წერილი ბატონი ბიძინას სახელზე: გაათავისუფლეთ საგანელიძე უმრავლესობის ლიდერის თანამდებობიდანო. ამ წერილს ხელს 12 თუ 14 ადამიანი აწერდა. მინდა გითხრათ, რომ მერე, დაახლოებით, ათი მოვიდა და ბოდიში მომიხადა — ეს გაუგებრობა იყო, ადამიანები დადიოდნენ და ხელის მოწერას გვთხოვდნენ წერილზეო.

**— ვინ მოდიოდნენო?**

— გვარებს არ დავასახელებ და მერე აღმოჩნდა, რომ იქედან ერთი, აგერ, ოპოზიციაშია — მურმან დუმბაძე. იგი ახლა ამბობს, რომ ოპოზიციის ფლაგმანი იქნება, მეორე კობა დავითაშვილია, რომელმაც ასევე დატოვა უმრავლესობა და თავისი მიზნები აქვს.

აი, ეს იყო, მაგრამ ამან ჩაიარა და ის ადამიანები, რომლებთანაც მუდმივად მქონდა კამათი და დაპირისპირება, გამოვლინდა ყველას მიზნები — ვინ, სად, როგორ, რანაირად. დანარჩენები, ჩემი მეგობრები და კოლეგები მიხვდნენ, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და აბსოლუტურად სწორი იყო ჩემი პოზიციები. ჩემი ასეთი პრინციპული პოზიცია რომ არა, იმ შედეგებს ვერ მივიღებდით, რაც მივიღეთ. აუცილებელი იყო ასე გვემოქმედა, ცხოვრებაში რომ გაგვეტარებინა ის ამოცანები, რასაც პოლიტსაბჭო ღებულობდა. ეს იოლი არ იყო.

112 000 ადამიანი არჩევნების დღეს კონკრეტულად საქმის კურსში იყო და გაწერილი მქონდა, კონკრეტულად იმ დღეს რა უნდა გაეკეთებინათ და ამის მართვა სერიოზული საკითხი იყო.



მე მგონი, შედეგები გამოჩნდა.

დღეს განაწყენებულნიც იქნებიან. ეს ბუნებრივია, ზოგი იმის გამო, რომ, მაგალითად, აჭარაში ყველა მინისტრი და საკრებულოს თავმჯდომარე მისი სურვილით ვერ დაინიშნა.

მურმან დუმბაძეზე მე კატეგორიული მოთხოვნა მქონდა, როცა ადგილობრივი არჩევნების პერიოდში აჭარის ყველა რაიონში მის მიერ წამოყენებული კანდიდატურა სურდა რომ დანიშნულიყო. კი, მაჟორიტარს ჩვენ აზრს ყოველთვის ვეკითხებით, მაგრამ ყველაფერს მისი სურვილით ვერ გავაკეთებთ.

**— აჭარაში ამბობდნენ, დუმბაძის დასტურის გარეშე დამლაგებელიც არსად არ ინიშნებაო.**

— რას ნიშნავს ეს, მეორე ასლან აბაშიძეობა მოუნდა: მისი თავნებობა იქამდე მივიდა, რომ იქ აიყოლია ადამიანთა ჯგუფი, მოახვია თავზე გავლენები და უსიამოვნებები იწყებოდა. როგორც კი ავუხსენით მას, ვერ გაიგო, პარტიული სასჯელი დაეკისრა, ახლა თურმე ოპოზიციაში გადამხტარა და იქედან იმუქრება თუ რაღაც, ეს არის მისი სახე და იქ არის მისი პოლიტიკური ადგილი.

მე, საერთოდ, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოში დესტაბილიზაცია დაიწყება. მით უფრო, დესტაბილიზაციის მოსურნეები თუ მურმან დუმბაძის იმედზე არიან, კარგად ყოფილა მათი საქმე.

**კომენტარსაც არ გავაკეთებ „ნაციონალების“ და მურმან დუმბაძის მიერ მოსაწყობ დესტაბილიზაციაზე. ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ „ნაციონალებს“ მურმან დუმბაძე.**

**— ისევ პრესას დავუბრუნდები, სადაც სარკესავით ირეკლება საზოგადოებრივი პროცესები. სამწუხარო ტენდენციაა, მედიასაშუალებების ნაწილი ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციით არის დაკავებული.**

— ის, რომ „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას მოახერხებენ, ეს არის აბსურდი. ვინ უნდა მოახერხოს ეს, მიწასთან გასწორებულმა ადამიანებმა, რომლებმაც საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინეს უკვე დიდი ხანია?! ესენი ვერავის ვერაფერს დაუშავებენ, ეს ერთი, მეორე, ბატონი ბიძინა არ არის ისეთი ადამიანი, ასეთი ხალხის კიჟინზე ან ისტერიკაზე თავისი ქვეყანა მიატოვოს. ქვეყანა, რომელიც ასე უყვარს და ამხელა რისკებზე წავიდა, მესამე, ბატონ ბიძინას ძალიან დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, პოლიტიკური მენტალიტეტის ჩამოყალიბებაზე, შეხედულებებზე. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ 10 დღის წინ ერთ გაზეთს მისცა ინტერვიუ და იმის მერე დღემდე ყველა საინფორმაციო იწყება ამ ინტერვიუს ფრაგმენტით. მიდის განხილვები, დებატები, მსჯელობენ ექსპერტები და ა. შ.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ საერთოდ ხმა რომ არ ამოიღოს, გავლენა აქვს ძალიან დიდი.

**ზოგიერთი ამბობს, ის მართავს ამ ქვეყანას და ა. შ. ბატონი ბიძინა არ მართავს ამ ქვეყანას, მისი, უბრალოდ, ზოგიერთებს ეშინიათ და იმიტომ ელანდებათ ყველგან.**

თუ გვექნება იმის ბედნიერება, რომ ჭკვიან ადამიანს ჰკითხო რაღაც, რატომ არ უნდა ჰკითხო? იყო დრო, დღეში სამი-ოთხჯერ მქონდა ბატონ ბიძინასთან შეხვედრის საშუალება და დღეს ვწუხვარ, რომ ასეთი სიხშირით ვერ ვხვდებით.

ეს ადამიანი ძალიან კარგი ფსიქოლოგია. მან იმდენად ღრმად იცის ადამიანის ფსიქოლოგია და საზოგადოების მართვის ხერხები, რომ ძალიან საინტერესოა ხოლმე მისი ხედვები და ანალიზი. ამ ბოლო ინტერვიუს შემდეგ კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ნაადრევი იყო მისი პოლიტიკიდან წასვლა.

კოალიციის დაშლაზე საუბარი კი ცოტა ნაადრევად მეჩვენება, თუმცა კოალიცია ოდესმე დაიშლება ისევე, როგორც საბჭოთა კავშირი დაიშალა. ევროგაერთიანებაც დაიშლება, როცა ადრო მოვა, მაგრამ უნდა გითხრათ, კოალიცია შემდეგი საპარლამენტო ვადის გასვლამდე არ დაიშლება. ორ წელიწადში კოალიცია ისევ ერთიანი ძალით გამოვა არჩევნებზე, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, შემდეგი ოთხი წელიც ერთად ვიქნებით. მერე ცხოვრება გვანახებს. ექვსი წელიწადი ნამდვილად ერთად ვიქნებით.

მომავალში კოალიციის ოპონენტებად „ნაცმოძრაობას“ ვერ ვხედავ, რადგან, როგორც სპორტში საბრძოლველად უნდა ემზადებოდე იმის წინააღმდეგ, ვინც მზარდია და არა იმის საპირისპიროდ, ვინც უკვე იყო არსებობის პიკზე, ყველაფერი გადაჭამა, თავის თავს ხარაკირი გაუკეთა, დღეს მისი ნარჩენებია დარჩენილი და იმისგან წინააღმდეგობას უნდა ველოდეთ? მეტი არ იყოს ჩვენი მტერი.

მათ აქვთ ინტრიგების ხლართვის, დემაგოგობის უნარი, ფლობენ გადაბირებულ და მართულ ჟურნალისტებს და ესაა მათი ძალა. პოლიტიკურ სიმაღლეებზე ისინი ვეღარ ავლენ. პირიქით, ნელ-ნელა ჩაქრებიან და ასე დაამთავრებენ პოლიტიკურ გზას.

**— ხშირია საუბრები პრეზიდენტის უცნაურ ქმედებებზე. ეს არ ქმნის ერთგვარ დაძაბულობას მთავრობის შიგნით ან საზოგადოებაში, ზოგადად?**

— დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში ყველაზე დიდ პრობლემას სწორედ აქ ვხედავ. არ არის ჰარმონიული დამოკიდებულება პრეზიდენტს, უმაღლეს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის. განა რაიმე შავდება, მაგრამ არ არის სასიამოვნო, როცა ასეთი მითქმა-მოთქმა ისმის.

გიორგი მარგველაშვილი ჩვენ, ერთმა გუნდმა დავაყენეთ საპრეზიდენტო კანდიდატად. ვეხმარებოდით და ისიც გუნდთან ერთად მოვიდა ხელისუფლებაში. მერე გადაწყვიტა, რომ ამ გუნდის წევრი არ უნდა იყოს? ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი პოზიციაა.

როცა პრეზიდენტი ხარ, ეს არ ნიშნავს, რომ არც ერთი პოლიტიკური გუნდის წევრი არ უნდა იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იმ გუნდის წევრი უნდა იყო, რომელმაც ნდობა გამოგიცხადა და იმ ხალხის, რომელმაც ამ გუნდს ნდობის მანდატი მისცა.

კონსტიტუციაც პრობლემაა, თავისთავად. ეს არის დამახინჯებული დოკუმენტი მიხეილ სააკაშვილის ინტერესების სასარგებლოდ.

ჩვენ გადავედით რესპუბლიკური მმართველობის მოდელზე, მაგრამ ხარვეზები დარჩა, რასაც ვიღაცები ხელზე იხვევენ, მაგრამ იმედს ვიტოვებ, კონსტიტუციის ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობები მალე მოგვეცემა.

მიუხედავად ყველაფრისა, ვფიქრობ, მოხდება ერთ მაგიდასთან დაჯდომა, გაუგებრობების გარკვევა და „ოჯახის“ პრობლემები „ოჯახში“ გადაწყდება და არა გარეთ. მაგრამ ოჯახში რომ გადაწყდეს პრობლემები, ამ ოჯახის წევრად უნდა წარმოიდგინო თავი.

თუმცა, ფაქტია, რომ ეს კაცი ძალიან შეიცვალა. დაიბნა, ეტყობა, ჩაიკარგა სიტუაციაში და გაერკვევა, ალბათ, იმედია.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# საპარლამენტო უმრავლესობა მარგველაშვილთან შეხვედრას ითხოვს?

## ომარ ნიშნიანიძე: „ამიხსნას, მარგველაშვილმა რაში მდგომარეობს მისი ხედვა, რომ აუცილებლად, უნდა იყოს კონკურენციაში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ვთქვათ, მთავრობასთან? დიახ, აგვიხსნას, იქნებ ჩვენ დავბრმავდით“?



**„საერთო გაზეთი“ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატს ომარ ნიშნიანიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ომარ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახლახან, თქვენ და რამდენიმე დეპუტატი ივანიშვილისთვის საგანელიძის საწინააღმდეგო წერილის მიწერას მეორედ აპირებდით, ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას? თქვენსა და უმრავლესობის ლიდერს შორის კვლავ შავმა კატამ გაირბინა?**

— შესაძლოა, ასეთი რამ ვიღაცას გუნებაში ჰქონდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მსგავსი მოლაპარაკება არ გვქონია. ასე რომ ყოფილიყო აუცილებლად, გეტყოდით, მე უკან დამხევი იცით, რომ არ ვარ და მივწერდით კიდეც, რომ გვდომოდა. მე საგანელიძეს ჩემი სათქმელი უმრავლესობის შეხვედრაზე ვუთხარი. ახლაც ვეტყვი თუ რამე მექნება სათქმელი, არ მერიდება. სათქმელი უნდა ითქვას ბოლომდე. ვიმეორებ, არ დაგვიპირებია ივანიშვილისთვის წერილის მიწერა, თუ დავაპირებდით მივწერდით კიდეც. ვადასტურებ, რომ უკმარისობის გრძნობა, საგანელიძეს მიმართ გვქონდა და ჩემი აქტიურობის შედეგად შედგა შეხვედრა უმრავლესობასთან და მის ლიდერთან. ახლა მსგავსი არაფერი ხდება, თორემ ხუშტური კი არ იყო ის, რასაც ვამბობდით. საერთოდაც, ჩვენ ერთი გუნდის წევრები ვართ, შეიძლება ბევრი რამ არ მოგვწონს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა დავერიოთ ერთმანეთს, მით უმეტეს, მაშინ, როცა ასეთი ბოროტი ძალა გვყავს გვერდით ნაცმოძრაობის სახით. აი, თუნდაც ამის გამო რაღაცეებმა უნდა გადაიწიოს უკან, იგივე პირადულმა წყენამ, მთავარია სახელმწიფოებრივი ხედვა და აზროვნება გვქონდეს. ჩვენ ამ კინკლაობაში უფრო დიდი და კარგი საქმე ხომ არ უნდა დავაზიანოთ, არა ? ამიტომ რაღაცეებზე შეიძლება შევიკავოთ თავი, მაგრამ თუ შევატყობთ, რომ ამ თავშეკავებით საქმე ფუჭდება, მაშინ, მე პირადად თავს შევიკავებ კი არა, შევაკლავ.

**— ანუ საგანელიძეს მიმართ პრეტენზიები აღარ გაქვთ?**

— ამ წუთას არა. და საერთოდაც, ჩვენ მისგან ისეთს არაფერს ვითხოვდით - მეტ აქტიურობას. დავითი უნდა იყოს ჩვენი წარმართველი ძალა, აი, მე მაგალითად, ჩემს სადეპუტატო უფლებამოსილებას ხანდახან ვერ ვახორციელებ. რატომ იცით? არ ვარ ცნობადი სახე, ახალი დეპუტატი ვარ (კი მართალია, 30 წელია პროფესორი ვარ, უნივერსიტეტში ვასწავლი, მაგრამ ხალხი მაინც ნაკლებად მიცნობს) და ამიტომ. ეს თავისებურ გავლენას ახდენს, პოლიტიკური წონა მას მეტი აქვს, ვიდრე მე, ამიტომ ხანდახან მჭირდება მისი დახმარება, ანუ ჩვენ გვჭირდება მისი გვერდში დგომა, თუნდაც, ის, რომ იკითხოს, როგორ ხართ ბიჭებო, რამე ხომ არ გაფერხებთ უფლებამოსილებაში, ეს ჩვეულებრივი ამბავია ხომ, ანუ ჩვენი გულშემატკივარი უნდა იყოს, ისევე, როგორც მე ვარ მისი.

აი, ეს იყო და ეს. ბოლოს გვითხრა, დამირეკეთ ხოლმეო. შეიძლება ჩვენი ბრალიცაა ეს გაუგებრობა, რომ იყო, მაგრამ პასუხიმგებლობა უნდა გავინაწილოთ.

**— რაც შეეხება პარტია „ქართული ოცნების“ გაძლიერებას, უკმაყოფილო იყავით, რა შეიცვალა ამ მხრივ?**

— დიახ, ჩვენ, ფაქტობრივად, პარტია ვერ გავაძლიერეთ. სხვათა შორის, ბატონმა პრემიერმა განაცხადა, რომ ჩვენი სურვილი და მცდელობა ამ წუთას უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ პარტია გავაძლიეროთ, რაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები პრემიერს. აი, ჩვენი კოლეგა პარტიები რომ არიან იმ დონეზე მაინც, რომ მივიდეთ. ისინი გამოცდილი პარტიებია, ჩვენ კი, ახალი პარტია ვართ. პრემიერმა ბრძანა, რომ აღმასრულებელ მდივანს და გამოცდილ ადამაინებს დაუძახებენ, ჩაგვიყენებენ სათავეში და პარტიული მშენებლობა, ბოლოს და ბოლოს, დაიწყება. წინ არჩევნები გვაქვს. და ხომ ხედავთ, ეს ბოროტი ძალა, რასაც ნაცმოძრაობა ჰქვია, ეს ქვეყნის დამაქცევრები, უხსენებლები, როგორ მაღალ ფეხებზე არიან... ახლაც, პარლამენტში, რაფალიანცის საქმეზე როგორ გაიქაჩ-გამოიქაჩნენ, თითქოს არიქა, ჩვენ გავაფუჭეთ რამე, თავად გააფუჭეს, რაც გასაფუჭებელი იყო (მერე გადმოგვეცა ჩვენ ეს საქმე, იმ ერთ თვეში გააქრეს კვალი) და ახლა აგვიტეხეს ერთი ამბავი. ესენი ძალიან გამოცდილნი და შებერტყილნი არიან, ესეთი ბოროტი ძალა, რომელიც ჩვენს წინ დგას ქვეყანას არ ჰყოლია. ჩვენ ეგენი უნდა მოვსპოთ, უნდა ამოვძირკვოთ, რასაც ჯერ კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება. დიახ, ეს აუცილებელია, რადგან ასეთი ბოროტი ძალა საქართველოში არ ყოფილა, მე ისტორკოსი ვარ და ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

**— ამ ბოროტ ძალასთან აპირებს მარგველაშვილი გადაჯდომას?**

— მან უკეთ იცის რას აპირებს და რას არა, მე ვერაფერს გეტყვით. რაც მე მაგ კაცი მიქია და ტყავი გადამძრომია, მაგრამ რად გინდა, თუმცა ჩემი ერთი რჩევა გაითვალისწინა. თუ გახსოვთ პირველმა მე ვთქვი, ოჯახთან დაკავშირებით... საპრეზიდენტო არჩევნების დროს სვანეთში ვიყავი (როგორი ტრადიციული ხალხია, მოგეხსენებათ) და გამოთქვეს საყვედური, პირადი ოჯახი არ აქვსო. მერე ერთმა ჟურნალისტმა მკითხა რა თქვეს სვანებმაო, ხომ არ უწუნებენ იმას, რომ დაოჯახებული, არ არისო, მეტს აბა, რას დაუწუნებენ, კარგი კაცია-მეთქი, ვუპასუხე. ამის მერე რამდენიმე თვე მგონი, ხმას არ მცემდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ხომ გაითვალსიწინა ჩემი რჩევა. გამოდის, ერთი კარგი საქმე მისთვის მაინც გავაკეთე ხომ (იცინის), დანარჩენი, რავიცი, რა გითხრათ, არ ვიცი, რა დაემართა ამ კაცს. ჩემი შვილი, ნათესავები და ზოგადად ჩემი მოდგმა არ მიქია ისე, როგორც ეს კაცი და ახლა, სიმართლე გითხათ, ცოტა გაკვირვებულიც დავრჩი. მე კი არა, ბატონი ბიძინა დარჩა გაოცებული. ინაუგურაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, განაცხადა, კონკურენტი უნდა ვიყოო და ა.შ. არ ვიცი, რა ემართება ამ კაცს. ძალიან მინდა პირადად დაველაპარაკო. უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატსაც სურს, რომ დაუძახოს. დიახ, შეგვხვდეს და აგვიხსნას რაღაც. ძალიან საინტერესო იქნება ხომ, იმიტომ, რომ მის მიმართ კითხვები არსებობს ჩვენს გუნდში.

**— ითქვა, რომ ქუცნაშვილი მასთან უმრავლესობის სახელით მივიდა და უთხრა, უმრავლესობას თქვენთან შეხვედრა სურსო, რასაც თქვენს გუნდში მითქმა - მოთქმა მოჰყვა. გამოდის, მართლაც გსურთ პრეზიდენთან შეხვედრა?!**



— მუსირებს ეს აზრი, მაგრამ ჩვენ არ გვითქვამს, შეხვდი გინდა თუ არა-თქო. სიმართლე გითხრათ, ზაქარიამ პირადი ინიციატივა გამოიჩინა. ჩვენ არ გვითქვამს მისთვის, მთელი უმრავლესობის სახელით მიდითქო. ჩვენი სახელით არ უნდა მისულიყო და თავის სახელით ვინ უშლის. დიახ, ჩვენ ეს არ გაგვიკეთებია, თუმცა ასეთი აზრი არსებობს - დიახ, ჩვენ, გვსურს შევხვდეთ პრეზიდენტს და შეიძლება შევხვდეთ კიდევაც. ახლა, მე 10-12 დღე არ ვიქნები საქართველოში აგრარული კომიტეტიდან ამერიკაში მივდივარ და რომ ჩამოვალ, მეც გამოვიჩენ ამ ინიციატივას. დიახ, უნდა შევხვდეთ და დაველაპარაკოთ ამ კაცს, უნდა გავარკვიოთ, რა ემართება, სად მიდის, რა უნდა ბოლოს და ბოლოს.

**— რა კითხვას დაუსვამთ პრეზიდენტს, თუ შეხვედრა შედგება?**

— იცით, ზოგადად დალაგებულ ქვეყანაში შეიძლება სასარგებლოც კი იყოს გარკვეული კონკურენცია სახელმფიფო ინსტიტუტებს შორის: აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, მაგრამ ამ წუთას, როცა ჩვენ ასეთი ძალა გვყავს გვერდზე ნაცების სახით, როცა საგარეო ურთიერთობებშიც უამრავი რამ არის დასალაგებელი, მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს გუნდურობასა და ერთმანეთის გვერდზე დგომას, ვიდრე კონკურენციას ხომ. დადგება დრო, როდესაც კონკურენცია აუცილებელიც კი გახდება, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ არის საჭირო. ამიტომ ვკითხავ, მე მარგველაშვილს და ამიხსნას, რაში მდგომარეობს მისი ხედვა, რომ აუცილებლად უნდა იყოს კონკურენციაში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ვთქათ, მთავრობასთან? აი, რატომ, სად ხედავს აქ სიკეთეს? და თუ ხედავს, მაშინ იქნებ აგვიხსნას სად, რომ დაგვარწმუნოს და დაგვაჯეროს, იქნებ ჩვენ დავბრმავდით. ხომ მოაქვს თავი, რომ, აი, ჭკვიანი კაცია და ფილოსოფოსობს, კეთილი ინებოს, და დამარწმუნოს, რომ ეს კონკურენცია ქვეყნისთვის სასარგებლოა. მე ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ეს არ არის სასარგებლო და ეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს ქვეყანას. ამით სარგებლობს ნაცმოძრაობა. აი, ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან. როგორც კი, ეს ბზარი ჩნდება, თავს უფრო მაღლა წევს ნაციონალური მოძრაობა. რაფალიანცის საქმეზე დაპირისპირება, რომ მოხდა ისე დიდგულზე იყვნენ, ისე წამოფოფრილები იყვნენ, რომ ლამის იყო უმცირესობაში ჩავვარდით ჩვენ, მიხვდით? ადრე ამდენს ვერ ბედავდნენ, მაგრამ, როცა ხედავენ, რომ პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ასეთი რაღაც ხდება, იქით იმას, რომ მურმან დუმბაძე წინააღმდეგობაში მოვიდა ამ გუნდთან, აქეთ საგანელიძესა და ქუცნაშვილის დაპირისპირებას, ხედავთ როგორ წამოიფოფრენ? ლოგიკურიც არის მათი საქციელი. ჰოდა, მიპასუხოს ამ კითხვებზე. დიახ, უნდა მიპასუხოს, რატომ ასხამს თავისი ამ ქმედებით ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე წყალს და თუ არ ასხმას, ანუ ჰგონია მას, რომ არ ასხმას, მაშინ კეთილი ინებოს და ამიხსნას.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



# „ჩვენი მთავარი ამოცანაა, ვაიძულოთ ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან წავიდეს!“

## საიდუმლო გეგმა თუ „ნაცების“ შიზოფრენიული ხილვა?

კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, არსებობს საიდუმლო გეგმა, რომლის მთავარი მიზანია აიძულონ ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან წავიდეს.

— თუ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს დატოვებს, კოალიცია „ქართული ოცნება“ მომენტალურად დაიშლება, ხოლო მასში შემცველი სუბიექტები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, რღვევა და დაპირისპირება დაიწყება სამთავრობო სტრუქტურებში, გამძაფრდება სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, გამწვავდება კრიმინოგენური სიტუაცია, მოსახლეობის პროტესტი და უკმაყოფილება პიკს მიაღწევს. აი, მაშინ გამოვალთ ჩვენ და ვიტყვით, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც ქვეყანაში წესრიგის დამყარება შეუძლია, ჩვენ ვართ და ჩვენ დაგვიჯერებენ! — ნათქვამია თურმე იმ ინსტრუქციაში, რომლის სრული ტექსტი ჯერჯერობით მხოლოდ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირების ვიწრო წრისთვის არის ცნობილი.

— დასახული ამოცანის წარმატებით შესრულება დიდად არის დამოკიდებული ჩვენს მიერ კონტროლირებადი საინფორმაციო საშუალებების ეფექტურ მუშაობაზე, მათ გააზრებულ, კარგად ორგანიზებულ და კოორდინირებულ მოქმედებაზე.

მართალია, ჩვენ ან სრულად ან ნაწილობრივ ვაკონტროლებთ თითქმის ყველა ტელევიზიას, ბეჭდური გამოცემების მნიშვნელოვან ნაწილს, რადიოარხებს, ინტერნეტსივრცეს, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი, საჭიროა ახალი საინფორმაციო სააგენტოების, პორტალების, ვებ-გვერდების, საიტების შექმნა, სოციალურ ქსელში ახალი კიბერჯგუფების ჩართვა, რომ მთლიანად იქნას ჩახშობილი და გადაფარული სახელისუფლო საინფორმაციო სამსახურების, ან ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედიასაშუალებების ხმა.

> **ბიძინა ივანიშვილს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა და ქვეყნისთვის მხოლოდ სააკაშვილის ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმი მოეშორებინა, მარტო ეს კმარა იმისთვის, რომ საქართველო მისი მადლიერი და მადლობელი იყოს.**

**საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ამ ხელისუფლების დაცვა და გამოქომაგება ვერავინ გაბედოს.**

**ვინც გაბედავს, მას დაუყოვნებლივ უნდა დავესხათ თავს და მორალურად უნდა გავანადგუროთ.**

**ოპონენტების გასაცამტვერებლად დასაშვებია ყველა ხერხი — ცილისწამება, შანტაჟი, ჭორების გავრცელება...**

**ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ აბსოლუტურად დაუცველები არიან და გადამწყვეტ მომენტში მათ გვერდით არავინ დადგება.**

ჩვენ ყველგან გვყავს ჩვენი ერთგული მხარდამჭერები — სამთავრობო წრეებში, სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებების პრესსამსახურებში, სხვადასხვა ინსტიტუციებში, სკოლებში, სამედიცინო დაწესებულებებში.

საჭიროა ისინი გავაფრთხილოთ, რომ ყველანაირი სახის ინფორმაცია, თუნდაც უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი, დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ.

ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობა დავარწმუნოთ: ყველა პრობლემა, დაწყებული სოციალური პრობლემებიდან და დამთავრებული საგარეო პოლიტიკით, ყველაფერი ერთი კაცის, ბიძინა ივანიშვილის, ბრალია და ამ პრობლემებს მხოლოდ მაშინ მოევლება, როცა ეს ადამიანი სახელმწიფოს მართვის ბერკეტებს ჩამოშორდება და ქვეყნიდან წავა.

ჩვენ ამ საქმეში აუცილებლად დაგვეხმარებიან ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები, მაგრამ ეს რომ მოხდეს, საჭიროა, ჯერ ჩვენ ვაჩვენოთ თავგანწირვისთვის მზადყოფნა, უშიშრობა და სიმამაცე.

**გადით ხალხში, ესაუბრეთ ადამიანებს, დაარწმუნეთ ისინი, რომ ამ ხელისუფლების ხელში მათ ოცნებებს ახდენა არ უწერია, რომ მათი ოჯახები, მათი შვილები განწირულნი არიან შიმშილისთვის და სიღატაკისთვის და ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს დააბრალეთ.**

დაადანაშაულეთ ივანიშვილი ოკუპანტებთან თანამშრომლობაში, დაადანაშაულეთ ივანიშვილი მასონებთან თანამშრომლობაში, დაადანაშაულეთ ივანიშვილი „ნაციონალებთან“ გარიგებაში, დაადანაშაულეთ ყველა ცოდვაში, რაც კი დედამიწაზე არსებობს.

ჩვენი საზოგადოების დონე ისეთია, ათი კაციდან შვიდი ყველაფერს იჯერებს, ხოლო დარჩენილ სამს ჩვენ თვითონ მოვუვლით.

ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა მეტი უნდა იმუშაონ, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს დაპირისპირება მარგველაშვილსა და მთავრობას შორის, მარგველაშვილსა და ივანიშვილს შორის.

ჩვენ მარგველაშვილს უკან, თავის ყოფილ გუნდთან დაბრუნების ყველა გზა უნდა მოვუჭრათ და ერთადერთი გზა, ჩვენსკენ მომავალი გზა, უნდა დავუტოვოთ.

**მარგველაშვილი უნდა მივახვედროთ, რომ მის პოლიტიკურ კარიერას, სანამ ივანიშვილი სიტუაციას აკონტროლებს, მომავალი არ აქვს, ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში კი მას პრეზიდენტის პოსტს შევუნარჩუნებთ.**

წარმოაჩინეთ მარგველაშვილი ივანიშვილისგან დაჩაგრულ, ივანიშვილისგან დევნილ პიროვნებად, რომელსაც კონსტიტუციით მონიჭებული უფლებების განხორციელების საშუალებას არ აძლევენ.

წარმოაჩინეთ მარგველაშვილი პატრიოტ, სამშობლოსთვის თავდადებულ უშიშარ გმირად, რომელიც ბოროტებას არ ეპუება და დემოკრატიის და სამართლიანობისთვის იბრძვის.

გარწმუნებთ, ხალხი დაგიჯერებთ, რადგან ხალხი ყველაფერს იჯერებს, თუ დამაჯერებლად დაელაპარაკებით.

**რაც შეიძლება მეტი ილაპარაკეთ მოსალოდნელ საფრთხეებზე, სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროებაზე, ეკონომიკურ კატასტროფაზე, რუსეთთან მოსალოდნელ ომზე — დანერგეთ, რაც შეიძლება მეტი შიში, რაც შეიძლება მეტი სასოწარკვეთა და უიმედობა — დაშინებულებს ჩვენ გავამხნევებთ, უიმედოებს ჩვენ მივცემთ იმედს.**

არ დააფრთხოთ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები, შეუქმენით მათ ილუზია, რომ ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ.

თუ ივანიშვილი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, ჩვენ უკიდურესობამდე გავამწვავებთ სიტუაციას, ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირების ზღვრამდე მივიყვანთ და მხოლოდ მაშინ მოვხსნით ამ საფრთხეებს, როცა ივანიშვილი საქართველოს დატოვებს.

**— ყველა, მინუს ერთი! —** ასეთი იქნება ჩვენი ლოზუნგი.

ჩვენ ყველასთან ვითანამშრომლებთ, გარდა ერთისა და ეს ერთი ბიძინა ივანიშვილია!

მომავალ მიტინგებსა და აქციებზე, რომელთა გამართვასაც ახლო ხანებში ვგეგმავთ, ჩვენ სწორედ ამ ლოზუნგს — ყველა, მინუს ერთი! — წამოვაყენებთ მთავარ ლოზუნგად.

ამ მიტინგებსა და აქციებზე ჩვენ ერთადერთ მოთხოვნას დავაყენებთ: — დატოვოს საქართველო ბიძინა ივანიშვილმა!



ჩვენი წყაროს ინფორმაციით, სწორედ ასეთ შინაარსს შეიცავს ტექსტი, რომელიც მას წაკითხვით კი წააკითხეს, მაგრამ ტექსტის ასლი არ მისცეს.

როგორც ჩანს, შესაძლო არეულობების ორგანიზატორები ჯერჯერობით სიფრთხილეს იჩენენ და შესაფერის მომენტს ელოდებიან ასპარეზზე გამოსასვლელად.

**დავით ქავთარია**

**მინაწერი:** ძნელი სათქმელია, რამდენად სანდოა ჩვენი წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ისიც ძნელი სათქმელია, საერთოდ არსებობს კი ასეთი ტექსტი, თუ ეს ყველაფერი ჩვენი წყაროს ფანტაზიის ნაყოფია.

არც ერთია გამორიცხული და არც მეორე, თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, წყაროს მიერ მოწოდებული ამ ინფორმაციის გამოქვეყნება მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ.

> **სამი არჩევნების შედეგებით სამჯერ დამტკიცდა, რომ ცრუქაქუნა „ნაცები“ პარლამენტის ქანდარებიდან რომ გვემამლაყინწებიან, მოსახლეობის ნდობით არ სარგებლობენ და მათი რეიტინგი ერთ ნიშნულზეა გაყინული, ხოლო დანარჩენი პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ კლიმატს მკვეთრად რომ ვერ შეცვლიან და მასებს საპროტესტოდ რომ ვერ დაძრავენ, ამაში ეჭვი არავის ეპარება.**

როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა...

ეს წერილიც ერთგვარი გაფრთხილებაა, რომ ხელისუფლებამ დროულად მიიღოს პრევენციული ზომები მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

ეს გეგმა რომც არსებობდეს, ძნელი დასაჯერებელია, ქვეყანაში მოიძებნოს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც მის განხორციელებას და ბოლომდე მიყვანას შეძლებს.

**სამი არჩევნების შედეგებით სამჯერ დამტკიცდა, რომ ცრუქაქუნა „ნაცები“ პარლამენტის ქანდარებიდან რომ გვემამლაყინწებიან, მოსახლეობის ნდობით არ სარგებლობენ და მათი რეიტინგი ერთ ნიშნულზეა გაყინული, ხოლო დანარჩენი პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ კლიმატს მკვეთრად რომ ვერ შეცვლიან და მასებს საპროტესტოდ რომ ვერ დაძრავენ, ამაში ეჭვი არავის ეპარება.**

ტყუილად აქვთ ვიღაც-ვიღაცებს იმის იმედი, რომ ქართველო ხალხი იმდენად გულმავიწყი და გულუბრყვილოა, რომ ბიძინა ივანიშვილს ზურგს შეაქცევს და „ნაციონალებს“ ჩაეხუტება.

**ბიძინა ივანიშვილს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა და ქვეყნისთვის მხოლოდ სააკაშვილის ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმი მოეშორებინა, მარტო ეს კმარა იმისთვის, რომ საქართველო მისი მადლიერი და მადლობელი იყოს.**

უსინდისობაა იმის თქმაც, თითქოს ახალ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია თუნდაც სამართლიანობის აღდგენის კუთხით.

აბა, ჩამოვთვალოთ, რამდენი „ნაციონალი“ „ბობოლა“ ზის ციხეში, რამდენია გაქცეული და რამდენზეა ძებნა გამოცხადებული.

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პატიმრობა აქვს შეფარდებული და მისი ვირის აბანოში გამწესება მხოლოდ დროის ამბავია.

დ.ქ.



# უახლოეს დღეებში გავასაჯაროებ ყველა დოკუმენტაციას, რომელიც ლაშა ტუღუშთან დაკავშირებით ჩემი განცხადებების სისწორეს ცხადყოფს

**„საერთო გაზეთს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ ხელმძღვანელი გურამ ადამაშვილი**

**— გასულ კვირას თქვენ ძალიან სკანდალური ინფორმაცია მიაწოდეთ საზოგადოებას არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი დიდი ხანია აღელვებს ყველას, მაგრამ ხმის ამოღებას რატომღაც ვერ ბედავდნენ. როგორ მოხვდა თქვენს ხელში არასამთავრობო ორგანიზაციათა დაფინანსების წყაროების დოკუმენტაცია?**

— ეს გახლავთ სრულიად საჯარო ინფორმაცია. ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი მიმართულება სწორედ ესაა, 9 წლის განმავლობაში რა არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები ჩამოყალიბდა, რა სქემებით, რა პრინციპებით მუშაობდნენ.

გარდა ამისა, ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა უცხოური ფონდებიდან ფინანსდებიან, მათ უკანაც საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათთან დაახლოებული პირები დგანან. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაც ზუსტად ეს არის, რომ გავარკვიოთ და გავასაჯაროოთ, რა ხდება, რაში იხარჯება ფული, რას ხმარდება და როცა ბრიფინგი ჩავატარე, არ მქონია მიზნად, გამომევლინა ესა თუ ის კონკრეტული პერსონა.

**— ჟურნალისტის და გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორის ლაშა ტუღუშის საკითხი სპონტანურად გაჩნდა?**

— საქმე ისაა, რომ ჩვენ გამოვიკვლიეთ ორი ძალიან მსხვილი დამფინანსებელი ფონდი — იუსაიდი და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდები. ეს ფონდები, ძირითადად, ლობირებენ მათ მიერ დაარსებულ, ან გადაბირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ თვითონ იუსაიდისა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს, ასევე საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ამ სამ უდიდეს ფონდს აქვთ კიდევ ერთი ფონდი ევრაზიის ფონდის სახელწოდებით, ანუ არის ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი და ევრაზიის ფონდი, ეს სხვადასხვა ფონდებია და იმ სამმა მსხვილმა ფონდმა წარმოშვა.

ამ ორგანიზაციებიდან, ე.ი. სამი ერთიანი ფონდიდან ფინანსდება საქართველოში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები.

ამ ფონდების უკან წლების განმავლობაში დგანან და ლობირებას უწევენ **გიორგი ბარამიძე, დავით დარჩიაშვილი, თემურ იაკობაშვილი, კახა ბენდუქიძე, ლევან რამიშვილი, გია ნოდია**. ეს ადამიანები იდგნენ ჩამოთვლილი არასამთავრობო სექტორის ფუნქციონირებისა და დაფინანსების უკან. შეგიძლიათ შებრძანდეთ ევრაზიის თანამშრომლობის ოფიციალურ ვებგვერდზე და თქვენი თვალით იხილავთ 2007 წლის მონაცემებში ცალსახად არის დაფიქსირებული დავით დარჩიაშვილის გვარი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

ამიტომ ვახსენეთ ჩვენ ბატონი **ლაშა ტუღუში** და მისი არასამთავრობო ორგანიზაცია **„ლიბერალური აკადემია“**. „ლიბერალური აკადემიის“ მიერ ზუსტად 2007 წლიდან ხდება პროექტ „პოლიტიკური პარტიების პლატფორმები და მოდერნიზაცია საქართველოში“ დაფინანსება. ამიტომ ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლისთვის, საეჭვო გახდა ამ ორგანიზაციის დაფინანსების წყაროები და მიმართულებები. ეს საკმაოდ დიდ ეჭვს იწვევს, რადგან პროექტის შინაარსი, ზოგადად, კავშირშია „ნაციონალურ მოძრაობასთან“. ერთი პროექტი მიმართულია „ვარდების რევოლუციის“ გარდამავალი კურსის კვლევისკენ და, ბუნებრივია, „ვარდების რევოლუციის“ ერთგვარ რეკლამირებას წარმოადგენს და მეორე პროექტი — „პოლიტიკური პარტიების პლატფორმები და მოდერნიზაცია საქართველოში“, ასევე იუსაიდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტი ჩატარდა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წინ და მისი ძირითადი მიზანი არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების მიზნების და ამოცანების შესწავლა გახლდათ.

ვისაც არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან შეხება ჰქონია, ყველამ იცის, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან გარკვეული ურთიერთობები თუ არ გექნებოდა, რაც უნდა უძლიერესი პროექტი წარგედგინა, დაფინანსებას ვერ მიიღებდი.

როცა საზოგადოებისთვის ცნობილი პირები გამოდიან და საზოგადოებისკენ მკაფიო მესიჯებს და განცხადებებს აგზავნიან, ხალხმა არ იცის, ამ ადამიანების უკან რა ბეგრაუნდი იმალება.

ჩემთვის ყოველივე იმის ფონზე, რომ „ლიბერალურ აკადემიას“ იუსაიდი აფინანსებს, რომლის უკან „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებული პირები და ყოფილი მაღალჩინოსნები დგანან, საეჭვოა, დავიჯერო იმ ადამიანის განცხადებების გულწრფელობა.

**— რა საფრთხეები მოდიოდა ამ არასამთავრობოებიდან მთელი იმ წლების განმავლობაში? ზემოთ ჩამოთვლილი ფონდების მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები მეხუთე კოლონის როლს ასრულებდნენ ქვეყანაში?**

— მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილი ე. წ. ახალი საქართველოს შექმნის და ახალი ქართველის გამოყვანას ცდილობდა. მთელი იმ ავადსახსენებელი წლების განმავლობაში, საზოგადოებასა და ხალხზე ფსიქოლოგიური ზეწოლები მიმდინარეობდა. იგივე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ინფორმაციები გავიხსენოთ, რაც დღემდე გრძელდება და ა.შ.

**არასამთავრობო ორგანიზაცია ხელსაყრელ შესაძლებლობას ქმნის გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია ტრეინინგებით, შეხვედრებით, დიალოგებით და ა.შ. „ნაცმოძრაობა“ ყოველივე ამას იყენებდა თავის სასარგებლოდ, რაც მას აწყობდა და არა ქვეყანას, ზოგადად**.

სააკაშვილი პიარში ძალიან მარჯვე აღმოჩნდა. მან იცოდა, როგორ მოეხდინა გავლენა ადამიანებზე. არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება კი არის ერთ-ერთი კარგი საშუალება იმისთვის, რომ ხალხში გაავრცელოს ის ინფორმაცია, რაც სჭირდებათ იმ მომენტში.

მიხეილ სააკაშვილმა ზუსტად იცის, რომ ხელისუფლებაში მისი დაბრუნების ყველაზე ხელსაყრელი შანსი არის მხოფლიოს და პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობას დაანახოს თითქოსდა გაპარტახებული საქართველოს სახე: ეს არის მისი გეგმის ნაწილი. იგი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მოსახლეობამდე მიიტანოს ინფორმაცია, თითქოს ქვეყანაში იზრდება კრიმინალი, ეკონომიკა უარესდება და ა.შ.

მე ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ ამ ფაქტებს ხელს უწყობს ზოგიერთი მედიასაშუალება.

ასევე ხმამაღლა შემიძლია ვთქვა ისიც, რომ დღეს მედია აბსოლუტურად თავისუფალია. მე დარწმუნებული ვარ, დღეს რომ „ნაცმოძრაობა“ იყოს ხელისუფლებაში და არსებობდეს „რუსთავი-2“-ის მსგავსი ტელევიზია, არამცთუ საინფორმაციოს გააშვებინებდნენ, არამედ თვით არხს შეუქმნიდნენ პრობლემებს. გახსოვთ „იმედის“ ისტორია. იგი მხოლოდ იმიტომ დაარბიეს, რომ განსხვავებული აზრის გავრცელებას ცდილობდა.

**დღევანდელ მედიაში არსებული თავისუფლება, გარკვეულწილად, ხელს უწყობს „ნაციონალებს“, საზოგადოებაში დათესონ პანიკა, შექმნან ფონი,**



**თითქოს არაფერი არ კეთდება** და ა.შ. სინამდვილეში ხომ ჩვენც კარგად ვიცით, რომ ეს ასე არ არის. ქვეყანა ერთ, ორ, ან სამ წელიწადში არ შენდება და თუ ჩვენ, საზოგადოებამ ხელი არ შევუწყვეთ ხელისუფლებას, თუ ხელისუფლებაც არ დაგვეხმარა, ისე ქვეყანას ვერ ავაშენებთ.

**— ერთი სიტყვით, გაზეთ „რეზონანსს“ რედაქტორობს ადამიანი, რომელიც უცხოური საეჭვო მიზნებისთვის ჩარიცხული ფულით გარკვეული იდეოლოგიის გამტარებელია? მე ძალიან მაშფოთებს ეს ამბავი.**

— მე ვსაუბრობ ფაქტებით. ფაქტია ის, რომ 2007 წელს ევრაზიის განვითარების ფონდში ბატონი დავით დარჩიაშვილი იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებდა. მის გარეშე ამ ფონდიდან დაფინანსებები არ გაიცემოდა. მე ყველაფერი იმიტომ დავაკავშირე ერთმანეთთან, რომ ზუსტად მაგ დროს, მაგ პერიოდში, დაფინანსება მიიღო ბატონი ლაშა ტუღუშის ფონდმა „ლიბერალური აკადემია“. ეს სერიოზული რამეა და გასათვალისწინებელი ფაქტია. ჩვენს ეჭვებს ისიც ამყარებს, რომ ფონდს შეეძლო განეხორციელებინა სხვადასხვა მიმართულების პროექტები, რაც ქვეყანას რეალურად სარგებელს მოუტანდა, მაგრამ განახორციელა ორი ისეთი პროექტი, რომლებიც პირდაპირ „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ იყო მიმართული.

მეტსაც გეტყვით, დავით დარჩიაშვილის გარდა ჩემში ეჭვს იწვევს ის, რომ ფონდის სამეთვალყურეო საბჭოში 2007 წლიდან დღემდე ძალიან აქტიურად ერთვება და მონაწილეობს მსხვილი კომპანია — „თი-ბი-სი“ ბანკი. არ შემიძლია დავამტკიცო, ამ ბანკს რა შეხებები აქვს „ნაცმოძრაობასთან“, მაგრამ ფაქტია, რომ ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, 2007 წლიდან დღემდე ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში, სადაც დავით დარჩიაშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ბრძანდება, ფიგურირებს „თი-ბი-სი“ ბანკიც და „ვისოლი-ჯგუფიც“. არ არის გამორიცხული ამ ორი უმსხვილესი ორგანიზაციიდან თანხები ახლაც ხმარდებოდეს „ნაცმოძრაობას“ ფონდების გავლით. მე ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ. მე ფაქტებს გიყვებით. ფაქტი კი ისაა, რომ 2007 წლიდან დღემდე „თი-ბი-სი“ ბანკი ამ ფონდთან თანამშრომლობს, ხოლო მოგვიანებით, 2012 წლიდან მათ „ვისოლ-ჯგუფიც“ შეუერთდა. ამ ორგანიზაციებს, ცხადია, უფლება აქვთ, თავად გადაწყვიტონ ვის დაეხმარებიან, მაგრამ გამოდის, რომ ეხმარებოდნენ იმ ძალას, რომელიც 9 წელიწადი ანგრევდა და სპობდა ყოველივე ქართულს და ეროვნულს.

მაინტერესებს, ასევე, რამდენად ობიექტური ჟურნალისტი გახლავთ გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი, როცა მის არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიბერალურ აკადემიას“ პირდაპირი წყაროებით კვებავდა და დღემდე კვებავს „იუსაიდი“, ევრა-

10 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# დღეს გაჩნდა შანსი „ნაცმოძრაობა“ და მასთან ერთად ყველა ფსევდო-ლიბერალური პოლიტიკური პარტია პოლიტიკურ სანაგვეზე მოვისროლოთ

გვესაუბრება
უფლებადამცველი
**დიმა ლორთქიფანიძე:**

**— ბატონო დიმა, ბოლო პერიოდში მთავრობასა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირება საინფორმაციო საშუალებების მთავარ თემად იქცა. რასთან გვაქვს რეალურად საქმე?**

— დიახ, შიდა პოლიტიკური დაპირისპირების საკითხში ადგილი აქვს ესკალაციას. გავრცელებული სტერეოტიპი, თითქოს მარგველაშვილი დახვეწილი პოლიტიკოსი არაა და პოლიტიკური რესურსები აკლია, ჩემი აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება. იგი, სასწორის ერთ პინაზე, ბიძინა ივანიშვილის მიმართ, მის საქციელთან დაკავშირებით, საზოგადოებრივ განწყობებს დებს, ხოლო მეორე მხრივ, შეუპოვარია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი გუნდის წევრთა იმ შემადგენლობის მიმართ, რომლებიც საზოგადოების თვალში ავტორიტეტს დღითიდღე კარგავენ. ამ შემთხვევაში, ირაკლი ღარიბაშვილს არ ვგულისხმობ. თუკი ვინმეს ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს საზოგადოების მხრიდან სიმპატია და ნდობა, ეს მხოლოდ ინდივიდი ირაკლი ღარიბაშვილია, რასაც მის გუნდზე და საპარლამენტო შემადგენლობაზე ვერ ვიტყვით. ამის ნათელი დადასტურებაა, ზაქარია ქუცნაშვილის ვიზიტი პრეზიდენტთან, რაც დემარში და ჭკუის სასწავლებელი პოლიტიკური აქტი იყო, რაც ერთ გუნდად ყოფნის პირობას გამორიცხავს. პირობას, რომელსაც თეა წულუკიანი ხმამაღლა დეკლარირებს: მარგველაშვილი ჩვენი გუნდის წევრიაო. თუმცა, იქვე, აკეთებს განცხადებას — მარგველაშვილი „ნაცმოძრაობასთან“ კეკლუცობსო. ასეთი განცხადება მინისტრისგან, რომელიც საკუთარი გამონათქვამების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებელი უნდა იყოს, მიუღებელია. მარგველაშვილი უკვე ღიად აკეთებს დარტყმებს ალასანიას გუნდის წინააღმდეგ და მათ ჭორიკნებს უწოდებს. ასევე, არაორაზროვანი განცხადებებით გამოირჩევა ივანიშვილის მიმართ — მას ბატონი ბიძინას პატივისცემა გააჩნია, მაგრამ ხალხის რიდი უფრო მეტად. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ გუნდთან, ნამდვილად, კონკურენციის რეჟიმშია. თუ ღარიბაშვილი უმოკლეს ვადებში რამეს არ მოიმოქმედებს, ეს ყველაფერი „ქართული ოცნებისთვის“ ძალიან ცუდად დამთავრდება. „ქართული ოცნება“ ცეცხლს ეთამაშება, როცა პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ავლენს. ვეთანხმები საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობას, რომ მარგველაშვილი თავისი პოლიტიკური რეიტინგით მთლიანად ივანიშვილზე იყო ჩამოკიდებული. ამიტომ, მას მეტი პასუხისმგებლობა მართებდა, თუნდაც, პრეზიდენტის სასახლეში შესვლის საკითხში. დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ საკითხს — სამართალმემკვიდრეობა არ გაგრძელდეს იმ სიმბოლოებთან დაკავშირებით, რასაც სააკაშვილი, ჩვენს ქვეყანას, ძალიან ნეგატიური საბურველით ახვევდა თავს. ტირანის რეზიდენციის გადაცემა, ერთგვარად, სიმბოლურიც უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო ორგანოებისთვის გადასაცემად, რისი ჩანაფიქრიც არსებობდა და მარგველაშვილმა არ განახორციელა. როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიმართ პრეტენზიები გაგვაჩნია, მაგრამ რადგან პრეზიდენტი ავირჩიეთ, ამ ინსტიტუტის მიმართ, სახელისუფლებო გუნდის მხრიდან, პატივისცემის, რიდის, კრძალვის ვალდებულება უნდა არსებობდეს, რაც არ იგრძნობა. ეს დამატებითი ფაქტორია იმისა, რომ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი მწიფდება.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება?**

— ამას თავისი საკონსტიტუციო პროცედურები გააჩნია, რაც ისეთი მარტივი არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. აღნიშნული საარჩევნო სისტემით და სამართლით არჩევნების ჩატარებას არავითარი აზრი არ ექნება არც ვადებში და არც ვადამდე. საარჩევნო გარემო რეალურად უნდა გაუმჯობესდეს. თუკი ირაკლი ღარიბაშვილი, რომლის პოლიტიკური საქმიანობისადმი ნდობის რეიტინგი ჯერ კიდევ მაღალია, დაუყოვნებლივ არ იმოქმედებს და რეალური ოპოზიციის არსებობას არ გაითვალისწინებს, მაშინ „ქართული ოცნების“ საქმე ძალიან ცუდად წავა და დაისი მალე დაისადგურებს. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მინდა ბატონ ირაკლის მივმართო: დღეს, გვაქვს შანსი „ნაცმოძრაობა“ და მასთან ერთად ყველა ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების მატარებელი პოლიტიკური ორგანიზაციები პოლიტიკურ სანაგვეზე გავუშვათ. ანუ, სათავეში ჩავუდგეთ ახალ პოლიტიკურ პროცესს ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის გზით, რითაც ქვეყანა, აუცილებლად, მოიგებს.

**— წელან ახსენეთ, მარგველაშვილი არჩეული პრეზიდენტია და ამიტომ მის მიმართ პატივისცემა მართებს მთავრობასო. თუმცა კონსტიტუცია ისეა დაწერილი ვერ გაიგებ ქვეყნის პირველი პირი ვინაა. დღეს, კონსტიტუცია დაძაბულობის კერად, ქვეყნისთვის დესტაბილიზაციის საფრთხედ ხომ არ იქცა?**

— ამ კუთხით, ორი ასპექტი არსებობს: ერთი, 1921 წლის კონსტიტუციის რეანიმაციაა. ამ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტს უფლება და პოლიტიკური ნება ექნება თვითლიკვიდაცია მოახდინოს და დამფუძნებელი კრების რეჟიმში გადავიდეს. შესაბამისად, ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება, რომელიც უკანონოდ გადააგდეს და რომელთან დაკავშირებითაც სამართლებრივი შეფასებები დღემდე არ გაკეთებულა, ფორმალურად, თავის ფუნქციას აღიდგენს და შემდეგ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება. ეს, ჩემი აზრით, ლეგიტიმაციის გაგრძელების სამართლებრივი ფორმა იქნება. მეორე: დღეს იმ კონსტიტუციით ვმოქმედებთ, რომელიც 1995 წელს შევარდნაძის გუნდმა შემოგვთავაზა, რაც შემდგომ, არაერთხელ იქნა რეფორმირებული. გაგახსენებთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ საქართველოს კონსტიტუციაში 21 ცვლილება შეიტანა. 2010 წელს კონსტიტუციის რეფორმირება შემდეგნაირად მოხდა — სააკაშვილი, რომელიც სუპერ-საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი გახლდათ, პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადასანაცვლებლად მოემზადა და გადაწყვიტა სუპერ-საპრეზიდენტო მმართველობა ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობას ჩაენაცვლებინა იმ პერსპექტივით, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა გავხდებოდით. მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბერმა ეს გეგმა ჩაშალა. თუმცა, ინერციით მოხდა ის, რას დღეს ხდება — 2010 წლის აღნიშნულმა რეფორმამ ახალ ხელისუფლებას კბილი მოსჭრა და მათ მიერვე წარმოდგენილი პრეზიდენტი, დღეს, საკუთარი გუნდის ოპოზიციაშია.



ასე, რომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, „ქართული ოცნება“, როგორც „ნაცმოძრაობის“ სამართალმემკვიდრე იმ არაორგანიზებული და სუბიექტური შეხედულებების შედეგად მიღებული კონსტიტუციის მსხვერპლია, რომელიც ერთი პირის კეთილდღეობასა და მისი ძალაუფლების ურყევობას უნდა მიძღვნოდა. ისმის კითხვა: კონსტიტუციის რეფორმირება უნდა გაგრძელდეს თუ ახალი უნდა დაიწეროს? — დღეს, კონსტიტუციის ისევ რეფორმირებაზე საუბარი, სირცხვილია. ამდენი რეფორმირების შედეგად მივიღეთ რაღაც საზიზღარი ჰიბრიდი, რომელიც იმპერატიული ნორმების დონეზეც კი აღარ ადგენს წყალგამყოფებს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებებს შორის გამიჯვნის თვალსაზრისით. პირველი იდეალისტური მოდელია, რომელიც, ალბათ, არ შესრულდება იმიტომ, რომ ამის პოლიტიკური ნება, არავის აღმოაჩნდება. არადა ვისურვებდი, სწორედ ეს ყოფილიყო დასაბამი ეროვნული თანხმობისა და შერიგებისა. ანუ ფუნდამენტალური სამართლებრივი აქტების აღდგენა დაკავშირებულია პირველ კონსტიტუციურ დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან, რომელიც მალევე იქნა ხელყოფილი. ასე, რომ მომხრე ვარ, ახალი კონსტიტუცია შეიქმნას და არ მოხდეს რეფორმირების გაგრძელება.

**— როგორც აღნიშნეთ, ზვიად გამსახურდიას მთავრობის შესახებ სამართლებრივი შეფასებები დღემდე არ გაკეთებულა. არ მომხდარა არც სააკაშვილის რეჟიმის შეფასება, მხოლოდ ცალკეული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგა.**

— დიახ, არ შესრულდა უმთავრესი პირობები — სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენისა და საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებში სამეზობლო პოლიტიკის იმგვარად გათვალისწინებისა, რომ საქართველო არ შეიცვლიდა დასავლეთისადმი აღებულ გეზს, მაგრამ გაითვალისწინებდა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რასაც რუსეთის ფედერაცია ჰქვია და საქართველოს მთავრობას მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფასი ეცოდინებოდა. ვერცერთი თეზა, სამწუხაროდ, არათუ ვერ შესრულდა, არამედ სწორადაც არ იქნა დაწყებული. ქვეყანაში, სამართალმა, ვერ იზეიმა. დღეს, როცა „ნაცმოძრაობა“ ყველა მიმართულებით აჩენს ბრჭყალებს და ახალ-ახალი არასამთავრობო ორგანიზაციებიც სოკოებივით ჩნდებიან, მართლა გაჩნდა შიში — ხომ არ არსებობს იმის თეორიული შანსი, რომ „ნაცმოძრაობა“ უკან დაბრუნდეს. ჩემი ღრმა რწმენით, „ნაცმოძრაობის“ უკან დაბრუნების ნებისმიერ მცდელობას, ქვეყანაში, სამოქალაქო ომი მოჰყვება. საზოგადოება, პირველ რიგში, ხმას აღიმაღლებს არა „ნაციონალების“, არამედ იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც წელიწადზე მეტია ახერხებენ „ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაციას და ამ დროს, საკუთარი გუნდის

10 gv.

8 gv.

ზიის განვითარების ფონდი, ევრაზიის ფონდი და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული ძალები.

ლაშა ტუღუში უარყოფს ყოველივეს და აცხადებს, რომ ჩემი ინფორმაცია ცრუა.

**უახლოეს დღეებში მე კვლავ გავმართავ პრესკონფერენციას და იქ გავასაჯაროებ ყველა დოკუმენტაციას, რომელიც ლაშა ტუღუშთან დაკავშირებით ჩემი განცხადებების სისწორეს ცხადყოფს.**

არავინ იფიქროს, რომ გურამ ადამაშვილი არასამთავრობო ორ-

**— გადაბირებულში რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ კონკრეტული იდეოლოგიის ტირაჟირების განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს. უფრო მარტივად რომ ვთქვა, ამ ფონდების მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან და ახორციელებენ თანხის გადამხდელთა იდეოლოგიურ მიმართულებებს ქვეყანაში. ფულს ტყუილად არავინ არ იხდის სანაცვლოდ რაიმე თუ არ მიიღო. ეს არის ისე, როგორც ორჯერ ორი ოთხია.

მაგალითად, „იუსაიდის“ ძირითადი მიზანი არის ამერიკული იდეოლოგია დანერგოს სხვადასხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, საქართ-



**უახლოეს დღეებში გავასაჯაროებ ყველა დოკუმენტაციას, რომელიც ლაშა ტუღუშთან დაკავშირებით ჩემი განცხადებების სისწორეს ცხადყოფს**

განიზაცია „პოზიციის“ სახელით ტყუილებს უწევს ტირაჟირებას.

უფრო მეტიც, „ლიბერალურ აკადემიას“ არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ფონდები, არამედ 12 დონორი ორგანიზაციაც ჰყავს უცხოეთში, რომლებიც მხარში უდგანან მას.

თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ბატონი ლაშას ორგანიზაციის საქმიანობის გამოაშკარავება არ არის ჩემი მთავარი საქმე. მე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების სქემებიც მაქვს და ამაზეც ვისაუბრებ უახლოეს დღეებში.

**შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია კეთდება, სანამ ის რაიმე სახის გრანტს აიღებს, მანამდე გარკვეული თანხებით ფინანსდება, მაგრამ თუ ლობისტი არ ჰყავს, რომლის იდეოლოგიასაც ატარებს, გრანტს, ანუ დაფინანსებას ვერ მოიპოვებს.**

„ლიბერალურ აკადემიას“ დაარსების დღიდან 12 დონორი და პარტნიორი ორგანიზაცია ჰყავს.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ასეთი მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსება და დაფინანსება ლობისტების გარეშე არ ხდება.

მე ვერ ვიტყვი, რომ ფონდი „ლიბერალური აკადემია“ „ნაცმოძრაობამ“ დააარსა, მაგრამ, ფაქტია, რომ ის იმ ე. წ. „გადაბირებულ“ არასამთავრობოთა სიაშია, რომლის ძირითად ლობირებას „იუსაიდი“ და ევრაზიის ფონდი ახორციელებს.

ველოშიც ეს თანხა არ დაიხარჯებოდა ისე, თუ არ გაივლიდა „ნაცმოძრაობის“ კულუარებს. თანხა რომ შემოდიოდა უცხოეთიდან, სად უნდა წასულიყო და ვის ხელში უნდა მოხვედრილიყო, ზუსტად იცოდნენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა.

ჩემთვის ისიც საეჭვოა, რომ ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“, რომლის დირექტორი დავით დარჩიაშვილი გახლდათ, იგი ასევე იყო „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ დირექტორი.

— დამფინანსებელთაგან ერთი ყველაზე მთავარის ვინაობა კარგა ხანია ცნობილია — ჯორჯ სოროსი, რომელიც „ხავერდოვან“ რევოლუციებსაც უწევდა ფინანსურ მხარდაჭერებს. მაგრამ უნდა გითხრათ, არა მხოლოდ ლაშა ტუღუში, მედიის ბევრი ცნობილი წარმომადგენელი არც უარყოფდნენ, რომ მათ პროექტებს სოროსი ან სხვა უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები აფინანსებდნენ და სხვათა შორის, ამაყობდნენ კიდეც ამით, ჩვენი ჭკუა-გონება დაფასდაო.

უახლოეს ხანებში ყველაფრის გასაჯაროებას ვგეგმავთ. თუმცა რაც ჩამოვთვალე, იმ ორგანიზაციების გარდა ჯორჯ სოროსის ორგანიზაცია ცალკე მდგომი გაერთიანებაა, რომელიც პირდაპირ მისივე იდეოლოგიის გამტარებელ ორგანიზაციებს აფინანსებს. ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის ფინანსებსა და მიზნებს გავასაჯაროებთ მოკლე ხანებში. მათ შორის ჟურნალისტების საქმიანობასაც ამ კუთხით. საქმე ბევრია, საზოგადოებას სიურპრიზები ელოდება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# დღეს გაჩნდა შანსი „ნაცმოძრაობა“ და მასთან ერთად ყველა ფსევდო-ლიბერალური პოლიტიკური პარტია პოლიტიკურ სანაგვეზე მოვისროლოთ

9 gv.

წევრ პრეზიდენტთან ანტიკოაბიტაციურ რეჟიმში არიან.

**— საუბრის დასაწყისში თქვით, თუ ღარიბაშვილმა რამე არ იღონა, „ქართული ოცნება“ ცუდად დაამთავრებსო. როგორ დაამთავრებს ქვეყანა მაშინ, როცა გარედან თუ შიგნიდან საფრთხეების ალყაში ვართ. ავიღოთ, თუნდაც, ისლამური ხალიფატი, რომელიც კავკასიაში ჯოჯოხეთის მოწყობით იმუქრება.**

— დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის. მას შემდეგ, რაც დასავლეთმა სირიის ფრონტზე წარუმატებლობა განიცადა, ალქაიდას დაქვემდებარებული ბანდიტური შენაერთების ტრანსფორმირება, კონსოლიდაცია, გარკვეული მიზნებიდან გამომდინარე, იმ ტერიტორიული ერთეულების გადაცემა მოხდა, სადაც ნავთობპროდუქტები მოიპოვება. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ამ არაადამიანური დაჯგუფების ყოველდღიური შემოსავალი, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, (არაფორმალური შენაერთების რაოდენობამ, დაახლოებით, 75 ათასს მიაღწია), დაახლოებით, 3-დან 5მილიონ დოლარამდე მერყეობს. მათ გააჩნიათ მძიმე ტექნიკა, დიდი შეიარაღება. მოგეხსენებათ, რომ ალეპოს ჩრდილოეთით, რაც კი ქრისტიანული სოფლები იყო, მთლიანად ტერორიზებულია, ისლამური ხალიფატის მეომრები განსაკუთრებული სადიზმითა და დაუნდობლობით გამოირჩევიან. ამიტომაც, სირიის ჩრდილოეთით ჯვარზე გაკრული ადამიანების უსაშინლესი სანახაობა იშლება, ხოლო ერაყის ჩრდილოეთით, სადაც ასევე, ბოგინობს ეს შენაერთი, ქურთების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობს. ეს გამოუსწორებელი შედეგების მომტანი სამხედრო-პოლიტიკური აქტია. პუტინის წინააღმდეგ კიდეც გაიჟღერა მუქარებმა, რომ ისინი კავკასიაში ჯოჯოხეთს მოაწყობენ. ანუ, ჩვენთვის, საფრთხეების ნიშნული კიდევ უფრო მაღლა იწევს. იმის მაგივრად, რომ გლობალური ტერორიზმის საფრთხეების წინააღმდეგ სწორი, პრაგმატული ნაბიჯები იდგმებოდეს, საერთოდ განცხადებაც კი არ კეთდება ამ საკითხზე. არადა, ეს ყველაფერი, ჩვენს საზღვრებთან ძალიან ახლოს თბილისიდან სულ რაღაც 640კმ-ში ხდება, რაც ძალიან მოკლე დისტანციაა იმისთვის, რომ ისეთმა ტერორისტულმა ორგანიზაციების ერთობლიობამ როგორიც ეს მუსლიმთა სახელმწიფოა, კავკასიის მიმართულებით გარკვეული მოქმედებები დაიწყონ“, თუნდაც ტერაქტების დონეზე. ასე, რომ ხელისუფლება, ამ მიმართულებითაც, ჩამორჩენილი ოროსანი მოსწავლის როლში გვევლინება. სამაგიეროდ, ამ ფაქტორებს კარგად იყენებს „ნაცმოძრაობა“, როდესაც „თავისუფალი ზონისა“ თუ მსგავსი რეაქციული ძალების მეშვეობით ცდილობს ქართულ საზოგადოებაში პროვოცირება მოახდინოს, სიტუაცია იმგვარად დაძაბოს, რომ პოლიციის პროვოცირება მოხდეს, რომელიც, თავის მხრივ, მოქალაქეების წინააღმდეგ, უკვე გარკვეულ ექსპანსიურ მოქმედებებზეა გადასული. ეს ხომ ნდობის ნიშნულს ქვემოთ სწევს? აქვე, შეგახსენებთ, „გაერთიანებული რვიანის“ შემადგენლობაში შესული სუბიექტები, პირველ რიგში, კი ალასანია, თავის დროზე, შსს-ს დეპოლიტიზაციის მომხრე და მისი ცალკე უშიშროებად და ცალკე პოლიციურ ქვედანაყოფად გაყოფის მომხრე იყო, რაც არ შესრულებულა. ნუთუ, არ შეიძლება, თუნდაც, ალასანიამ ამაზე ხმა ამოიღოს და საზოგადოებას ის დანაპირები შეუსრულოს, რითაც პოლიტიკურ ქულებს იწერდა.

**— ბატონო დიმა, ამბობენ, რომ მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს შორის დაპირისპირება ალასანიას გასაპრეზიდენტებლად ხდება. ეს რეალობაა?**

— ამას, ნამდვილად, არ გა-



მოვრიცხავ. მითუმეტეს, ალასანიას შვილის სამხედრო სამსახურში საჯარო გაწვევა და ამის კარგად შეფუთვა და გაპიარება, მე როგორც პოლიტიკოსს მაფიქრებს, რომ ეს კიდევ ერთი პიარ-ნაბიჯია ალასანიას ფიგურის წინ წამოსაწევად. თუ ვინ არის ამით დაინტერესებული, ეს ძნელი გამოსაცნობი არაა, მას, აშშ-ში თავის ლობისტები ჰყავს. გარდა ამისა, „ნაცმოძრაობისთვის“, სამომავლოდ, პრეზიდენტად გაცილებით მისაღები იქნება ალასანია, ვიდრე მარგველაშვილი, რომელიც დღეის მდგომარეობით აბსოლუტურად გაუწონასწორებელია და მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშაა იმის გამო, რომ ივანიშვილის ღალატს განიცდის. აქედან გამომდინარე, ალასანიას გაპრეზიდენტება მითი სულაც არ მგონია, ეს რეალური ჩანაფიქრია, რისი განხორციელების გზაზეც ეს იქნება ის ძირითადი ლინკი, რომლითაც „რესპუბლიკური პარტია“, ალასანია და „ნაცმოძრაობის“ ნაშთი, საბოლოო ჯამში, ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას შექმნიან და შეეცდებიან მომავალი საპარლამენტო არჩევნები იმით დაასრულონ, რომ ხელისუფლებაში უმრავლესობით თავად მოვიდნენ. ხოლო „ქართული ოცნების“ დანარჩენი ძალები, უბრალოდ, თავის არსებობას დაასრულებს.

**— ბოლოს სააკაშვილის ქონების დაყადაღებაზე მინდა გკითხოთ...**

— საქმე ისაა, რომ აღნიშნული სამართლებრივი აქტი სააკაშვილის პირადი ქონების დაყადაღების შესახებ, ახლოსაც არ არის იმ რეალობასთან, რომელიც უნდა განხორციელებულიყო. ეს ქონება ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მას დაგროვილი აქვს. კეზერაშვილი სააკაშვილის პირადი ხაზინადარი იყო. საფრანგეთში მისი დაკავების შედეგად, მონაკოსა და ლუქსემბურგში ანგარიშებზე მილიონობით ევრო და დოლარი აღმოაჩნდა. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ვერ შეძლო კეზერაშვილის წინააღმდეგ დაესაბუთებინა 22 მილიონიანი მითვისების ინკრიმინირებული ქმედების გარემოებები და საფრანგეთის შესაბამის სასამართლო ორგანოს მტკიცებულებები ვერ ან არ წარუდგინა. შედეგად, დაყადაღებულ მილიონებზე ყადაღა მოიხსნა და სააკაშვილი ამ მილიონების ხარჯვას მანჰენტენზე აგრძელებს. ის, ნიუ-იორკში ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში ცხოვრობს და სწორედ იმ ფულს ხარჯავს, რომელიც დაყადაღებული იყო და დღეს მის განკარგულებაშია. 22 მილიონზე წვდომა დაუტოვეს და ამ ფონზე, რამოდენიმე ათეულათასლარიანი სახლ-კარი მსჯელობის საგნად უნდა გავხადოთ და მივიჩნიოთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების განხორციელებას ქვეყნის მთავრობა და პროკურატურა სანიმუშოდ ახორციელებს?

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საერთაშორისო კვლევების მიხედვით დღეს საქართველო რისკის ზონაში იმყოფება

ვესაუბრებით პარლამენტარ ბატონ **გია გაჩეჩილაძეს**

**— ბატონო გია, უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალი პარლამენტი ჩამოყალიბდა, ახალმა ხელისუფლებამ დღემდე არ თუ ვერ მოახერხა ის, რომ მომხდარიყო ძველი ხელისუფლების 9-წლიანი მმართველობის პოლიტიკური შეფასება, თუ რა იყო „ნაციონალების“ სისტემური დანაშაულებები?**

— ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდის მუშაობა შეფასებულია, როგორც სისტემური დანაშაული, ცალ-ცალკე ამას ყველა ამბობს, ყველა პარტიის წარმომადგენელი, თუმცა, არავის არ სურს, რომ ეს საკითხი დააყენონ სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ შეფასდეს მათი იდეოლოგია და ქმედებები. ამით, ცხადია, რომ საზოგადოება გაღიზიანებულია.

სამწუხაროდ, ოცნებამ ისეთ პარტიასთან ანუ „ნაციონალებთან“ დაიჭირა ურთიერთობა, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა, ამას ციფრებით გეტყვით.

ჯერ ერთი, დანაშაულებრივი ქმედება იყო „ნაცების“ მხრიდან ის, რომ ქართული მიწის 22 პროცენტი ლანგრით მიართვეს რუსეთს. ახლა კი გეტყვით **გაეროს კვლევების შედეგებს,** რომელიც ზუსტად ძველი ხელისუფლების მუშაობის შედეგებს გამოხატავს. კვლევები ეხება 2011-12 წლებს.

**ოჯახების რაოდენობა საქართველოში, რომელთა ხარჯები ერთ სულზე საარსებო მინიმუმზე დაბალია. ასეთი გახლავთ ქვეყნის მოსახლეობის 36 პროცენტი!**

**ოჯახები, რომელნიც ვერ იღებენ ხელფასს და შესაბამისად არ გააჩნიათ დანაზოგი — მოსახლეობის 61 პროცენტი!**

**ოჯახები, რომელთაც აქვთ ბანკის ან ვინმეც ვალი — 22 პროცენტი!**

**ოჯახები, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ბინა — მოსახლეობის 9 პროცენტი! ასეთია 85 ათასი ოჯახი!**

**ოჯახები, რომელთაც აქვთ დაზიანებული სახლები და საცხოვრებლად უვარგისია — მოსახლეობის 42 პროცენტი!**

**ოჯახები, რომელთაც აქვთ არა სათანადო სანიტარია ბინაში და წყალი — მოსახლეობის 54 პროცენტი!**

**ოჯახები, სადაც არც ერთი წევრი არ მუშაობს — მოსახლეობის 52 პროცენტი!**

**ოჯახები, რომელთა ერთ წევრს მაინც აქვს ქრონიკული დაავადება, მოსახლეობის 58 პროცენტი!**

**ოჯახებს, რომელთაც აქვთ სახლში მხოლოდ 2 ელექტროხელსაწყო — ასეთია მოსახლეობის 32 პროცენტი!**

**სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს საქართველოში 77 000 ბავშვი!**

— აი, ასეთი ქვეყანა დატოვეს ნაციონალებმა, რომელთა მუშაობას არანაირი პოლიტიკური შეფასება არ მიეცა!

**— ბატონო გია, უნდა გითხრათ, რომ მდგომარეობა ამ ორ წელიწადში არც გაუმჯობესებულა...**

— ერთი შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ მოხდა მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა. თუმცა, ისიც მინდა ვთქვა, რომ ასეთ მძიმე პირობებში, ქვეყანაში ძალადობა არის პიკზე მისული, ასეთ პირობებში ცხოვრებით არის ყოველივე გამოწვეული. ხალხი არის დაძაბული, აგრესიული და დეპრესიული და საკუთარ ქმედებებს ვერ აკონტროლებენ. იმასაც დავამატებდი, რომ დღევანდელმა ტელევიზიებმა ძალიან შეუწყო ხელი ასეთი ქმედებების პროპაგანდას, ამაში ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილს. მუდმივი აგრესიის ჩვენება ყოველდღე, საზოგადოების ქვეცნობიერში ტოვებს კვალს.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან კვლევაზე მინდა გითხრათ. არსებობს ასეთი ორგანიზაცია **„მსოფლიო მშვიდობის ფონდი“,** რომელიც აქვეყნებს ყოველწლიურად სუსტი ქვეყნების სიას, აქ იგულისხმება ის, თუ რამდენად დაძაბულია ქვეყანაში სიტუაცია, ანუ **„სისუსტის ინდექსი“ ჰქვია ამ კვლევას.**

აქ ერთი ინდექსია — **„უკმაყოფილო და შურისძიებით აღვსილი ადამიანების ან ჯგუფების არსებობა“** — კვლევიდან ჩანს, რომ ასეთი ადამიანების რაოდენობა საქართველოში 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ გაჩერდა, ანუ 2014 წელს აღარ მოიკლო, რატომ? იმიტომ, რომ ხალხის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა!

**ახლა მე გეკითხებით თქვენ, ასეთ პირობებში შეიძლება რომ ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობას“ მეორე ადგილზე აყენებს და ძირითად ოპოზიციად თვლის? ან საერთოდ იციან ამ კვლევების მონაცემების შესახებ? თქვენი გაზეთიდან მაინც გაიგონ და დაფიქრდნენ!** ეს არ არის შეცდომა და პერსპექტივაში დანაშაულიც კი?

**— რა არის ყველაფერ ამის მიზეზი ან ხელისშემშლელი ამ საქმეში?**

— ვფიქრობ, რომ ყველაფერ ამის მიზეზია **ძალიან ცუდი საკადრო პოლიტიკა.** მარტო ნდობის ფაქტორი კი არ უნდა განსაზღვრავდეს ახალი კადრის დანიშვნას. ამავე დროს პროფესიონალიზმი. ერთსაც გეტყვით **„მსოფლიო მშვიდობის ფონდის“** მონაცემებით საქართველო, როგორც ქვეყანა, არის **„სახიფათო რისკის ზონაში“** — იგულისხმება შიდა დაძაბულობა, რომელიც დღეს ჩვენშია.

**— შეიძლება, რომ ეს შიდა დაძაბულობა ვინმემ გამოიყენოს?**

— ცხადია, შეიძლება, სულ ერთი ბიძგი უნდა „გარედან“ და შესაძლებელია მოხდეს არეულობა. აქვე ვიტყოდი, რომ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები ხელისუფლებისთვის იყო იდეალური შანსი იმისა, რომ ჩამოეყალიბებინათ ნორმალური პოლიტიკური სპექტრი — **ეს შანსი მათ ხელიდან გაუშვეს.**

**— უელსის სამიტის გადაწყვეტილებები და „ნატოში“ გაწევრიანების საკითხზე ექსპერტთა აზრი არაერთგვაროვანია. თქვენ რას ფიქრობთ?**

— უახლოეს პერიოდში რომ არ მიგვიღებენ „ნატოში“ ეს ცხადია, თუმცა, ამან ზელი შეუწყო ახლო მომავალში ჩვენს საერთაშორისო ინტეგრაციის აუცილებლობას. პროცესები უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა უფრო დააჩქარა. რუსეთს ყოველთვის ექნება თავისი განსაკუთრებილი ინტერესი საქართველოს მიმართ, თუმცა დავამატებდი, რომ ნამდვილი დამოკიდებულება მათი ჩვენს მიმართ იყო არა სსრკ-ს დროს, არამედ მანამდე, ანუ 1921 წლამდე — აი, ის იყო მათი ნამდვილი სახე და ურთიერთობები.

**— არის მოსაზრება, რომ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, შეიძლება დადგეს უსაფრთხოების აპარატების ე. წ. „რადარების“ განთავსება აშშ-ს მიერ, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მე ვფიქრობ, ეს არ მოხდება, მათ არ სჭირდებათ ამ ეტაპზე ასეთი რამ, იმიტომ, რომ სააკაშვილის მეშვეობით დაკარგულ ცხინვალის ტერიტორიაზე, ამჟამად რუსეთს ორი სამხედრო ბაზა აქვს, ისევე, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე, დღეს მათ „ცხვირწინ“ რადარებს არავინ არ დაუდგამს და არ გააღიზიანებს. მათ დღეს ანგარიშს უწევენ, თუმცა, ნელნელა ასუსტებენ და ბოლოს შეიძლება განახორციელონ ეს გეგმა, ეს პროცესია.

**— დღეს უკვე თამამად ლაპარაკობენ „ნაციონალების“ შესაძლო რევანშზე, რომელსაც მოაწყობენ ისინი დესტაბილიზაციის გზით, ფიქრობთ, რომ ეს რეალურია?**

— რეალური იქნება იმ შემთხვევაში, თუ მათ **„გარედან“** ვინმე დაუჭერს მხარს.

**— „გარეთა“ მხარეში ვის გულისხმობთ, რომელ ქვეყანას?**

— ჩრდილოეთს, რომელიც სააკაშვილს გარეგნულად ძალიან სძულს, გაიხსენეთ 2003 წელი, ივანოვი რომ იყო ჩამობრძანებული გადატრიალების დროს, მაშინაც იმათ არ გაამარჯვებინეს? ტერიტორიები მათ მიართვეს, მთელი საქართველოს ეკონომიკა ხელში ჩაუგდეს და ახლა არ დაეხმარებიან რუსები?

**— გარეგნულად ისე ჩანს, რომ პუტინი ვერ იტანს სააკაშვილს...**

— პოლიტიკაში არსებობს ინტერესები და არა პიროვნებები, ამიტომ ვიმეორებ, თუ **„გარე ფაქტორები“** იქნება ჩართული, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა შეიძლება ძალიან გართულდეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ **მარტო სააკაშვილმა 38 000 რუსეთის მოქალაქეს მიანიჭა ორმაგი მოქალაქეობა,** სძულს ისინი მას?

**— სააკაშვილს, გარდა იმისა, რომ ბრალდებები წარედგინა, ქონებაც დაუყადაღეს, ფიქრობთ, რომ გადმოსცემენ პროკურატურას თუნდაც დაკითხვისთვის?**

— კეზერაშვილი არ გადმოსცეს და ამას გამოუშვებენ? რაც არ უნდა მოხდეს, პროკურატურამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მისი ეტაპირებისთვის, სხვანაირად სიმართლე არ გაირკვევა.

**— დაბოლოს, ბატონო გია, თქვენ როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი შეზღუდულად გრძნობთ რაიმეს მხრივ თავს?**

— მეორე არხის **„თავისუფალმა ტრიბუნამ“** ამოიღო ჩვენი გადაცემა პროგრამიდან, ეს რას ნიშნავს, ვერ მივხვდი იმიტომ, რომ „მწვანეთა პარტიას“ პარლამენტში წარმომადგენელი ჰყავს, ყველა კრიტერიუმს ვაკმაყოფილებთ, რა მოხდა, არ მესმის, ამ საკითხს აუცილებლად გამოვიკვლევ და საზოგადოებას ვაცნობებ ახლო მომავალში.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200





*სააქციო საზოგადოება „ინჟმშენი“ შექმნილია წარსულში თბილისის აღმასკომის ტრესტი “ინჟმშენის” ბაზაზე – 1997 წელს. ბოლო პერიოდში ს/ს „ინჟმშენი“ ასრულებდა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მთელ რიგ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობას. კერძოდ, ბოლო ათწლეულში ს/ს „ინჟმშენის“ მიერ აშენებული და რეკონსტრუირებულია ისეთი ობიექტები, როგორიც არის - სასტუმრო თბილისი „მერიოტი“, სასტუმრო „მერიოტი ქორთ-იარდი“ თავისუფლების მოედანზე, სასტუმრო „პლაზა“ ბათუმში, პრეზიდენტის რეზიდენციები თბილისსა და ზუგდიდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და თავდაცვის სამინისტროს მთელი რიგი ობიექტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და სხვა.*

*2005-2010-2012წ.წ. ს/ს „ინჟმშენზე“ ნაციონალური მთავრობის მიერ სხვადასხვა სახის რეპრესიები განხორციელდა, რომლებიც შემდგომში ორგანიზაციის მიმართ სისტემურ დანაშაულში გადაიზარდა. ამის შედეგად ორგანიზაციამ, რომელიც სხვადასხვა დროს 800-1500 მუშაკს ასაქმებდა, პრაქტიკულად, შეწყვიტა ფუნქციონირება და ახლა ელოდება სამართლიანობის აღდგენას, რომელიც დაანონსებული იყო ახალი ხელისუფლების მიერ არჩევნების წინ.*

*გვესაუბრება ს/ს „ინჟმშენის“ გენერალურ დირექტორი ბატონი **ნიკო შარაბიძე**.*



# როგორ და რატომ გაასწორა მიწასთან „ნაცმოძრაობამ“ რესპუბლიკაში ერთ დროს უძლიერესი სამშენებლო კომპანია?

- ს/ს „ინჟმშენი“ ათეული წლების განმავლობაში მოქმედებდა სამშენებლო ბიზნესში, შესაბამისად, აქტიურად ვიღებდით მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ტენდერებში, შედეგად, ხშირ შემთხვევაში, ვხვდებოდით გამარჯვებულები და ვასრულებდით სოლიდური მოცულობის სამშენებლო, სამონტაჟო სამუშაოებს. სამუშაოების მოცულობები წელიწადში 30-დან 45 მილიონამდე მერყეობდა, ვღებულობდით მნიშვნელოვანი რაოდენობის მოგებებს, რაც საშუალებას გვაძლევდა განგვევითარებინა ფირმის მექანიზაციის პარკი, შემოგვეტანა ახალი დანადგარები, დაგვენერგა მოწინავე ტექნოლოგიები მშენებლობაში, გარკვეულ თანხებს ვარიგებდით დივიდენდების სახით.

სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის შემოსვლიდან, 2-3 წლის განმავლობაში, როგორც საქართველოს სხვა ორგანიზაციებში – ჩვენთანაც დაიწყო მთავრობის მიერ გამოძალვა, ჯერ თითქოსდა საარჩევნო პროცესების აუცილებლობისათვის, შემდგომში კი დაიწყო პირდაპირი თანხების „შეწერა“, რისი საბუთებიც მრავლად მოგვეპოვება და თანდართული აქვს ჩვენს საჩივარს, რომელიც რამდენიმეჯერ გადავგზავნეთ საქართველოს პროკურატურაში.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, – ჩემი დაჭერის მიზეზს - მოგახსენებთ, რომ 2006 წელს ტარდებოდა ტენდერი კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ახლად შეძენილი შენობის რეკონსტრუქციის თაობაზე, სადაც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, გამარჯვებულად გამოვლინდა ს/ს „ინჟმშენი“. შესაბამისად, შევუდექით სამუშაოებს. სამუშაოები სრულდებოდა, კავკასიის უნივერსიტეტის დირექციის მიერ, ბანკი “რესპუბლიკიდან” აღებული სესხის ხარჯზე. მშენებლობის პროცესში, უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა **კახა შენგელიამ** შემომთავაზა, ხელისუფლების სახელით, „გამეთეთრებინა“ თანხები, „ნაციონალური მოძრაობის“ საჭიროებისათვის, რაზედაც ჯერ უარი ვუთხარი, ხოლო შემდეგ, როდესაც ამიხსნა, რომ ეს საკითხი მოდიოდა მთავრობიდან და არ გვაპატიებდნენ დავალების შეუსრულებლობას, იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი იმ პირობით, რომ შესაძლო შედეგებზე პასუხს თვითონ და თანხის მიმღებნი აგებდნენ. ამას მოჰყვა სამუშაოების მოცულობების ხელოვნურად გაზრდა (2 მლნ ლარის ოდენობით). აღნიშნული დაამტკიცა თვითონ ბატონმა კახა შენგელიამ. განხორციელდა გადარიცხვები – ბანკიდან თანხის გამოტანა რამდენიმეჯერადად. მთლიანად თანხა ჩემს მიერ გადაცემული იყო დანიშნულებისამებრ ბატონ კახა შენგელიასადმი, რაზედაც არსებობს გამოძიების დასკვნები და მოწმეთა ჩვენებები.

აღნიშნული ოპერაციის ჩატარების შემდეგ საფინანსო პოლიციის შემოწმებისას, მიუხედავად დაპირებისა, რომ მე ამ საკითხზე არ დამაკავეს ანგარიშ-ფაქტურების გაყალბების და გავრცელების ბრალდებით. ვინაიდან, ჩემი დაკავების შემდეგ კახა შენგელიამ ამჯობინა ამ საქმიდან დისტანცირება, მე იძულებული გავხდი მეთანამშრომლა გამოძიებასთან და 4 თვის შემდეგ გამომიშვეს, რისთვისაც გადაგვახდევინეს 2 000 000 ლარი, საგადასახადო შეთანხმების სახით და დამაკისრეს გირაო 1 000 000 ლარი. აღნიშნული თანხები მიღებული იქნა “საქართველოს ბანკიდან”



ს/ს “ინჟმშენის” მთელი ქონების და ჩემი და ჩემი ახლობლების პირადი ქონების იპოთეკით დატვირთვის ხარჯზე.

ციხიდან რომ გამოვედი, როგორც გითხარით ორგანიზაციის კვლავ ფეხზე დაყენება განვიზრახეთ, შესაბამისად გადავწყვიტეთ მონაწილეობა მიგველო სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და სხვა ტენდერებში, კერძოდ ანაკლიაში, ფოთში, ქობულეთში და სხვა. მაგრამ როგორც კი სამინისტროსთვის ცნობილი ხდებოდა, რომ ჩვენ გამოვიტანეთ ამ ობიექტების საბუთები, ან გავიმარჯვეთ რომელიმე ტენდერში, მაშინვე ხდებოდა ჩვენზე ზემოქმედება, რომ ან არ შეგვეტანა საჭირო დოკუმენტაცია ანდა ხორციელდებოდა, უკვე მოგებული ტენდერის სხვადასხვა მიზეზით გაუქმება. ამ ზემოქმედებას აწარმოებდნენ ინფრასტრუქტურის მინისტრის ბატონი **რამაზ ნიკოლაიშვილის** ხელქვეითები, მისივე დავალებით.

ბოლოს, როდესაც ველარ მოგვიშორეს თავიდან, ს/ს „საქართველოს ბანკი“ აიძულეს, რომ აღარ მოეცათ ჩვენთვის დაპირებული საშემსრულებლო გარანტია, უკვე მოგებულ ტენდერზე ქ. თბილისში ერთ-ერთი ობიექტის მშენებლობაზე – რის გამოც ორგანიზაცია მოიხსნა ტენდერიდან და მოგვეცა 1 წლით დისკვალიფიკაცია, რამაც საბოლოოდ გამოუთხარა ძირი ჩვენს ორგანიზაციულ სტრუქტურას. ამიტომ იძულებული გავხდით შეგვეწვიტა აქტიური სამშენებლო საქმიანობა და გაგვეთავისუფლებინა სამსახურიდან თანამშრომლები.

ამ მოვლენას წინ უსწრებდა ს/ს „ინჟმშენის“ ქ. წყალტუბოში იძულებით გადაასადგილებულ პირთა 10 სახლის მშენებლობიდან გამოყვანა და ამ სამუშაოების სხვა, გაურკვეველი წარსულის მქონე ორგანიზაციისათვის გადაცემა. მიუხედავად ამისა, რომ ობიექტების დამთავრებას ბევრი არაფერი აკლდა – 10-15%-მდე, ეს სამუშაოები ამ ორგანიზაციამ ხარისხიანად ვერ შეასრულა და რამაზ ნიკოლაიშვილის და მისი ხალხის ინიციატივით ჯარიმებიც ჩვენ აგვკიდეს.

არის კიდევ მრავალი ფაქტი, რომლებიც მეტყველებს თუ კიდევ რა მეთოდებით მოქმედებდა სააკაშვილის დამნაშავე ხელისუფლება ს/ს “ინჟმშენის” გასანადგურებლად. განადგურების მიზეზი კი იყო: ორგანიზაციიდან თანხების მაქსიმალურად ამოღება; ორგანიზაციის გაკოტრება და შესაბამისად, სხვა “შინაური” ორგანიზაციებისათვის გზის გათავისუფლება და ამ გზით თანხების ამოღება, მათ მიერ შერჩეული ორგანიზაციებიდან.

**დასკვნა ერთია, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კახა შენგელიას და რამაზ ნიკოლაიშვილის სახით, საქართველოს პროკურატურის და სასამართლოს მეშვეობით, გეგმაზომიერად გააკოტრა და მიწასთან გაასწორა რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძლიერესი სამშენებლო ორგანიზაცია. ეს იყო სისტემური დანაშაული. ანალოგიური დანაშაული განმეორდა სხვა ორგანიზაციების და ფირმების მიმართაც.**

მიუხედავად ამისა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ძალიან უხალისოდ აწარმოებენ საქმის გამოძიებას, მე მაინც არ მოვეშვები, სანამ არ მივაღწევ ჩემი და ჩემი ორგანიზაციის რეაბილიტაციას, როგორც მორალური ასევე მატერიალური ასპექტებით. იმედი მაქვს, ახალი ხელისუფლება გულისყურით მოეკიდება და ბოლოს და ბოლოს ვიპოვით სამართალს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ტრიალებს თუ არა სომხურ-რუსული ფული ქართულ მედიაში

ქართულ მედიასა და პრესაში ერთი მარადიული თემა არსებობს, რომელიც მუდმივად არის სასაუბრო, საჭოჭმანო, სანერვიულო, საკამათო და რომელსაც მაინც არაფერი შველის. დიახ, სწორად მიხვდით, ეს თემა თავად ქართული მედიაა, რომელიც, ღმერთმა უწყის, რას წერს, რა მიზნის მიღწევას აპირებს, რომელ ბატონს ემსახურება და, რა თქმა უნდა, საიდან ფინანსდება. ერთსა და იმავე გაზეთებში იბეჭდება ხოლმე მოძღვართან ინტერვიუები და ინტერვიუები იმ ადამაინებთან, რომლებიც ფსევდოლიბერალიზმის ნიღაბქვეშ ათასნაირ გარყვნილებასა და მანკიერებას ქადაგებენ. ზოგადად, საკითხი უნდა იდგეს ასე: მედია ყიდის გასართობს და როცა ის ველარავის გაართობს, მაშინ მედიაც აღარ გაიყიდება, მაგრამ ჩვეულებრივ რიგით მკითხველს ძალიან უჭირს საინფორმაციო ველში ორიენტირება, რაკი გაზეთების დიდ უმეტესობას არავითარი კონცეფცია არ გააჩნია, ერთადერთი, რაც აინტერესებს რედაქტორს, ეს არის გაზეთის გაყიდვა, გაზეთები, კი, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო ცუდად იყიდება. ამიტომ რედაქტორები (ყველა არა, ბუნებრივია) ცდილობენ, რომ დამკვეთი იყოს არა მკითხველი, არამედ ის ადამიანი, რომელსაც აქვს სურვილი თავისი მასალა ნახოს ამა თუ იმ ნომერში. ასე გაჩნდა შეკვეთილი წერილები, ასე გაჩდნენ შემკვეთები, ასე გაჩდნენ მუდმივი დამფინანსებლები და ასე გაჩნდა მედია, რომელსაც არავითარი კონცეფცია არ აქვს, არც სჭირდება და არც აინტერესებს. არც ის აინტერესებს, რას ფიქრობს მისი მკითხველი და არც ის, ახერხებს თუ არა საშუალო სტატისტიკური ქართველი ობივატელი ორიენტირებას ქართულ მედია-სივრცეში. ასეა თუ ისე, ამას დემოკრატიული მედია ეწოდება, ხოლო ფინანსური წრეების მიერ მართულ მედიას ვერავინ შეჰბედავს და ეტყვის, ტენდენციური ხარო. ელემენტარულად, საქართველოში ყველაზე უკეთ დაფინანსებულ ტელევიზიებს მოსახლეობის 3 თუ 4 % უყურებს, ხოლო ქართული ფილმი რამდენიმე წელია არ გვინახავს ქართულ ტელევიზიებში.

და მაინც, რატომ ხდება ისე, რომ რუსეთიდან დაფინანსებული გაზეთები ხშირად ისე იჭერენ თავს, თითქოს ქვეყანა ჩალით იყოს დახურული და ამ ქვეყანაში „ბრმების სკოლის“ გარდა არაფერი მუშაობდეს? რატომ ჰგონიათ, რომ შეძლებენ ყველას მოტყუებას და თუ ბოზი ქალივით არ გატყდებიან და შეინარჩუნებენ უნარს ადამიანს უყურონ თვალებში და ისე მოატყუონ, ეს მათ სასარგებლოდ იმეტყველებს? (სიტყვამ მოიტანა და ეს უნარი ისევე, როგორც შუბლის ძაღლვის არქონა თუ გაწყვეტა საკმაოდ ბევრ პოლიტიკოსს გამოადგა, მაგრამ მათი დიდი უმეტესობა ძალიან ცუდად დამთავრდა). ახლა ერთგვარი ცვლილებები იწყება ჩვენს მედია-სივრცეში და გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ რაღაც ლოგიკამდე მივალთ, თორემ შემდეგ არჩევნებზე არც გაზეთის წამკითხველი დაგვრჩება ვინმე და არც არჩევნებზე მიმსვლელი.



და მაინც, როგორ უნდა მოიქცეს მედია, რომ მას ვერ დაუმტკიცონ, საიდან არის დაფინანსებული? პირველი: შეძლებისდაგვარად უნდა ბეჭდოს, რაც შეიძლება ბევრი სისულელე, რაც შეეხება მეორე მეთოდს, აქ ცირკს უნდა მივმართოთ. (ჩვენი ცხოვრება და ჩვენი პრესა ცირკია, აბა, რა). ილუზიონისტი ჩასვამს ქალს ყუთში და ამ ყუთს ქალიანად გახერხავს, მაყურებელი უყურებს და ხედავს როგორ გახერხა ილუზიონისტმა ქალი, ყუთის გარშემო სიცარიელეა, ყველაფერი ჩანს, ანუ ეს ქალი ვერსად წავიდოდა იმ ყუთიდან. მოკლედ ამ მეთოდით „მუშაობენ“ ჩვენი გარედან დაფინანსებული გაზეთები. ისინი წერენ ისეთ რაღაცას, რომ საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის რუსული (და თქვენ წარმოიდგინეთ, სომხური) დაფინანსება არ იკითხებოდეს, დავაზუსტოთ, ლობი სომხურია, ფულია რუსული. მარტო გულზე მჯიღების ბაგუნი, მე პატიოსანი გამომცემელი ვარო ცოტაა იმისთვის, რომ ეჭვი არავის ჰქონდეს გარედან დაფინანსების. და, აი, ორი მსხვილი მედია-გამოცემა (ერთი ზედმეტად „სერიოზული“ გაზეთი და ერთიც უფრო ზედმეტად „სერიოზული“ ინტერნეტ-ტელევიზია) ფინანსდება რუსულ-სომხური არხებით, მაგრამ თავი ისე უჭირავთ, თითქოს მამა აბრამის ბატკნები არიან და ძალიან ცდილობენ სხვებს იქით დააბრალონ რუსულ ფინანსებთნ და რუსულ შეკვეთებთან თანამშრომლობა. ესეც იმ სერიიდანა, როცა ჯამბაზმა ქალი ჩასვა ყუთში და ის ქალი ვერსად წავიდოდა იმ ყუთიდან.

ერთი შეკითხვა ჩნდება აქ, რატომ მაინცდამაინც სომხური ლობის მეშვეობით? სიტუაცია ძალიან მარტივია. რუსებს მე-4 და მე-6 საუკუნის კულტურის ძეგლებზე საქართველოში არავითარი პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეთ, ამიტომ ხშირია ხოლმე ისეთი ინტრიგა, რომელიც მიზნად ისახავს სომხებისთვის კოჭის გაგორებას და ქართველი პოლიტიკოსების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მას ხშირად უკრავს ხოლმე კვერს. რუსეთიდან წამოსული დაფინანსება ისეთიც არსებობს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში გლობალიზაციის და გარყვნილების წინააღმდეგ ბრძოლას და ა.შ. მაგრამ სომხური ლობის მეშვეობით გადმოგზავნილი დაფინანსება (რომლის წყარო კი არის რუსეთში, მაგრამ ბოლომდე რუსულ დაფინანსებად ეს არ უნდა ჩაითვალოს) როგორც წესი, მიზნად ისახავს ხოლმე ქართულ- სომხურ ურთიერთობებში ერთგვარი დაძაბულობის შექმნას, სადაც სომხური ინტერესი გამოდის მოგებული. გასაკვირი ალბათ, აქ არაფერია, არც ისე შორეულ წარსულში სომხების პირდაპირი შთამომავალი (ასე ამბობენ) საქართლოს პრეზიდენტის სავარძელში იჯდა და გულმოდგინედ ძარცვავადა და ყვლეფდა ქვეყანას. ეს მედია-სივრცეც მისი „გენიალური“ პოლიტიკის ნაწილია და ის ფაქტი, რომ იმ კაცის ათიოდე ათას მომხრეს 5 ტელევიზია ყველანაირად ატყუებს და ისინიც სიამოვნებით იტყუებენ თავს, ესეც მის დამსახურებად უნდა ჩაითალოს. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ საქართელოს მთავრობის პირველი პირების ვიზიტები საზღვარგარეთ ჩვენს მედიას თითქმის გაუგებარი რჩება, ხოლო ჩვენი ექსპრეზო მუდმივად არის ყურადღების ცენტრში. ჩვენში დარჩეს და ეს ინფანტილიზმია, როცა, მაგალითად, ფილმი „ფანტომასი“ უკვე ორი წლის ჩამოსულია ეკრანებიდან, მაგრამ ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ძალიან ჰგავს ამ ფილმის მთავარ გმირს....

ჩვენ კი ვხუმრობთ, მაგრამ საკითხი გაცილებით სერიოზულად დგას, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. ჯერ ერთი, მედიაში უცხო ქვეყნიდან შემოსული ამ გაურკვეველი წარმომავლობის ფული რომ ტრიალებს, ეს უკვე ტრაგედიაა. იმდენად, რამდენადაც, ხალხი ველარ ახერხებს ერთმანეთში არეული ტყუილ-მართლის გარჩევას. მეორე ის, რომ უცხო ქვეყნიდან შემოსულ ფულს, როგორც წესი, რაღაც ტიპის დაცვა მოჰყვება ხოლმე და ყველას კარგად მოეხსენება, რომ სხვადასხვა




ქვეყნებში ჯაშუშური ქსელები ძალიან ხშირად არიან დაკავშირებული მედიასთან. დაბოლოს, თავად მთავრობის წევრებისთვის, მინიმუმ, ცოტა უხერხული უნდა იყოს საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, რომ არავინ ეკითხება ვიზიტის მიზეზს, როგორ ჩაიარა შეხვედრამ და ა.შ. სამაგიეროდ, სარფში რომ დაიბარა ექს–პრეზომ თავისი სარფიანი მომხრეები, ძალიან მაგრად გაშუქდა, გეგონება, ის იყოს პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც ერთდროულად. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, გვინდა მივმართოთ ხელისუფლებას - მეტი ყურადღება, ბატონებო, მეტი ყურადღება პრესას, სანამ ურემი გადაბრუნებულა.

**ანა გვაზავა**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# დღეს საპატიმრო დაწესებულებებში პატიმართა ცემა-ტყეპა აღარ ხდება, მაგრამ სხვა უამრავი პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია

**„სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წინა წლებთან შედარებით ვითარება მართალია, დადებითი კუთხით შეიცვალა, სისტემური ხასიათი აღარ აქვს პატიმრების ცემა-წამებას და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობას, მაგრამ გარკვეული პრობლემები რჩება. არის პატიმართა თვითმკვლელობის ფაქტებიც, რაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ობიექტურად უნდა გამოიძიოს, ყურადღება უნდა მიექცეს მის გამომწვევ მიზეზებს, თუ რამ აიძულა პატიმარი თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. გამომძიებლების მხრიდან არ უნდა იყოს კოლეგიალური დამოკიდებულება საპატიმროების თანამშრომელთა მიმართ, თუ მათი ბრალეულობა გამოიკვეთა, ბუნებრივია უნდა დაისაჯონ", განუცხადა „საერთო გაზეთს" ცნობილმა უფლებადამცველმა, ადვოკატმა გიორგი თევზაძემ.**

**ბოლო ხშირად მოგვისმენია, რომ შეიძლება ციხის თანამშრომელთა მხრიდან პატიმრებზე ზეწოლას სისტემური ხასიათი აღარ აქვს, თუმცა ახლა ციხის ე.წ. მაყურებლები ძალადობენ პატიმრებზე. ამ თემით განსაკუთრებით ნაციონალები აპელირებენ. გიორგი თევზაძის განცხადებით, მას ამგვარი ინფორმაცია არ აქვს, ამიტომ ვერც უარყოფს და ვერც დაადასტურებს.**



**გიორგი თევზაძე**: „ჩვენი ორგანიზაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგს ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დიდი ხანია აღარ აწარმოებს, არ გვაქვს საშუალება, რომ ყველა გავრცელებული ინფორმაცია ადგილზე გადავამოწმოთ. ჩვენ ინფორმაციას პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრების განცხადებებიდან ვიღებთ, რასაც სისტემატურად ვღებულობთ. ჩვენთან ნამდვილად არ შემოსულა იმ შინაარსის განცხადება, სადაც პატიმარი „მაყურებლის" არსებობაზე საუბრობდეს და მის მიმართ პრეტენზიას გამოთქვამდეს. ვადასტურებ, რომ პატიმართა მდგომარეობა კვლავ მძიმეა, არიან პატიმრები, რომლებიც სამედიცინო დახმარებას, მკურნალობას ითხოვენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სასჯელაღსრულების უწყების ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევს. ქსნის №15 დაწესებულებაში სასჯელს იხდის პატიმარი თეიმურაზ ნინუა, რომელიც მძიმედ არის დაავადებული, ფაქტობრივად „ც" ჰეპატიტი აქვს, გარდა ამისა, მას ყბის მიდამოში ჩირქოვანი დაზიანებაც ჰქონია. ნინუას განცხადება რამდენიმე თვის წინ მივიღეთ და მაშინვე მივმართეთ სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს, ამ უწყების სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მოგვწერა, შესწავლილი იქნება ხსენებული პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შესაბამის სამედიცინო დახმარებასაც მიიღებსო. როგორც პატიმრის ოჯახის წევრებმა მითხრეს, არავითარი რეაგირება არ მომხდარა. მივმართავ სამინისტროს ხელმძღვანელობას, წერილობანა საქმეს ვერ უშველის, მთავარი რეაგირების შედეგია, ექიმმა თუ ინახულა პატიმარი და გაესაუბრა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რეაგირება ის იქნება, როცა ავადმყოფ პატიმარს შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდება. იგივე სიტუაციაა პატიმარ თამაზ კეკელიასთან დაკავშირებითაც, რომელიც რუსთავის №17 დაწესებულებაში იხდის სასჯელს. კეკელია მძიმე ავადმყოფია, გარდა ტუბერკულოზისა, სხვა მძიმე დაავადებებითაცაა დაავადებული, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ პატიმართან დაკავშირებითაც მივმართეთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, გვაცნობეს, რომ პატიმარზე დაკვირვება მიმდინარეობს და აუცილებლად მოხდება რეაგირება, მაგრამ არავითარი შედეგი. როგორც გავარკვიეთ, ექიმმა ერთხელ კი მოინახულა პატიმარი, მაგრამ მერე აღარავინ გაკარებია. სამწუხაროდ წინა ხელისუფლების დროინდელი ტენდენციები კვლავაც გრძელდება, რაც ცუდის მანიშნებელია. ვიმეორებ, პატიმრების ცემა-წამება აღარ ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა. თამაზ კეკუამ ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროების ერთობლივ კომისიასაც მიმართა, რომელიც მძიმე პატიმრების საქმეებს იხილავს და სასჯელების გადავადებას ახდენს. ხსენებულმა კომისიამ თუ ობიექტურად იმჯელა და იმედია, რომ იმსჯელებს, კეკელიას სასჯელი აუცილებლად უნდა გადაუვადონ. ჩემი ინფორმაციით, თუ საკითხი დადებითად არ გადაწყდება, კეკელია შიმშილობის დაწყებას აპირებს, რომელიც მის ჯანმრთელობაზე ძალზე ცუდად აისახება. როგორც სჩანს, მას ბოლომდე არ სჯერა, რომ მის საქმეს ობიექტურად განიხილავენ. როცა საზოგადოებაში ასეთი კითხვები ხელისუფლების მიმართ, ამ უკანასკნელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ საზოგადოებას მეტი ნდობა გაუჩნდეს სამთავრობო სტრუქტურების მიმართ. პატიმრებთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ორი ძირითადი საკითხია დაუყოვნებლივ გადასაწყვეტი, პირველი, რომ პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობას მიექცეს სათანადო ყურადღება და მეორე, გადასინჯული იქნას იმ პირთა საქმეები, რომლებიც თავს უკანონო პატიმრებად მიიჩნევენ".

აი, რას სწერს ქსნის №15 დაწესებულების პატიმარი ლევან ქანთარია „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოცუზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის" ხელმძღვანელ გიორგი თევზაძეს, „2009 წლის 23 ივლისს პოლიციელებმა ნარკოტიკი ჩამიდეს, რასაც უამრავი თვითმხილველი შეესწრო. ამის გამო პოლიციელებმა გადაწყვიტეს აღიარების მოსაპოვებლად უსასტიკესად ვეწამებინე. პოლიციის განყოფილებაში საათების განმავლობაში მაწამებდნენ, რასაც ვიდეოკამერით იღებდნენ, წამების მიუხედავად დანაშაული არ დავიბრალე. წამების შედეგად დამიზიანეს მარჯვენა თვალი, რის გამოც მხედველობა დამიქვეითდა, მომტეხეს ცხვირი. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ წამების ფაქტს აჭარის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი რევაზ ჯაში იძიებს, თუმცა დღემდე შედეგი არ დამდგარა. გამოძიება ხელოვნურად ჭიანურდება, რისი მიზეზც ვფიქრობ, პოლიტიკური ნების არარსებობაა. 2009 წლის 23 ივლისს ბათუმის №3 საპყრობილეში მომათავსეს, სადაც თითქმის ერთი წელი ამ დაწესებულების დირექტორის, რეჟიმის უფროსისა და სხვა თანამშრომლების მხრიდან ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ქვეშ ვიმყოფებოდი. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ხსენებული დაწესებულების დირექტორი და რეჟიმის უფროსი სს-ის პასუხისგებაში იქნენ მიცემული, პროკურატურამ დაზარალებულად მცნო. 2010 წლის ივნისში მოხდა ჩემი ეტაპირება რუსთავის №16 დაწესებულებაში. კოლონიაში შესახლების დროს უსასტიკესად მაწამეს. ახალი



ხელისუფლების მოსვლამდე აქაც ცემა-წამებაში ვიმყოფებოდი. ახალმა ხელისუფლებამ ამ დაწესებულების თანამშრომლებიც დასაჯა და შესაბამისად მე დაზარალებულად მცნეს.

როგორც მოგახსენეთ, სასჯელს ვიხდი უკანონოდ სს-ის კოდექსის 260-ე მუხლით (ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოს შეძენა-შენახვა). 2012 წლის ამნისტიამ სასჯელი 1/4-ით შემიმცირა და დამიტოვა შვიდი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელიდან ხუთ წელზე მეტი მოვიხადე, დამრჩა 2 წელი და ხუთი თვე. ცემა-წამებისგან დავინვალიდდი, ვსაჭიროებ ოჯახში რესოციალიზაციას, თუმცა ხელისუფლება ჩემს დახმარებაზე არ ფიქრობს. გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში დამეხმაროთ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნასა და რეკომენდაციაში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ წამების მსხვერპლი რეაბილიტირებული უნდა იქნეს, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებითა და მიხედვით, განაჩენის აღსრულება უნდა იქნეს შეწყვეტილი. ამ რეკომენდაციის ადრესატი საქართველოს ხელისუფლებაცაა. რადგან ჩვენი სახელმწიფო დემოკრატიულია, არის ევროსაბჭოს წევრი, ვითხოვ ხსენებული რეკომენდაციის შესრულებას, რაც ხელს შეუწყობს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციას და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. ახალი ხელისუფლების დანაპირების შესრულება სამართლიანობის აღდგენის შესახებ გარდა იმისა, რომ მმართველი კოალიციის რეინტიგზე დადებითად იმოქმედებს, ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრებს სამართლიანობას ჩვენს ქვეყანაში...".

**გიორგი თევზაძე**: „ქართული ოცნება" ხელისუფლების სათავეში როცა მოდიოდა, პირობა დადო, რომ გადაიხედებოდა ყველა ის სს-ის საქმე, რომელშიც მსჯავრდებულები თავს უკანონო პატიმრებად მიიჩნევდნენ. საქმეების შესწავლის გარეშე შეუძლებელია იმის ხელაღებით თქმა, ვის მიმართ დაირღვა კანონი და ვის მიმართ არა, შეიძლება ვიღაც მიიჩნევს რომ დაირღვა, მაგრამ სინამდვილეში არ დარღვეულა. ალბათობის თეორია აქ არ გამოგვადგება, თუ გვეღირსა და შეიქმნა ხარვეზების დამდგენი კომისია, რაც პარლამენტის დონეზე უნდა შეიქმნას, მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შევიდნენ გამოცდილი იურისტები და უფლებადამცველები. სამწუხაროდ დღესაც იმაზე მიდის საუბარი რა მექანიზმი უნდა შეიქმნასო. საქართველოს ხელისუფლება ხომ აღიარებს, რომ წინა ხელისუფლების დროს სასამართლო პროკურატურაზე იყო დამოკი-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

დებული, მართლმსაჯულება მოიკოჭლებდა, იყვნენ უკანონო პატიმრები? ერთი საეჭვო მოწმის ჩვენების საფუძველზეა ხალხი გასამართლებული, ასეთი ფაქტები მრავლადაა, თუნდაც სამუდამო პატიმრობა მისჯილი გოგიტა მჭედლიშვილის საქმე ავიღოთ, რომელიც რუსთავის №6 საპყრობილეში იხდის სასჯელს (აღნიშნულთან დაკავშირებით „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდა ვრცელი სტატია – მ.ს.). როდესაც ასეთი ფაქტები არსებობს, გამოტა ხნის წინ №8 საპყრობილიდან მივიღე პატიმრის განცხადება, სადაც მხოლოდ ის ეწერა, გთხოვთ შემხვდეთ, სხვა შემთხვევაში შიმშილობას გამოვაცხადებო. მას მივაწვდინე ხმა, რომ ასეთი რადიკალური ქმედება შეუსაბამოა, რადგან არ არსებობს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მომცემს პატიმარი, როგორც უფლებადამცველმა ისე მოვინახულო, მითუმეტეს, რომ ის მიუსჯელი პატიმარია, ვთხოვე უფრო კონკრეტულად მოეწერა რა აწუხებდა, რომ ტროს მხრიდან, რომ კონკრეტულ პატიმარს შევხვდეთ, ოღონდ ის უნდა იყოს მსჯავრდებული და არა მიუსჯელი პატიმარი. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა მინისტრ მღებრიშვილთან გასაუბრება. სხვათა შორის, არაერთხელ დავაყენეთ საკითხი სასჯელაღსრულების სისტემაში საზოგადოებრივი მონიტორინგის შესახებ, ამ ინიციატივას საერთაშორისო ორგანიზაციებიც უჭერდნენ მხარს, მაგრამ ქვეყანაში ამის განხორციელების პოლიტიკური ნება არ არსებობდა. არადა ასეთი მონიტორინგის საბჭო 2000 წელს, მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობისას შეიქმნა, მიშას ეს პიარისთვის ჭირდებოდა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციით შექმნა, ამ საბჭოს წევრები ვიყავით ის უფლებადამცველები, რომლებიც წლების განმავლობაში ვმუშაობდით ამ სფეროში. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ სააკაშვილმა თითონვე გააუქმა ეს საბჭო, იმ პერიოდში იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი გახლდათ (საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელი თავმჯდომარე), რომელიც თავადაც იყო ამ საბჭოს წევრი. მათ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს და გააუქმეს საბჭო, რომლის მუშაობაც ყოველთვის დადებითად ფასდებოდა. ძალიან კარგი იქნება თუ საზოგადოებრივ მონიტორინგს თუ აღადგენენ, რადგან ეს თვითონ სასჯელაღსრულების სამინისტროსთვისაც კარგია, რადგან საზოგადოება დღესაც ნაკლებად ენდობა ხსენებული სამინისტროს ინფორმაციას, თუნდაც თვითმკვლელობასთან დაკავშირებით, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ნაწილი მაინც. როდესაც დამოუკიდებელი პირი, რომელსაც საზოგადოების ნდობის მანდატი აქვს, გამოიტანს საპატიმროდან რეალურ ინფორმაციას, ობიექტურად შეისწავლის იქ რა მოხდა და იტყვის, რომ მართლაც სუიციდის ფაქტი მოხდა, ამ პატიმარს ჰქონდა დეპრესია



დის რომ მსჯავრდებულთა მოთხოვნები სამართლიანია. პატიმრებს არ უნდა დაჭირდეთ შიმშილობა და პირის ამოკერვა იმისთვის, რომ მათი განაჩენები გადაიხედოს. ეს ყველა ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულებაა. შეწყალების კომისიის მიმართაც არსებობს პრეტენზიები. პატიმრები, რომლებიც ახლახანს შიმშილობდნენ, სწორედ შეწყალების კომისიის გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. არავის უნდა დაავიწყდეს, მათ შორის ჩემს კოლეგებს, გუშინდელ ადვოკატებს, რომლებიც დღეს პარლამენტში სხედან, რომ პატიმარი, რომელიც საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, ციხიდან გაბოროტებული არ უნდა გამოვიდეს. საკმაო დრო გავიდა, რაც სასჯელაღსრულების სისტემაში ახალი მინისტრი მოვიდა, მაგრამ უფლებადამცველებს ჯერ არ შეგვხვედრია, რომ საკუთარი ხედვა გაეცნო, შეიძლება მან ჯერ ვერ მოიცალა, მაგრამ ეს შეხვედრა აუცილებელია, მას ჩვენი ხედვებიც უნდა გავაცნოთ“.

**- ძირითადად რის შეთავაზებას აპირებთ?**

- ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, როცა სოზარ სუბარი გახდა სასჯელაღსრულების სისტემის მინისტრი, რამდენიმე დღეში გვთხოვა შეხვედრა, სხვა საკითხებთან ერთად მე მას შევთავაზე, რომ შექმნილიყო საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭო ან სხვა რაიმე ფორმატი, რაც უფლებადამცველებს უფლებას მოგვცემდა შევსულიყავით საპატიმროებში, ადგილზე გავცნობოდით პატიმართა მდგომარეობას, შემოსული განცხადებების შესაბამისად მოგვეხდინა რეაგირება. პატიმრის წერილი ერთია, მაგრამ ის რეალურად უნდა გადამოწმდეს. ცოჩვენ ამ საკითხზე გვემსჯელა. ამის შემდეგ მივიღე მისი ფართო განცხადება (გამოძიება არასწორად მიმდინარეობსო), რომელიც მთავარ პროკურატურას გადავეცით რეაგირებისთვის. ასე ყველა პატიმარს აქვს გარკვეული ეჭვები, საუბარი სხვა რაღაცაზეა, როდესაც პატიმარი მოგმართავს, უნდა გქონდეს იმის საშუალება, რომ შეხვდე და გაესაუბრო. მოშიმშილე პატიმრებმაც მთხოვეს შეხვედრა, მაგრამ ამავე მიზეზით უარი ვუთხარი, მერე როცა ამ საკითხის შესახებ ვესაუბრე სასჯელაღსრულების სამინისტროს ხელმძღვანელობას, მითხრეს შეწყალების კომისიის თავმჯდომარე იყო მოშიმშილეებთან შესული და ეს საკითხი უკვე დარეგულირდაო. რამდენიმე დღის წინ მქონდა შეხვედრა ხსენებული უწყების წარმომადგენლებთან, ეს საკითხი დავსვი, განვიხილეთ და იმ აზრამდე მივედით, რომ ყველა კონკრეტულ საკითხზე, როდესაც მომავალში ან განცხადება შემოვა ან გვექნება რეალური ინფორმაცია და აუცილებელი იქნება უფლებადამცველთა შესვლა საპატიმროში, უნდა იქნეს გამონაკლისი უფლება დაშვებული სამინისდა მის გარდაცვალებაში სხვა პირი, თუნდაც ციხის თანამშრომელი არ მონაწილეობდა, საზოგადოების თვალში ამ ინფორმაციას ცხადია, უფრო მეტი ნდობა ექნება.




**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი* ***მთვარისა კევლიშვილი.***

**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**–რა ფორმით და რა პირობებით ხდება ჯარიმის, როგორც სასჯელის სახის, გამოყენება?**

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველის სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შინაარსს:

– მუხლი 42. ჯარიმა

1. ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი.

2. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.

3. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

4. სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს გადასახდელი ჯარიმის ოდენობა ლარებში.

5. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის.

51. თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

6. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით.“

* * *

**-შეიძლება თუ არა, სასამართლოს ჩარევის გარეშე შეეზღუდოს მშობელს გარკვეული უფლება?**

-ვინაიდან, კანონი ბავშვის ინტერესების დაცვას ანიჭებს ძალიან დიდი მნიშვნელობას, იგი ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს, ე.წ. „ სანქციებს“ იმ მშობლების წინააღმდეგ, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ ბავშვის რჩენასა და აღზრდაზე.

თუმცა, გახსოვდეთ: სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება, შეზღუდოს მშობლის უფლება! მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ერთი ან რამდენიმე უფლების შეზღუდვა.

* * *

**-განვქორწინდი მეუღლესთან სასამართლო წესით, მაგრამ განქორწინება არ დაგვირეგისტრირებია. ვითვლებით თუ არა განქორწინებულად?**

-არა.

ქორწინება შეწყვეტილად ითვლება განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

გახსოვდეთ: განქორწინების დარეგისტრირება შესაძლებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი წლის განმავლობაში, რომელიმე მეუღლის ინიციატივით. თუ ეს სამი წელი ისე გავიდა, რომ არცერთმა მეუღლემ გადაწყვეტილება რეგისტრაციაში არ გაატარა, ისინი კვლავ დაქორწინებულებად ჩაითვლებიან.

* * *

**-რის განსაზღვრა შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებით?**

-საქორწინო ხელშეკრულებით მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა შეიძლება.

* * *

**–უარს ვამბობ სამკვიდროდან ჩემი წილის მიღების შესახებ ძმის სასარგებლოდ. რა ფორმით, რა ვადაში უნდა გავაკეთო ეს?**

–თქვენ უფლება გაქვთ, უარი თქვათ სამკვიდროს მიღებაზე როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. უარის თქმისთვის, კანონმდებლობით დადგენილია სამთვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როცა თქვენ შეიტყვეთ ან უნდა შეგეტყოთ, რომ მიწვეული ხართ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად შეუდექით სამკვიდროს ფლობას – ამ დროს, ეს ვადა შეადგენს 6 თვეს.

# დავით მაჭარაშვილი: ხაზგასმით აღვნიშნავ, რეცეპტის მიღება ექიმისგან არავითარ დამატებით ხარჯებს არ ითვალისწინებს...

გვესაუბრება საქართველოს შრომის, სოციალური დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით მაჭარაშვილი.**

**— ბატონო დავით, დასაწყისში ავუხსნათ ჩვენს მკითხველს, რატომ გახდა საჭირო რეცეპტულ სისტემაზე გადასვლა?**

— რეცეპტულ სისტემაზე გადასვლა რაიმე ახალი ნოვაცია არ გახლავთ, გვახსოვს ეს ინსტიტუტი არსებობდა საქართველოში, ახლა, უბრალოდ, მოხდა აღდგენა. ჯერ კიდევ 2009 წელს კანონმდებლობაში გაჩნდა ჩანაწერი რეცეპტის ფორმა დამტკიცებულიყო, თუმცა მომხმარებლისთვის აუცილებელი არ იყო წარედგინა აფთიაქში რეცეპტი, ამის იმპერატიული მოთხოვნა არ იყო. უშუალოდ რეცეპტულ სისტემაზე გადასვლა ორი ძირითადი გარემოებით გახდა აუცილებელი. ეს გახლავთ რაციონალური ფარმაკოთერაპია, ანუ სამკურნალო საშუალებების რაციონალურად დანიშვნა. თვითმკურნალობის წინააღმდეგ ბრძოლა. მოგეხსენებათ, საქართველოში უამრავი ადამიანი მიმართავს თვითმკურნალობას, ახლობლების რჩევით იღებენ სამკურნალო პრეპარატებს. ხშირ შემთხვევაში, თვითმკურნალობა არათუ დადებითი შედეგის მომცემია, პირიქით, დაავადების გაუარესებას იწვევს. მეორე ძირითადი მიზეზი რეცეპტულ სისტემაზე გადასვლის გახლავთ ეგრეთ წოდებული საფთიაქო ნარკომანია, რადგან მეორე ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტი არათერაპიული დოზით, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება თრობის მისაღწევად. იყო რამდენიმე ნივთიერება, რომელიც ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ყოველგვარი კონტროლის გარეშე იყიდებოდა, მათზე არ არსებობდა არანაირი ბერკეტი აფთიაქებში შეეზღუდათ მათი გაცემა.



**— რამდენად მზად არიან ჩვენი ექიმები გადავიდნენ რეცეპტულ სისტემაზე? როგორია პროფესიულად მათი მომზადების დონე?**

— გულახდილად გეტყვით, უფრო ბევრ სირთულეებს მოველოდი პირველი სექტემბრიდან, თუმცა რაღაც მცირე ტექნიკური ხარვეზები იყო. მაგრამ იმის პრობლემა, რომ ექიმი არ წერს რეცეპტს, ნამდვილად არ ყოფილა. რეცეპტულ სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება ერთ დღეში არ მიგვიღია. კანონში ცვლილება ჯერ კიდევ შარშან შევიდა, რომელიც წელს იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო. ზუსტად იმის გამო, რომ საფუძვლიანად მომზადებულიყო საზოგადოების ინფორმირება, ჯანდაცვის სამინისტრომ თხოვნით მიმართა საკანონმდებლო ორგანოს პირველ სექტემბრამდე გადავადებულიყო. სწორედ ეს დღე ემთხვეოდა ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის ამოქმედების მესამე ეტაპის დაწყებას.



სექტემბრამდე ცხრა გაცნობითი სახის შეხვედრა გვაქვს გამართული, როგორც სამედიცინო, ასევე ფარმაცევტულ სექტორთან მთელი საქართველოს მასშტაბით. დამატებით გაიწერა პილოტური პროექტი-გეგმა, შევთავაზეთ, ეტაპობრივად მომხდარიყო ფარმაკოთერაპიული ჯგუფების მიხედვით სამკურნალო საშუალებების რეცეპტის ინსტიტუტზე გადასვლა. ოთხ ეტაპზე იყო გაწერილი პროცესი. ასევე დავავალდებულეთ, რომ მოეწოდებინათ ინფორმაცია არსებული ვითარების შესახებ, როგორი იყო პაციენტების მიმართვიანობა, რამდენი რეცეპტი იწერებოდა. ყოველთვიურად მოგვდიოდა ინფორმაცია და გვქონდა იმის ნიშნები, რომ რეცეპტულ სისტემაზე გადასვლა ამართლებდა. ახლა გეტყვით, თუ რატომ დამჭირდა ასე დაწვრილებით საუბარი. ბოლო დროს გახშირდა ჩვენი სამინისტროს დადანაშაულება უმოქმედობაში, თითქოს ჩვენ არ ვიყავით ინფორმირებული, ასე ნამდვილად არ არის. ჯერ კიდევ შარშან დაიწყო ამ საკითხზე საუბარი საზოგადოებასთან, რაც კარგად ახსოვს მოსახლეობას, როგორც ბეჭდურ მედიაში, აგრეთვე ტელევიზიით. სამედიცინო და ფარმაცევტული სექტორის წარმომადგენლებს შევთავაზეთ რეცეპტების რამდენიმე ნიმუში და მათთან შეთანხმების შემდეგ შევჯერდით, საბოლოოდ რომელი ყოფილიყო მოქმედებაში.

**— თქვენი თქმითყგამოდის, რომ პაციენტი რეცეპტს ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე მიიღებს ექიმისგან.**

— თავისთავად, არანაირ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული ნებისმიერ პრეპარატზე რეცეპტის მიღება ექიმისგან, მით უფრო დღეს, როდესაც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე საყოველთაო დაზღვევით სარგებლობს. როგორც იცით, სამედიცინო სერვისების უმრავლესობა უფასოა და მათ შორის რეცეპტის მიღება, ხაზგასმით აღვნიშნავ, უფასოა, არანაირ დამატებით ხარჯებს არ ითვალისწინებს.

**— დაბოლოს, გამოდის, მოსახლეობას ვურჩევთ, რომ არ დაიზარონ და ექიმთან გაიარონ კონსულტაცია.**

— ეს ცვლილება პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებასთან და არანაირად არ ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს, თუმცა გარკვეული პრეტენზიები მაინც იყო, ხელოვნურად თუ რეალურად თავად საზოგადოებამ განსაჯოს. ეს აუცილებელი ნაბიჯია იმისთვის, რომ ვიზრუნოთ ხალხის ჯანმრთელობაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ავადობების სტატისტიკისთვის ხომ მაინც გვჭირდება. ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რამდენად სწორად დაუნიშნა ექიმმა პაციენტს მკურნალობა. მსოფლიოში, ალბათ, არ არსებობს ქვეყანა, სადაც ურეცეპტოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობდნენ წამლებს და არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. კიდევ გიმეორებთ, ჩვენ, უბრალოდ, ალვადგინეთ რეცეპტის გამოწერის ტრადიცია და ახალი არაფერი გამოგვიგონია.

**გია ბურდული**
**551 71 27 07**


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.



წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ამ პერიოდში ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი გართობასა და დასვენებას დაუთმეთ. გელით ბევრი სასიამოვნო ინფორმაცია. ამ პერიოდში დაგეგმილი საქმიანი მივლინება წარმატებას გპირდებათ.

**კურო** — თქვენს ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. გელით პერსპექტიული წინადადებები. ფინანსურ ოპერაციებში წარმატებას ადვილად მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ.

**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში მცირედი ვნებათაღელვის მიუხედავად, ეს პერიოდი პოზიტიურად ხასიათდება. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ, ნურც წვეულებებზე იტყვით უარს.

**კირჩხიბი** — საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სიფრთხილე გმართებთ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას. ამ პერიოდში დაგეგმილი ხანგრძლივი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**ლომი** — გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა იღბლიანი პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ. დრო გამონახეთ მეგობრებისთვისაც. რთულ სიტუაციაში დახმარებისთვის სწორედ მათ მიმართეთ.

**ქალწული** — თქვენთვის წარმატებული პერიოდი დადგა. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია დაისადგურებს. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებშიც.

**სასწორი** — ადვილად ნუ რავის ენდობით. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან ურთიერთობისას. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. ამ პერიოდში მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ.

**მორიელი** — სიფრთხილე გმართებთ ჯანმრთელობასთან მიმართებაში, კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ.

**მშვილდოსანი** — ხელმძღვანელობასთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**თხის რქა** — პირად ცხოვრებაში მცირედი იმედგაცრუება გელით. ფინანსურ ოპერაციებში წარმატებას ადვილად მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ.

**მერწყული** — ეს პერიოდი პირადი ცხოვრების მოწესრიგებას დაუთმეთ. ერიდეთ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტურ სიტუაციას. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**თევზები** — ეცადეთ, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები დაგეგმოთ, რადგან წარმატებას ადვილად მიაღწევთ. ერიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამ პერიოდში დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

ISSN 2233-3983

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№32, სექტემბერი, 2014 წ.

კობა არაბული

# გამრუდებული პოლიტიკური სივრცე და დანგრეული ინტერიერები



**შესავლისთვის**

ამბობენ, შვიდი პლანეტის გარეთ მდგომი მერვე, უხილავი პლანეტა ყველაზე ძალიერ გავლენას ახდენს პლანეტებზე.

ივანიშვილი „საჭადრაკო დაფის“ გარეთ მდგომი ფიგურაა, მაგრამ დიდ გავლენას ახდენს ამ დაფაზე მიმდინაზე მოვლენებზე როგორც მწვრთნელი და თუ ეს ასე არ იქნება, იქნება ძალიან ცუდი, რადგანაც „ეს სამყარო“ და დღევანდელი ჩვენი რეალობა მისი შექ-



მნილია და ყურადღების გარეთ არ უნდა დატოვოს!..

ეს სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს (დაიხვეწოს) მის მიერ!

მე არ ვიცი, რითია ცუსი ოლიგარქი და ოლიგარქობა, ოლიგარქი რომ არ იყოს და ბაქრაძისებრ, გაბაშვილისებრ, მოლაშხიასებრ, წიკლაურისებრ ან რომელიმე მათგანისებრი კეჟერა მწნილივით, ან სააკაშვილისებრ „ბუდაყი“ რომ იყოს, კარგი იქნებოდა?..

ესენი, ნაცები ყველანი გაჭრილი ფშაური ხაჭოსავით ჰგვანან ერთმანეთს შიგადაშიგ ობი და შიგადაშიგ ხაჭო რომ მოუჩანს, მაგრამ ის დელიკატესია, ესენი (ნაცები) კი ყველანი შხამიანი სოკოებივით იწამლებიან...

შესანიშნავია, რომ ის (ბატონი ბიძინა) მართლაც ოლიგარქია და ბრწყინვალე ქველმოქმედი და არარის ნაცისტების ბელადივით „ოლიგოფრენი“ რაც დაბადებიდან ჭკუასუსტობას ნიშნავს (იხ. ლექსიკ.).

საქართველო გადაარჩინა უფალმა, რომ ამ პიროვნების ინტელექტი და ქველობა მოუვლინა ქართველ ერს უმძიმეს აპოკალიფსურ დროში!

ნაცების ბელადი უწიგნურს, გაუნათლებელს, პროვინციელს უწოდებს მას „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან: „კაცი, რომელიც გალაკტიონს კაკალაშვილისგან ვერ არჩევდა და რუსთაველის ერთი სტროფის წარმოთქმაც კი არ შეეძლო სწორად, მისმა შინაგანმა „ლიბიდომ“ და ჯიშმა დაანგრია ქართველი ერის კულტურა და ცნობიერება, მოშალა მთელი მატერიალური სივრცე, რომლის აღდგენასაც ახლა ივანიშვილი და მისი მემკვიდრე ხელისუფლება ცდილობს...

ნაცებმა და პოლიტიკანებმა ყალბი სენტენციებით გააჯერეს ქართული სააზროვნო სივრცე: რითია ცუდი თუ პრემიერი ღარიბაშვილი რჩევას შეეკითხება გადამდგარ პრემიერს: ადამიანს, რომელმაც ეს ქვეყანა პროკრუსტეს სარეცელიდან ააყენა! რატომაა დანაშაული, რომ მასწავლებელი და მრჩეველი ჰყავდეს პრემიერს, ან სხვა ვინმეს — თვით მაჰათმა განდის ჰყავდა მრჩეველი, დავით აღმაშენებელსაც ჰყავდა. მაკედონელის მრჩეველი არისტოტელე იყო და როდესაც აღარ მოუსმინა, დაიღუპა კიდეც!

სააკაშვილს მრჩეველი რომ არ ჰყავდა თავისი სულელი თავის გარდა, ანდა მაკკეინი და მოლაშხია რომ ჰყავდა, იმიტომ დაატყდა უბედურება თავზე ჩვენს ქვეყანას...

ერეკლე II-საც ჰყავდა მრჩეველი და მასწავლებელი, სოლომონ ლიონიძე და ერთი ხევსური ხევისბერი. უსმენდა და ეკითხებოდა მათ. თუ ქრისტიანული საქართველო დღეს არსებობს და მუეძინების ძახილი არ გვაღვიძებს, ეს მისი (პატარა კახის)გენიალური განჭვრეტის შედეგია...

ბარაქალა ბიძინა ივანიშვილს, თუ იგი არ იშურებს სიტყვას და კეთილ სურვილებს ახალგაზრდა პრემიერისთვის, რომელიც მეტად ნიჭიერი და ორიგინალური ადამიანია და მრავალი სახიფათო ძალა უსაფრდება და უპირისპირდება — მათ განეიტრალება სჭირდება.

ვითარება რთულია: გადახრილია პოლიტიკური სივრცე, გამრუდებულია მოვლენათა პროცესი და ინტერიერი — დაშლილი და ანექსირებულია ქვეყანა — გადაადგილებულია საგნები და მოვლენები, რომელიც აღმოჩნდა ირაკლი ღარიბაშვილის მოსავლელი და გადასარჩენი... ეს ურთულესი მისია ამ „უჟამო ჟამში“ უფალმა დააკისრა მას! ივანიშვილი არ უნდა გავიდეს ამ სივრციდან და ჩვენ უნდა მოვუწოდოთ გონიერ ნაწილს ქვეყნისას — ერსა და ბერს, რომ აქტიურად ჩაერთოს გადარჩენის პროცესში! და ამოუდგნენ მხარში მას, ვისაც ჯერ არს...

ჩემი ღრმა რწმენით, ბიძინა ივანიშვილი უფრო უნდა გააქტიურდეს და მოუახლოვდეს საჭადრაკო დაფას!.. გასაკეთებელია ურთულესი და გამორჩეული სვლები „ბედისწერული ცაიტნოტის“ დასაძლევად!

* * *

როდეს ძველი ისტორიული თემიდან ბრუნდები ერთგვარი მითის ბურუსი მოგდევს: თითქოს მოვლენებს უფრო მარტივად და გამჭვირვალედ ხედავ:

იგივე ქალაქი „ტროას ცხენებით“, იგივე მასმედია: „პანდორას ყუთებით“ ათასნაირი სიცრუის და ცილისწამების ბაქტერიებს რომ აფრქვევენ...

ჩვენ ვიმკით „კოაბიტაციის“ ფატალურ შედეგს — მკვლელები რომ დაგიდგებიან საფლავთა გუშაგად და „ძილისპირულს“ გიმღერებენ...

ვინმე მარნეულელი თატარი გამოჩნდება „რუსთავი-2“-ის ეკრანზე და იტყვის, რომ უნდა განდევნონ „ქართული ოცნება“, რომელიც ევროპის და დემოკრატიის მტერია...

იგივე ეკრანზე გამოჩნდება უკრაინის ნაციხარი შინაგან საქმეთა მინისტრი, უცხო ქვეყნის აგენტი და გამოაცხადებს, რომ საჭიროა ნაციონალების აჯანყება „ქართული ოცნების“ დასამხობად... ასეთი რამ სხვაგან არსად ხდება და არც შეიძლება მოხდეს...

რამდენიმე სატელევიზიო არხი აჰყვება ერთმანეთს ჭაობის ბაყაყებივით და იმეორებენ ერთსა და იმავე სიცრუეს, ცილისწამებას: უშვერად, უტიფრად ლანძღავენ ხელისუფლებას, გადააწერენ საკუთარ ცოდვებს და ა.შ.

თავი სულ სხვა ქვეყანაში, სხვა სახელმწიფოში გეგონება, ისე შეუზღუდავად და ვერაგულად, ისე უტიფრად განაქიქებენ საკუთარ ხელისუფლებას, ერს, ქართულ მენტალობას ესდ „თეთრი ყვავები“...

ათასნაირი მკვლელის ადვოკატი, ვიგინდარა არასამთავრობოელი და პოლიტიკანი ლაყბობს და ყელყელობს ჯაშუში ტელეეკრანებიდან, გაგდებული ჰყავთ ენაზე ქვეყანა...

ათასი ჯურის მოქალაქეთა და მოხელეთა ასეთი საქციელი, დემოკრატიობანას თამაში, ლიბერტიანელთა იერიშები შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქვეყანას...

„ქართულ ოცნებას“ ძვირად დაუჯდება შემოგდებული „კოაბიტაცია“: ასე საკუთარ თავსაც დაიმარხავს და ქვეყანაც დაიღუპება...

* * *

მკვლელების ბანდა, რომელიც მიწაში, წყალში, ციხეებში, ქუჩებში, მორგებში ახრჩობდა და აუპატიურებდა საკუთარ მოქალაქეებს, ბედავს ხმის ამოღებას და მუქარასაც კი!.. და სახიფათო დაპირისპირებას ქვეყნისთვის „ოკეანელი“ „ქორების“ მხარდაჭერით...

მეტად სახიფათოა ქვეყნისთვის ნაცებთან კოაბიტირებული არასამთავრობოები, არასამთავრობოებთან კოაბიტირებული რესპუბლიკელები, ანტიეროვნული ჰიბრიდული ტელევიზიები — ეგრეთ წოდებული „თავისუფალი ზონის“ ჰომოსექსუალები და მეძავები...

საკმაოდ სახიფათო ფენომენია დღევანდელი პრეზიდენტი, ის არ არის მარტივი ფიგურა: მას აქვს ქვეცნობიერებაში დაფარული „უნარები“, რომელსაც ზიანის მოტანა შეუძლია ქართული სახელმწიფოსთვის.

მე თავის დროზე გამოვთქვი მოსაზრება ამის თაობაზე და დავწერე, რომ: „მარგველაშვილი და რესპუბლიკელები იქცევიან ივანიშვილის აქილევსის ქუსლად და საქართველოს დამმარხველად, თუ გონს არ მოვალთ“... მართლაც, მარგველაშვილმა „ფეხი დაუდო“ „ქართულ ოცნებას“ და საგრძნობლად დაამუხრუჭა იგი. დიახ, ჯერ ინტუიციას არ ულალატია ჩემთვის...

ვფიქრობ: თუ ხელახლა არ მობრუნდა ის, ვინც ერთხელ უკვე გადაარჩინა ქვეყანა, არაფერი გამოვა, თუ იგი უფრო არ გააქტიურდა, არაფერი მოხდება: „ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს“ (ფოლკ.) და მე ინტუიცია მკარნახობს, რომ ეს მართლაც ასეა!..

* * *

„ნაცები“ ვერ ინელებენ ივანიშვილის ფენომენს, რომელმაც ამოაგდო ამ „ჰიქსოსები“ ბანდიტური კასტა სახელმწიფო სტრუქტურებიდან მათი „მშობიარობის“ IX წელს და ქვეყანა გადაარჩინა სრულ კატასტროფას...

3 gv.



ძვირფასო მეგობრებო, გაწევრიანდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

# სისხლით, ხორცით და სულით სამშობლოსთან შესისხლხორცებული



1995 წლის 19 სექტემბერს სვეტიცხოველში გამართულმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა არქიმანდრიტი მამა გრიგოლი (გრიგოლ ფერაძე) წმინდანად შერაცხა და მას მღვდელმოწამე გრიგოლი უწოდა.

**გრიგოლ ფერაძის კანონიზაციის საფუძვლად შემდეგი პირობები მიიჩნიეს:**

1. მოწამებრივი სიკვდილი ქრისტესთვის;
2. გამორჩეული საეკლესიო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა;
3. დიდი დამსახურება ეკლესიისა და ერის წინაშე;
4. კეთილმსახური, მართალი, წმინდა ცხოვრება;
5. უმწიკვლო მართლმადიდებლობა.

მისდამი დაწერილ სავედრებელში, მოკლედ და სხარტად არის შეფასებული გრიგოლ ფერაძის ნაღვაწი: **„ღმერთი დაუსაბამო მართლმადიდებლობით ისიბრძნისმეტყველა, სულიცა თვისი დასდვა მოყვასისთვის... თავი თვისი შესწირა ქრისტესა და გვირგვინი უხრწნელებისა მოიგო“.**

## სწავლა, სამხედრო ბეგარა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა

ცხოვრების გზა უწინარესად გარემომ განაპირობა — ფერაძეებს მღვდლების ოჯახს ეძახდნენ. მღვდელი იყო გრიგოლის მამა, მამა ბესარიონი, ერისკაცობაში რომანოზ ფერაძე, რომელიც გორის საოსტატო სასწავლებელში ვაჟა ფშაველასთან ერთად სწავლობდა, დედა — მარიამ სამადალაშვილი მოძღვრის ოჯახიდან გახლდათ. სასულიერო პირი იყო ბიძაც, რომელმაც მამობრივი მზრუნველობა არ დააკლო ობლად დარჩენილ ძმისშვილებს.

სასულიერო სასწავლებლის შემდეგ გრიგოლმა სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის რექტორიც იმ დროს დეკანოზი კორნელი კეკელიძე იყო. სწორედ მან გაუწია შუამდგომლობა საკათალიკოსო საბჭოს წინაშე, რომ სემინარიის საუკეთესო კურსდამთავრებული გერმანიაში, თეოლოგიის ფაკულტეტზე სასწავლებლად გაეშვათ. სემინარია კი დაამთავრა 1918 წელს, მაგრამ გერმანიაში შექმნილი პოლიტიკური არეულობის გამო გამგზავრება ვერ მოხერხდა და იმ წელს დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) განყოფილების სტუდენტი გახდა. იმავდროულად, ქართლის სოფლებში მასწავლებლობდა.

სულ მალე „სამხედრო ბეგარამ“ მოუწია და დროებით სწავლის შეწყვეტა მოუხდა. სამხედრო წვრთნა მაშინ გამოადგა, როცა 1921 წლის გაზაფხულზე საქართველოს ბოლშევიკებმა შემოუტიეს — გრიგოლი თავის ორ ძმასთან ერთად იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად იბრძოდა. ამ მძიმე პერიოდს ასე იხსენებს გრიგოლ ფერაძე: „მთელი **საქართველო სისხლში ცურავდა. სამივე ძმა ფრონტზე ვიყავით. დედაჩემი თბილისში იყო. არაფერი იცოდა ჩვენ შესახებ. სამი ძმიდან პირველი მე დავბრუნდი სახლში. ბინა გაქურდული დამხვდა. ქალაქი შიმშილობდა. დრო არ მქონდა დასვენებაზე მეფიქრა. უნდა მეჩქარა, რათა უმცროსი ძმა მომეძებნა. სხვადასხვა ცნობა მოდიოდა მის შესახებ... ძლივს მივაგენი დაკარგულ ძმას, რომელსაც ჩემი ჩასვლის დღეს ფეხი მოჰკვეთეს“.**

როცა ბოლშევიკები თბილისში შემოვიდნენ, ჯარიდან დაბრუნებულ გრიგოლს შესაძლოა, პრობლემები შექმნოდა, ამიტომაც კორნელი კეკელიძემ დედაქალაქს გაარიდა და სოფელ მანავში მასწავლებლად გაგზავნა. ქვეყანასა და ქართულ ეკლესიას მძიმე პერიოდი დაუდგა. გრიგოლი წუხდა: **„ამაო გამოდგა ყველაფერი, ჩვენს ქვეყანას წითლები დაეპატრონნენ, მათ შეუტიეს ყოველივე ქართულს, ყოველივე წმინდას, შიშმა დაისადგურა ირგვლივ“.**

1921 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ ურჩია, საქართველოდან გამგზავრებულიყო. გელათში გამართულმა მესამე საეკლესიო კრებამ გრიგოლ ფერაძის ევროპაში სასწავლებლად გამგზავრება გადაწყვიტა.

**„მახსენდება უკანასკნელი აღდგომის დღესასწაული სამშობლოდან გამომგზავრებამდე. ეს იყო 1921 წლის 1 მაისი, ლოცვას აღავლენდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე. წირვის დამთავრებისას, როცა პატრიარქი ტაძრიდან გამოვიდა, შეჩერდა, მან ჩემი ორივე ხელი აიღო და მამობრივი მზრუნველობით წარმოთქვა მრავალგზის: განეშორე, იხსენი შენი სიჭაბუკე! შევიგრძენი მამაშვილური მზრუნველობა, სიმწარე, ტკივილი და სევდაც“,** — წერდა გრიგოლი.

## ევროპაში სწავლა და იძულებით იქ დარჩენა

1921 წლის ნოემბრის დასაწყისში, საკათალიკოსო საბჭოს, უშუალოდ ახალი კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას, კორნელი კეკელიძისა და ივანე ჯავახიშვილის შუამდგომლობით, გრიგოლ ფერაძე სრულფასოვანი თეოლოგიური განათლების მისაღებად ევროპაში გაემგზავრა. ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს დიდმა მეგობარმა არტურ ლაისტმა, რომელმაც სარეკომენდაციო წერილი გაუგზავნა გერმანელ თეოლოგსა და მწერალს, საზოგადო მოღვაწე იოჰანეს ლეფსიუსს, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს ყოველმხრივ ეხმარებოდა...

ჯერ ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობდა თეოლოგიასა და აღმოსავლურ ენებს, შემდეგ ბონში გადავიდა, ფილოსოფიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. იქაურობა — ბარაქიანი მიწით, რბილი კლიმატითა და ბუნებით მას საქართველოს აგონებდა; ხალხის გულღიაობამაც მოხიბლა:

**„იქ ჩემთვის ყველაფერი ახლობელი და კარგად ნაცნობი იყო... ძალზე მომეწონა აგრეთვე ცხოვრება პატარა საუნივერსიტეტო ქალაქში, სადაც ყველაფერი უნივერსიტეტის გარშემო ტრიალებდა, უნივერსიტეტი ყველაზე წინ და ყველაფერზე მაღლა იდგა. ასეთ ადგილას ძალიან მალე შეიძლება იგრძნო თავი როგორც საკუთარ სახლში. ადამიანი მალე ეჩვევა აქაურობას და შეუძლია მხოლოდ თავისი საქმიანობით შემოიფარგლოს“.**

1927 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართული ბერ-მონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე“. ამ ნაშრომისთვის მას ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

შემდგომი ორი წლის განმავლობაში, ბრიუსელში აღმოსავლურ ენებს ეუფლებოდა. ენებში ცოდნის გაღრმავებას შემდგომ წლებშიც აგრძელებდა — მისი ბიოგრაფიის მკვლევართა ცნობით, გრიგოლ ფერაძემ სულ 27 ენა შეისწავლა, მათ შორის: ძველებრაული და ძველბერძნული, სირიული და არაბული, კოპტური, სომხური, ლათინური და თანამედროვე ენები: ინგლისური, ფრანგული... გარდა ამისა, იცოდა გერმანული, რუსული, ძველი სლავური... როდესაც ვარშავის უნივერსიტეტში პოლონურის გარდა სხვა ენებზე ლექციების წაკითხვა აკრძალეს, სულ ორი თვე დასჭირდა, რომ სალექციო კურსი პოლონურად მოემზადებინა. ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავიანთ ქართველ რექტორს ზედმეტსახელად „ენციკლოპედია“ შეარქვეს.

უცხოეთში სასწავლებლად წასულ გრიგოლ ფერაძეს და ბევრ სხვა ქართველს სამშობლოში უკან დაბრუნება გაუჭირდათ. გრიგოლმაც არაერთხელ სცადა, მაგრამ უშედეგოდ. უკვირდა, რატომ არ აძლევდნენ ამის საშუალებას, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, **„გამოველ საქართველოდან კანონიერი გზით აქ სასწავლებლად და საბჭოთა მთავრობის ნებართვით დავტოვე საქართველო...“** 1927 წელს, მორიგი უარის შემდეგ, უაღრესად სასოწარკვეთილი წერდა:

**„საბჭოთა მთავრობა პასპორტს არ მაძლევს. ჩემი თხოვნა უარყოფილია, არ ვიცი რისთვის. პოლიტიკურ პარტიებს არ ვეკუთვნი. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ მიმუშავია. ჩემ მიზანს მუდამ შეადგენდა და შეადგენს ჩვენი მეცნიერების და კულტურისადმი სამსახური. ამისათვის ვემზადებოდი და ეხლა,**



**როგორც სჩანს, ყველაფერი ამაოდ. ერთხელ კიდევ ვეცდები, და თუ კიდევ უარი მითხრეს, შევეცდები ემიგრანტთა ცხოვრებას შევეგუო. საშინლად ვიტანჯები. არაფრის ხალისი არა მაქვს...“**

აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა და უცხოურ სამეცნიერო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში ქართულ ხელნაწერებს, საქართველოზე არსებულ მასალას ეძებდა და იკვლევდა. მოილოცა ათონის მთაც, სადაც უნიკალურ ხელნაწერებს მიაგნო, ბევრი სიწმინდე მოიპოვა, მათ შორის გარდამოხსნა, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და როგორც გენერალი შალვა მაღლაკელიძე წერდა, არასოდეს იშორებდა. სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდეგ გარდამოხსნა გაქრა.

## სულიერი ღვაწლის გზაზე...

**„შეიძლება სამეცნიერო კარიერას მთლად თავი დავანებო და საეკლესიო სამსახურს შევუდგე. სახლში ხომ მაინც არ მიშვებენ (მიზეზი არ ვიცი!) და აქ ქართველოლოგიას სხვებიც გამოუჩნდებიან და მიუხედავად დიდი სიყვარულისა მეცნიერებისადმი, იგი სრულიად არ მაკმაყოფილებს“,** — წერდა გრიგოლი.

32 წლის იყო, ლონდონის ბერძნულ ეკლესიაში ბერად რომ აღიკვეცა, მალევე — ჯერ დიაკვნად, ხოლო ერთი თვის თავზე პარიზის ბერძნულ ეკლესიაში მღვდლად აკურთხეს. 1931 წლის 31 მაისს მამა გრიგოლი მისივე დაარსებული პარიზის წმინდა ნინოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის მღვდელმსახურად დაინიშნა. იმავე დღეს ჩატარებულ პირველივე წირვაზე მრევლს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

**„მართლმადიდებლობა არის და იქნება უდიდესი განძი, რომელიც ჩვენ ერს ოდესმე ჰქონია; ამ განძისათვის მსხვერპლად იწირებოდნენ ჩვენი წინაპრები... მართლმადიდებლობა არის თვით ღირებულება — მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის ღირს ცხოვრება და სიკვდილიც“.**

30-იანი წლების დასაწყისისთვის პარიზი ქართული ემიგრაციის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა, რადგან სწორედ საფრანგეთის დედაქალაქს შეაფარა თავი საქართველოს დევნილმა მთავრობამ, იქ მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე მრავალრიცხოვანი მრევლი არსებობდა. მამა გრიგოლს სურდა, პარიზი ქართული კულტურისა და სულიერი ცხოვრების განვითარების კიდევ ერთ კერად ექცია და ეს საქმიანობა თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედაც დაისახა. სჯეროდა, რომ სამრევლოს ჩამოყალიბება დიდი ნუგეში იქნებოდა საქართველოდან გადახვეწილი და სამშობლოს მონატრებული ქართველებისთვის.

მამა გრიგოლის შედგენილი ქართული ეკლესიის წესის თანახმად, ამ ტაძარში მხოლოდ ქართველ მღვდელმსახურებს უნდა ემსახურათ და აუცილებლად — ქართულ ენაზე.

ქართველობა უცხოეთშიც დაქსასული და პოლიტიკურად ერთმანეთთან დაპირისპირებული აღმოჩნდა. სულ რამდენიმე თვეში მამა გრიგოლს უიმედობა მოეძალა:

**„უმიზნო პოლიტიკური ბრძოლები, სულისშემხუთავი მძიმე ატმოსფერო დაეუფლებოდა ჩვენს ემიგრაციას. რამდენიმე თვეში მთელი ჩემი ენთუზიაზმი ჩაქრა. როგორც სრულიად უცხოს მიერ დაწერილს, ისე ვკითხულობდი რელიგიურად მგზნებარე ნაწარმოებს — „ქერუბიმთა ჰიმნს“, რომელიც ბონში ლოგინში მწოლიარე ავადმყოფმა დავწერე“.** ერთგვარად საყვედურობდა საკუთარ თავს, რომ დრო ტყუილუბრალოდ დაკარგა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ხელი დააკლო. თანაც, მხოლოდ ეკლესიის წინამძღვრობით თავის გატანა ძნელი იყო, ამიტომაც სამოძღვრო მსახურებასთან ერთად პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა მსოფლიოს უძველეს უნივერსიტეტებში, აგრძელებდა ქართული ხელნაწერების მოძიებას, ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაზე...

1932 წლის დამლევს დედის გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს. „ახლა **უკვე შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ბოლო ფიზიკური ძაფი (რადგან სულიერად და კულტურულად სამშობლოსთან ყოველთვის ძალზე მჭიდროდ ვიყავი დაკავშირებული) გაწყდა ჩემსა და ჩემს სამშობლოს შორის. მისი გარდაცვალების თაობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას ვიღებდი. ოფიციალური განცხადების თანახმად, დედა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, ჩემი ძმა კი მწერდა, რომ დეკემბერში დედამ მთელი ღამე პურის რიგში გაატარა, დილით კი უგონოდ მყოფი უცხო ადამიანებმა მიიყვანეს და მალე კიდეც გარდაიცვალა. „შენახული მაქვს დედაჩემის ყველა წერილი და მსურს აღვწერო მისი ცხოვრება, როგორც კი საამისო დრო და სიმშვიდე მომეცემა“.**

პარიზში ყოფნისას, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა და გამოიცა წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებელი მრევლის ორგანო — ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომლის პირველ ნომერში (1931 წლის აგვისტო) რედაქცია წერდა: **„ჯვარი ვაზისა“ ემსახურება ემიგრაციაში საეკლესიო ცენტრის მოწყობას და ქართველთა შორის უცხოეთში რელიგიურზნეობრივ გრძნობათა გაღრმავებას. გარდა ამისა, ეცდება შეძლებისდაგვარად ყოველ ნომერ-**

**ში მოათავსოს რაიმე მცირე გამოკვლევა ჩვენი წარსული ცხოვრებიდან“.** ჟურნალის რამდენიმე ნომრის გამოცემა მოხერხდა და მას, ფაქტობრივად, „ერთი ავტორ-თანამშრომელი ჰყავდა და ეს იყო გრიგოლ ფერაძე“.

### გრიგოლ ფერაძის ცხოვრების პოლონური ეპოპეა

სულ მალე გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და საქმიანობა პოლონეთს დაუკავშირდა. ვიდრე ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი გახდებოდა, მიიღო თანხმობა, რომ წელიწადში ორჯერ მაინც პარიზში წმინდა ნინოს ეკლესიის მართლმადიდებელ მრევლთან შესახვედრად ჩავიდოდა, ხოლო არდადეგების პერიოდში საზღვარგარეთ სამეცნიერო მუშაობას გააგრძელებდა. გარდა ამისა, მამა გრიგოლის მოთხოვნით, პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარებულიყო.

ვარშავაში გადაიტანა ყველა ის წიგნი თუ სიძველე, რომლებიც მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებსა თუ სავანეებში, ბიბლიოთეკებში მოიძია და მოიპოვა. მათ შორის იყო გარდამოხსნა...

1940 წლიდან მუდმივად დასახლდა ვარშავაში. მძიმე დროს მოუწია პოლონეთში ცხოვრება, როცა ქვეყანა გერმანელი ფაშისტების მიერ იყო ოკუპირებული. ომის დროს, ვარშავის დაბომბვისას თავშესაფარში არ იმალებოდა, მიცვალებულებს აპატიოსნებდა და დაჭრილებს ეხმარებოდა. დაუფარავად მფარველობდა პოლონეთში მცხოვრებ ებრაელებს...

### აღსასრული

1942 წლის 4 თუ 5 მაისს გესტაპომ გრიგოლ ფერაძე ვარშავაში დააპატიმრა. მამა გრიგოლი ეხმარებოდა და იფარავდა ფაშისტებისგან დევნილ ებრაელებს და მისი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. იმავდროულად, პოლონელ იატაკქვეშელებთან თანამშრომლობაც ჰბრალდებოდა. სამწუხაროდ, იგი ქართველმა გასცა. მისი დაპატიმრებისთანავე დალუქული ბინის ჩხრეკისას პოლიციელებმა ბიბლიოთეკაში, წიგნების უკან ინგლისური ფული აღმოაჩინეს. გესტაპოს წარმომადგენელთა მტკიცებით, ეს თანხა ებრაელთა დახმარების ფონდისთვის იყო განკუთვნილი და მამა გრიგოლის საწინააღმდეგო უტყუარ ნივთმტკიცებას წარმოადგენდა.

გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფიის მკვლევართა მოსაზრებებით, სამალავში ფული მამა გრიგოლს არ შეუნახავს და ეს უკეთური საქციელი მისივე მოდგმის ნახელავია. ისტორიკოსი გ. საითიძე წერს: **„აქ კონკრეტულ პირებზეა საუბარი, რომელთა შთამომავლები დღესაც ცოცხლები არიან და ცნობები ოფიციალური დოკუმენტებით ჯერჯერობით არ დასტურდება, ამიტომაც თავს შევიკავებთ მათი გვარების დასახელებისაგან“.**

განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს შეიცავს ვიქტორ ნოზაძის წერილი, რომლითაც მან მიმართა ქართულ ეროვნულ საბჭოს პარიზში. როგორც ამ „მიმართვიდან“ ირკვევა, გრიგოლ ფერაძის პირად ნივთებთან ერთად გერმანელთა ხელში აღმოჩნდა გრიგოლის დღიური, რომლის სამხილად გამოყენება სურდათ. ვიქტორ ნოზაძე ასახელებს ექიმ გრიგოლ ალშიბაიას, რომელიც **„ამ „დღიურს“ დაატარებდა გესტაპოს დავალებით გადასათარგმნელად და იმისათვის არა ერთს მიმართა, ოღონდ მის თარგმანზე უარი განაცხადეს ჩვენმა მოღვაწეებმა...“**

იმავე წლის ნოემბერში ოსვენციმის ბანაკში გადაიყვანეს. უმძიმეს პირობებში სულიერი სიმტკიცე შეინარჩუნა, მოძღვრის ღირსებას არ უღალატა და უფლისა და მოყვასისთვის თავის დადების მაგალითი უჩვენა.

ოსვენციმის ბანაკის ადმინისტრაციის ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, ცნობილია გრიგოლ ფერაძის დაღუპვის ზუსტი დრო: 1945 წლის 6 დეკემბერი, 16 საათი და 45 წუთი. ოსვენციმში პოლონეთის იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენლის 1945 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ: **„ბანაკი ოსვენციმი. აქ გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ მოყვანილი გრიგოლ ფერაძე, პროფესორი, თეოლოგი, მართლმადიდებელი ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი“.** ამავეს ადასტურებს ბანაკიდან დაბრუნებული პატიმარი, რომელმაც არქიმანდრიტ ფერაძის ჯვარი მიტროპოლიტ დიონისეს გადასცა.... არსებობს მისი გარდაცვალების ორი ვერსია:

I – გრიგოლთან ერთად ბანაკში იმყოფებოდა მრავალშვილიანი პოლონელი პატიმარი, რომელიც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა მოახლოებული დასჯის გამო. ამიტომაც მის მაგივრად ნებაყოფლობით შესულა გაზის კამერაში;

II – ბანაკში მოუკლავთ გერმანელი ოფიცერი, რომლის მკვლელს ადმინისტრაციამ ვერ მიაკვლია. ამიტომაც ყველა პატიმრის დასჯა გადაუწყვეტიათ: დედიშობილები ყინვაში გამოუყვანიათ და დამუქრებიან, ვიდრე მკვლელს არ დაასახელებთ, აქ იდგებითო. გრიგოლ ფერაძეს, სხვების გადასარჩენად, დაუბრალებია გერმანელის სიკვდილი... ამბობენ, რომ ჯერ ძაღლები მიუსიეს დასაგლეჯად, შემდეგ კი ბენზინი გადაასხეს და გადარჩენილ ტყვეთა თვალწინ დაწვეს.

ზურაბ ჭავჭავაძე, გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფიის ერთ-ერთი მკვლევარი ამბობდა, რომ **„სრული უტყუარობით ისტორიული სიმართლის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ მან სხვისი (თუ სხვების) სიცოცხლის გადასარჩენად თავი გასწირა და გმირული თავდადება გამოიჩინა“.**

### ბოლოთქმა

ფართო საზოგადოებამ გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფიისა და მისი მოღვაწეობის შესახებ ბოლო ხანს შეიტყო. ჩვენ მხოლოდ ბოლო პერიოდში გავიგეთ, თუ რა მოიმოქმედა მან საქართველოდან საფრანგეთში გატანილი ქართული საგანძურის გადასარჩენად, რომელსაც „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად“ წოდებული და საქართველოს ეკლესიისგან „ექვთიმე ღვთისკაცად“ წოდებული ექვთიმე თაყაიშვილი უდგა დარაჯად. როცა გერმანელმა ნაცისტებმა მთელი ევროპა,



მათ შორის – საფრანგეთიც, დაიპყრეს, შეიტყვეს, რომ პარიზის ბანკში ერთი პატარა ქვეყნის ისტორიული ნივთები ინახებოდა და მათი ღირებულებით დაინტერესდნენ. შესაფასებლად სწორედ გრიგოლ ფერაძეს უხმეს – ცნობილ მეცნიერსა და ექსპერტს. მან გასცა ცნობა, რომლის თანახმადაც ბანკში შენახული იყო ეროვნული შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც მხოლოდ ქართველებისთვის იყო ფასეული. გერმანელები ენდნენ მეცნიერის დასკვნას და ქართული საგანძურისადმი ინტერესი აღარ გამოუჩენიათ. დასკვნის უტყუარობაში ოდნავი ეჭვი რომ შეჰპარვოდათ და სიმართლე გამოაშკარავებულიყო, გრიგოლ ფერაძეს უცილობელი დახვრეტა ელოდა.

ვიქტორ ნოზაძე გრიგოლ ფერაძეზე წერდა:

**„განსვენებული პიროვნულადაც იყო უმწიკვლო ადამიანი, განუსაზღვრელად სპეტაკი და ღრმად მორწმუნე. მას ჰქონდა უძვირფასესი მეცნიერული წიგნთსაცავი, მაგრამ ამას გარდა მას ჰქონდა ისეთი საგნებიც, რომელიც საქართველოსათვის დიდად მნიშვნელოვანი იყო... ძვირფას ქართულ გარდამოხსნას, რომელშიც ათასობით ოქროს აძლევდნენ, არა ჰყიდდა – საქართველოს მუზეუმს უნდა მივართვაო!.. დაბეზღების შედეგად და გესტაპოს ულმობელობით ეს ჩვენთვის დიდი კაცი დაიღუპა. და მასთან ერთად გაქრა მისი ქონებაც. გადარჩენილი მცირე და უმნიშვნელო ნაწილი წიგნთა, რომელიც ბ. თენგიზ დადეშქელიანმა კეთილი ნებით ვარშავიდან ქართულ ეკლესიას პარიზში მიუტანა, იყო მხოლოდ უბადრუკი ნაშთი გრიგოლ ფერაძის ძვირფასი ბიბლიოთეკისა! ამ უბრალო წიგნთა გარდა მთელი ქონება უდროოდ და უსამართლოდ დაღუპული ქართველი მეცნიერისა უკვალოდ გაქრა“.**

საბედნიეროდ, უკვალოდ არ გამქრალა ღვაწლი გრიგოლ ფერაძისა, რომელიც ქართულმა ეკლესიამ ქართველ წმინდანთა დასის წევრად შერაცხა და მღვდელმოწამე გრიგოლი უწოდა.

**ელზა ნაბახტეველი**

# გამრუდებული პოლიტიკური სივრცე და დანგრეული ინტერიერები

1 gv.

მაგრამ „ესენი“, „ნაცები“ მაინც დატოვეს „ჰიბრიდულ“ მდგომარეობაში, რომელსაც გაზრდა და გამრავლება შეუძლია! – ჩვენ ეს უნდა გვახსოვდეს!

* * *

მათ გაუჩნდათ „სარეზერვო“ სისტემები შიგნით და გარეთ... მხარდამჭერთა კლანები ხელისუფლებაში, პარლამენტში, ისინი იწყებენ გამოცოცხლებას შეწამლული ხოჭოებივით (მძინარე ხვლიკებივით!)... გააქტიურეს ფიგურა, რომელსაც პრეზიდენტი ჰქვია...

„ოცნებამ“ ვერ თუ არ შექმნა მხარდამჭერი სატელევიზიო ქსელი ახალი პოლიტიკური სივრცე „რუსთავი-2“-ის და სხვა ნაცისტურ-ექსტრემისტული არხების ანაბარა დარჩა.

ფაქტობრივად, ქვეყანას ეს ნეგატიური მასმედია და მათ მიერ აგორებული ჭორი და დემაგოგია მართავს, რაც სახიფათოა ახალ ფეხადგმული სახელმწიფოსთვის...

* * *

ვიტყვი იმასაც, რომ საგანგაშოა „ნაცების“ განგაში ყველაფერზე და არაფერზე მხოლოდ ქვეყანაზე ნეგატიური კრიმინალური ფონის შესაქმნელად! ცილისწამება ქვეყნის იმიჯის დასანგრევად; განგაშის მუდმივი ისტერია ივანიშვილის და სხვათა წინააღმდეგ

„ნაცებს“ მათი დაუსჯელობის სინდრომი, მათი სათბურის „კოაბიტაციურ“ რეჟიმში ყოფნა ყველაფრის თქმის და ქმნის უფლებას აძლევს პარლამენტში და პარლამენტს გარეთათ. მათ, ფაქტობრივად, საკუთარ ცოდვათა გადაბრალების ფონი შექმნეს „ქართული ოცნებისადმი“ და რამდენადმე შეძლეს კიდეც – „ჩემი შენ გითხარიო“-ს დამკვიდრება...

ტელევიზიის გარეშე დარჩენილი „ოცნება“ პასუხის გაცემასაც ვერ ახერხებს. ეს მართლა საგანგაშო მოვლენაა.

დაზარალაბეულ, განადგურებულ საზოგადოებას აღაშფოთებს „ნაცების“ უტიფრობა, მათი სათბურის რეჟიმში ყოლა! ქართველ საზოგადოებას უჭირს მკვლელებთან და ჯალათებთან თანაცხოვრება და მათი ყურება! მათი სამართლებრივი დაუსჯელობა ქართველ კაცს პირადი „შურისძიების“ სახიფათო (საბედისწერო) ზღვარზე აყენებს! ეს თვითონ „ნაცებსაც“ ხელს აძლევს „კრიმინალური“ ისტერიების ასატეხად და ეს პროცესი თანდათან რთულდება, თუ „ნაცებს“ არ მიეჩინათ თავისი ადგილი და არ გამოცხადდნენ კრიმინალ-ჯალათთა კლანად!..

* * *

თემს ჰქონდა ასეთი ბრწყინვალე ადათი: როდესაც პიროვნება არღვევდა ადათ-წესებს, თემის სულიერ და ზნეობრივ პროპორციას და სჩადიოდა ღალატს, ან სხვა მძიმე დანაშაულს, მას არ კლავდნენ, მაგრამ იკვეთდნენ და აძევებდნენ თემის სივრციდან დედა-ბუდიან!..

ეს სათემო რჯულის სამართალი უნდა აღსდგეს და გავრცელდეს ნაცისტურ პარტიაზე ზოგადად და ცალ-ცალკე! მკვლელი-მოროდიორები და ისინი, ვისაც ქართული მენტალობის გაგონება არ უნდა, უნდა დაისაჯონ, ერთნი ციხეში ჯდომით, ნაწილი კი გაძევდნენ სხვა ქვეყნებში სათემო სამართლის მიხედვით.

* * *

როცა საკრალური ისტორიული თემიდან ბრუნდები „აპოკალიფსურ“ ქალაქში, რომელსაც შეცდომათა და ცოდვათა დამღა დაღავს, მითოსური სიბრძნე გეცხადება. იგი ამბობს:

ამირანმა დევის თავიდან ამოსული ჭიები გაუშვა – შეიწყალა! შეწყალებული ჭიები ვეშაპად იქცნენ და ამირანი ჩაყლაპეს!..

ივანიშვილმა სააკაშვილის ტვინიდან (სატანის თავიდან) ამოსული მაიმუნები შეიწყალა, ზოგი მათგანი მაიმუნადვე დარჩა, ხოლო ზოგი ხვლიკად, გიენად და ბეჰემოტად იქცა და ყველანი ერთად მასვე დაესიენ, ვინც შეიწყალა!..

არსებობს ფოლკლორული, ენიგმური დავალება ერისთვის: არასოდეს გაიმეორო ძველი შეცდომა, ისწავლე შენგან და მტრისგან ერთდროულად!

„ბილწთან ზავით შეკვრა“ თვითმკვლელობის ტოლფასია...

ვეშაპის მუცელში თუ მეორედ აღმოჩნდი, ველარ გამოხვალ იქიდან! ჩვენ რეალურად დავდექით ამ საფრთხის წინაშე!

* * *

მიმაჩნია (თუ მეჩვენება), რომ ირაკლი ღარიბაშვილი მარტოა ამ ვითარებაში (ივანიშვილი რამდენადმე საჭადრაკო დაფის გარეთ დგას) – მას არ ჰყავს საიმედო გარემოცვა. თუმცა ჩვენ, საზოგადოება უნდა ვეცადოთ, რომ ეს გარემოცვა საიმედოდ ფაქციოთ და ისინი აღვჭურვოთ ჩვენი თანადგომით...

„ცხენს ვაქცევ ცხენად, ქალს ვაქცევ ქალად““ – ბრძანებდა ხეთთა ერთ-ერთი მეფე უძველეს დროში. დიახ, ჩვენ, ადამიანები ადამიანებად უნდა ვაქციოთ და არა ურწმუნო ცხოველებად...

„კაცის კაცად ქცევა“, „ქალის ქალად ქცევა“, „გმირის გმირად ქცევა“, ზნეობრივი პერსონაჟის დაყენება კაცობრიობის ბნელ ღამეებშუ ადამიანთა ხვთიური მისიაა და ფოლკლორული თუ ანდრეზული სიტყვის მოტივაცია. ჩვენ ეს მისიაც უნდა აღვასრულოთ, როგორც მწერლებმა და კულტურის წარმომადგენლებმა...

მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ირაკლი ღარიბაშვილს სჭირდება უკეთესი გარემოცვა, ის თანდათან უფრო უნდა მიუახლოვდეს საკუთარ ხალხს და ისტორიას...

რა თქმა უნდა, მას სჭირდება მრჩეველი მწიგნობარიც, ვითარცა ჩვენს ბრწყინვალე მეფეებს ჰყავდათ. მე მის გასაგონად გამოვაქვეყნე ორი ეპისტოლე, ორი საგანგებო ესეი...

* * *

ხევსურეთში მისი მგზავრობისას მასთან ერთად ჩვენ ვერ ვიხილეთ ვერც ერთი მეცნიერი და ინტელიგენტი-ეთნოლოგი ამ კუთხიდან მკვეთრი ინფორმაციის მიმწოდებლები – ისინი, ვინც ფლობენ კუთხეთა და თემთა ისტორიულ არსს...

**მაგრამ მაინც მეტად მნიშვნელოვანია, რომ იგი, ჩვენი პრემიერი, მიუახლოვდა ქართული კულტურის საკრალურ სიმაღლეს – მუცოს! მიუახლოვდა არხოტს, ხოგაის მინდიას მითოსურ სამყაროს და იგი იწყებს შესვლას საკუთარი ერის და ისტორიის სიღრმეში მის გადასარჩენად!!! მადლობა უფალს ამ მნიშვნელოვანი პიროვნების გამოჩენისთვის.**

**თუ იგი შეძლებს ბოლომდე მიახლოებას დროსთან და თემ-სოფელთა ბედისწერულ მოვლენებთან – სამშობლო მას აქცევს გმირად! თუ იგი გადაარჩენს ერის „სოლარულ სივრცეს“, მთიანეთს, მისი ენერგეტიკა გააძლიერებს თვით მასვე...**

**აღდგენილი მუცო იქნება მსოფლიო მეცხრე საოცრება და მისი ქველობის მაუწყებელი ზიკურატი... მე პირადად მუცოს ბადალი არაფერი შემხვედრია დედამიწაზე პირამიდებისა და კატაკომბების ჩათვლით.**

აქვე მინდა ვთქვა და საგანგებოდ ვუთხრა ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს: **მწერალთა და მწიგნობართა ქვეყანაში ქართველ მწერლობას, მწერალთა ეროვნულ აკადემიას არა აქვს სახლი! ყველაფერი ჩამოერთვა სააკაშვილის მიერ. მან, ჩვენმა ახალმა პრემიერმა უნდა შექმნას სასახლე ეროვნული მწერლური გენის დამკვიდრებისთვის ან „პრეზიდენტის სასახლე“ ავლაბარში მთლიანად გადაეცეს ქართულ კულტურას და მწერლობას... ზოგადად ქართველი ერი ზნეობრივი კატეგორიაა, კულტურული ფენომენია, მისი მენტალობა სულიერ არსებაშია გაცხადებული და იმსახურებს მწერალთა ბრწყინვალე აკადემიის ქონას...**

* * *

დასასრულს ვიტყვი, რომ: გამოუსწორებელი შეცდომა იყო მათი დანაშაულებრივი ფაქტების განადგურება, რამაც ამ მოძალადეაჰიქსოსების წისქვილზე დაასხა წყალი. ჩვენ თავიდან დაგვჭირდება ამ კადრების აღდგენა და მოძიება: ჯილდოს დაწესება მათთვის, თუ ვინმემ მასალის გადარჩენა შეძლო...

უფრო მეტიც:

უნდა შეიქმნას ნაცების „დანაშაულთა ბანკი“ მათი ყველა ცოდვის შეკრებისთვის და შეიქმნას საგანგებო ტელევიზია მათი ინტენსიფიკაციისა და ტირაჟირებისთვის – არ უნდა დაიმალოს მათ მიერ ჩადენილი ვანდალიზმის, ტერორიზმის, სადიზმის, გაუპატიურების არც ერთი ფაქტი!

**ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებამ და თუნდაც ლტოლვილებმა ფონიჭალაში ის მაინც უნდა დაიჯერონ, რომ სააკაშვილს ომი არ მოუგია და ისინი ნამდვილად ლტოლვილები არიან!**

# ცოცხალთა და მიცვალებულთათვის, ანუ ვიხსნათ ევროკავშირი!

*ლექსი ეძღვნება ფილმის „გადაეცი ჩემს მეგობარს, რომ ცოცხალი ვარ“ სატელევიზიო ჩვენება-განხილვის მონაწილეებს და ფილმის რეჟისორს ნინო კირთაძეს.*

*(დოკუმენტური ფილმი „გადაეცი ჩემს მეგობარს, რომ ცოცხალი ვარ“, მოგვითხრობს მიცვალებულის გასვენებისა და დაკრძალვის ქართულ ადათ-წესებზე. ფილმი გადაღებულია სამეგრელოს რეგიონში).*

ვახტანგ ხარჩილავა

— ისინი გამოდიან ჭაობიდან
და ნისლიდან,
რომ სხეული შეიძინონ,
მერე კი ისევ უკან ბრუნდებიან, —
ამბობდა სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია,
რომელიც სინამდვილეში პოეტი იყო,
მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა.
„ისინი გამოდიან ჭაობიდან
და ნისლიდან“, —
მეგრელებზე ამბობდა ჯგერენაია,
თავადაც მეგრელი,
რომელიც ყოველგვარი გაუგებრობის
თავიდან ასაცილებლად,
ხშირ-ხშირად ხაზს უსვამდა,
რომ მეგრელი კი არის,
მაგრამ, რა თქმა უნდა, ქართველია.
ეს დაახლოებით ისე ჟღერდა,
როგორც ზურაბ ჟვანიას სიტყვები:
— მე ვარ ქართველი, მაშასადამე,
მე ვარ ევროპელი!
— მე ვარ მეგრელი, მაშასადამე,
მე ვარ ქართველი! —
ბრძანებდა ჯგერენაია.
რომლის გვარიც შეიძლება,
სიტყვა ჯგირს უკავშირდებოდეს,
შეიძლება ჯგრაგს...
ასეა თუ ისეა,
მეორე მეგრელის,
გიორგი გვახარიას მიერ
გადაცემა „ფსიქო“-ში მიწვეული
ჯგირი კოჩი ჯგერენაია
მიცვალებულების გასვენების
და დაკრძალვის
იმ რიტუალებზე საუბრობდა,
რომლებიც, მავანთა და მავანთა აზრით,
ეპოქის კონტექსტიდანაა ამოვარდნილი
და ცივილიზებული ერის პრესტიჟს
არ შეესაბამება.
— მიგვიღებენ კი ჩვენ, ასეთებს,
ევროკავშირში? —
იკითხა გოგი გვახარიამ.
(ჯგერენაია თუ მეგრელიც არის
და იმავე დროს არის ქართველი,
გვახარია მხოლოდ ქართველია,
რომელიც ისე ლაპარაკობს
სამეგრელოზე,
როგორც ათასობით კილომეტრით
დაშორებულ
ისტორიულ სამშობლოზე,
რომელთანაც არაფერი აკავშირებს,
გარდა გვარისა)
ჰოდა, ამ გვახარიამ იკითხა:
— მიგვიღებენ კი ჩვენ, ასეთებს,
ევროკავშირში?
ფილმის რეჟისორმა დაგვაიმედა,
რომ მიგვიღებენ,
რადგან ევროპელებს არაფერი აქვთ
საწინააღმდეგო,
ჩვენი მიცვალებული
თუნდაც ერთი კვირა გვესვენოს სახლში.
არც იმის წინააღმდეგნი არიან
ისინი
მიცვალებულს პირსახოცი, საპონი,
პირსაპარსი,
ჯაგრისები (კბილის, ტანსაცმლის)
სუნამოები და სხვა პირადი მოხმარების
საგნები ჩავატანოთ კუბოში.
ევროპელებს არც ის აშფოთებთ,
მიცვალებულის კუბოსთან
ქალები რომ ხმამაღლა მოსთქვამენ,
კივიან, ლოყებს იხოკენ,
მამაკაცები კი შუბლში იშენენ ხელებს.
ევროპელები მშვიდად უყურებენ თურმე
მიცვალებულისთვის საიქიოში
მყოფი ახლობლების სახელზე
წერილების გატანებისა თუ
ზეპირი ინფორმაციების
დაბარების ტრადიციასაც.
ევროპელები არც იმას აპროტესტებენ,
რომ ჩვეულებრივი გლეხის,
ვინმე ბონდოს თუ ძაბულის გასვენებაზე,
იმდენი ხალხი იკრიბება,
გეგონება, ცნობილი მსახიობი
ან პოლიტიკოსი გარდაიცვალაო.
ევროპელების შეშფოთებას მხოლოდ
ერთადერთი საკითხი იწვევს:
— ეს არის დროის პრობლემა!
— საიდან და რატომ გვაქვს ჩვენ
იმდენი დრო,
რომ მიცვალებულის სასთუმალთან
შვიდი (ხანდახან მეტი...)
დღე-ღამე ვათენოთ?
გაფლანგული დრო...
უაზროდ გახარჯული დრო...
როცა ყანა გაქვს გასათოხნი,
ჩაი მოსაკრეფი,
შენ კი მიცვალებულს დასტრიალებ
თავზე შვიდი დღე-ღამე.
მიცვალებულს, რომელსაც
ვერც მოთქმით და
ვერც ლოყების ხოკვით
გააცოცხლებ,
ვერც შუბლზე ხელების წაშენით.

* * *

„ჩქიმი სქვამი ოდაბადე,
სქანდა ბრელი მიღუ ორაგადე“ —
საიდანღაც ჩამესმოდა ეს მელოდია,
რომელიც გადაცემაში
არ ჟღერდა,
მაგრამ ის იგულისხმებოდა
და ნელ-ნელა მისრუტავდა,



როგორც თბილი ნისლი.
ეს ნისლი იყო ახლა ჩემი სხეული,
ხოლო ჭაობი — სამშობლო,
ფეხისგულებზე რომ აგკვრია
და არსად არ გიშვებს.

* * *
„ვაი, შური, საყვარელი,
ღურა მუში მამარდე რე.
რინაში ნება ქორდასნი
ქიანაში მუში მაფართა რე“.
ვაი, შური საყვარელი...
შური მეგრულად სულს ნიშნავს,
შურისძიებაო რომ ვამბობთ,
სულის ძიებას ვგულისხმობთ;
მშობლიური სახლის გარეთ
გარდაცვლილის
სულის ძიებას,
რომელსაც შინ უნდა დაბრუნება
და გზა ვერ გამოუგნია.

* * *
ის ქარაფიდან გადაიჩეხა...
ნისლის ბრალი იყო ყველაფერი —
იმის ნაცვლად რომ მოეხვია,
პირდაპირ წავიდა და ნისლში შეცურა.
მიჰქროდა ახლა სიკვდილისკენ
და გვერდით დედის კივილი მოსდევდა:
— ხვიჩა, ნანა სქუა...
— ხვიჩა, ნანა სქუა...
ის მიცურავდა ნისლში, სიკვდილისკენ
და კიდევ მამისკენ,
რომლის გადიდებული სურათი,
მთვარეში ჩადგმული,
ენგურს გაღმა, მთის წვერზე იდგა
და თითქოს თავისკენ უხმობდა.
... მეორე დღეს ჯერ მისი
სხეული წაასვენეს,
ხოლო  შემდეგ მისი სული
წაიყვანეს
სულის მაძიებლებმა —
ძაფი მანქანის საჭეს მიაბეს,
ის ძაფს გამოჰყვა
და კვლავ დაიწყო გზა შინისკენ.

* * *
ევროპისგან განსხვავებით,
სამეგრელოში ფიქრობენ,
რომ მიცვალებულის პატივისცემა
საკუთარი თავის პატივისცემაა,
რადგან შენც მომავალი
მიცვალებული ხარ
და როგორც ახლა მას მოექცევი,
ისე მოგექცევიან შენც,
როცა გარდაიცვლები.
ეს შენი გასვენებაცაა,
რეპეტიცია შენი მომავალი
გასვენებისთვის,
სადაც შენს როლს
სხვა ასრულებს.
შენს ნაცვლად სხვა წევს კუბოში,
მაგრამ მის გვერდით შენც ხარ,
შენც მის გვერდით იგულისხმები.
მიცვალებულისთვის კი არა,
შენთვის იდგმება
ეს დრამატული სპექტაკლი,
ეს შენ გარწმუნებენ,
რომ ხორცის უბრალო ნაჭერი
კი არ ხარ,
არამედ ხატი ღვთისა,
რომელიც კი არ კვდება,
არამედ გარდაიცვლება
და აქიდან,
დროებითი მიწერის ადგილიდან,
ახლა იქ გადადის,
სამუდამო საცხოვრებელში.
შენთვის, ცოცხლისთვის
მღერიან ამ სიმღერებს,
შენ გარწმუნებენ,
რომ მაშინაც არ მოკვდები,
როცა მოკვდები.
უბრალოდ, სხვაგან მიემგზავრები.
ამიერიდან შენ აქაც ხარ და იქაც.
შენ ხარ მეკავშირე
ცასა და მიწას შუა,
ზემო და ქვემო დასახლებას შუა,
მარადიული მეკავშირე,
მარადიული ინფორმატორი...

* * *
როგორც ვთქვით,
ევროპელებს უკვირთ
რატომ ვფლანგავთ ასე უაზროდ დროს,
რატომ ვხარჯავთ
ასე უაზროდ და უმიზნოდ დროს.
მაგრამ ევროპელებისგან განსხვავებით,
სამეგრელოში ფიქრობენ,
რომ სიყვარულისთვის
გახარჯული დრო
არ შეიძლება უმიზნო და უაზრო იყოს.
მართალია,
ის არც ევროებში გამოიხატება,
არც დოლარებში,
არც ლარებში,
მაგრამ, სამაგიეროდ,
ისეთ აუწონავ სიმდიდრეს ქმნის,
როგორიც გახლავთ სიყვარული.
ეს ისეთი სიმდიდრეა,
რასაც მეტს გასცემ,
მით უფრო ბევრდება,
რაც მეტს დახარჯავ,
მით უფრო მეტი გიბრუნდება უკან.
ესეც ბიზნესია,
სიყვარულის დიდი ბიზნესი,
სადაც ჩადებული
თითოეული წუთი
მარადისობად გიბრუნდება.

* * *
— მიგვიღებენ ჩვენ, ასეთებს,
ევროკავშირში? —
კითხულობდა გვახარია.
მოდით, ჩვენ თვითონ მივიღოთ
ეს ევროკავშირი ჩვენთან,
სამეგრელოს რომელიმე
მივარდნილ სოფელში
გავხსნათ სიყვარულის ბიზნესაკადემია
და შევასწავლოთ
სიყვარულის მარკეტინგი და მენეჯმენტი.
ამათ ჰგონიათ,
დოლარს პლუს დოლარი
უფრო მეტია,
ვიდრე სიყვარულს პლუს სიყვარული.
მოდით, გავხსნათ სამეგრელოს
რომელიმე სოფელში სიყვარულის
ბიზნესაკადემია და
ვიხსნათ ევროკავშირი!
ვიხსნათ ევროკავშირი!
დავეხმაროთ მას,
ხელახლა აღმოაჩინოს თავისი თავი
და თავისი მომავალი აქ, სამეგრელოში...

* * *
როდის მიხვდებიან ისინი,
რომ საავადმყოფოს
პალატაში მიტოვებული დედა
მიტოვებული ღმერთია,
რომელიც უმადურმა შვილებმა
მარტოობისთვის გასწირეს.
ხელნაკრავი ღმერთი,
უნუგეშებელი ღმერთი,
რომელიც კიდევ ერთხელ რწმუნდება
თუ რა საშინელია ადამიანი,
რომელიც ფულის მკეთებელ
რობოტად იქცევა.
ისინი დაღუპავენ დედამიწას
და თუ ვინმეს შეუძლია
მათი გადარჩენა
შეუძლია ძაბულის, ლებარდედან,
ან თუნდაც მზექალას, ბარისახოდან,
გნებავთ, ნათელას, მულახიდან.



# „მოვიაროთ საქართველო“ – მოგზაურთა კლუბი

## მოვიაროთ და მოვუაროთ საქართველოს

ძალზე მცირე ხანია, რაც შეიქმნა მოგზაურთა კლუბი „მოვიაროთ საქართველო!“ თითქოს არაფერია განსაკუთრებული და არც მისი დამფუძნებელია (ლაშა ჩხარტიშვილი) ამ საქმეში „პირველი მერცხალი“, საქართველოს გაცნობის მსურველ ადამიანთა ჯგუფები ყოველთვის ათვალიერებენ საქართველოს კუთხეებს, ისტორიულ მხარეებსა და ძეგლებს, მაგრამ არის მნიშვნელოვანი „მაგრამ“. კლუბის წევრები, საქართველოს რიგითი მოქალაქეები, დათვალიერებასთან ერთად ვასუფთავებთ კიდეც ჩვენივე თანამემამულეების მიერ დაბინძურებულ გარემოს (თუმცა, ხშირად სპეცტექნიკის გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია) და ერთმანეთის შეხედვისა გვერცხვინება, ნუთუ ჩვენ, ამ ულამაზესი და იშვიათი კულტურის მემკვიდრეები ვართ მისი პირველი გამანადგურებლები?


ჟინვალის წყალსაცავი


ნაგავი ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ფონზე

### მარშრუტი: თბილისი – ჟინვალი – ჩარგალი – შატილი – მუცო

შინიდან გამოსულს, პირველი, რაც თვალში მომხვდა, მეტრო „ღრმაღელეს“ ტერიტორიაა. სურათი, რასაც ხედავთ, არც მხოლოდ სან-ზონაშია და არც მხოლოდ თბილისში, სრულიად საქართველოს პრობლემაა. ერთია ამის ჩამდენი ადამიანების უკულტურობა, რომელთათვისაც სახლი საკუთარი საცხოვრებლის კარის გამოხურვისთანავე მთავრდება და მეორეა შესაბამისი სამსახურების უმოქმედობა – ვის ევალება ქალაქის დასუფთავება, ეს ხომ ერთ დღეს დაყრილი არ არის?

როგორც აღმოჩნდა, ექსკურსიაზე მიმავალი ადამიანების ერთ-ერთი შეხვედრის ადგილი ე.წ „კამოს ველოსიპედთან“ არის, თბილისის შუაგულში, ცენტრალურ ადგილზე, სადაც აუცილებლად ხვდებიან დედაქალაქის სტუმრები – ერთი სანაგვე ურნა არ დგას რომ კულტურულმა ადამიანმა სიგარეტის ნამწვი (ან სხვა) ჩააგდოს. ასეთ შემთხვევაშიც სხვადასხვაგვარად იქცევიან ადამიანები, უმეტესობა ტროტუარის კიდესთან აგდებს იმედით „ვილაც გახვეტავს“, ზოგი – სიმაღლიდან ისვრის ელბაქიძის დაღმართისკენ, მხოლოდ თითო-ოროლა ინახავს შესაბმის ადგილზე გადასაგდებად დასუფთავების სამსახურის მისამართით გამოთქმული ლანძღვის ფონზე. ერთის მხრივ დანაგვიანება და მეორეს მხრივ დასუფთავების სამსახურის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაც, ანუ შინაგანი უკულტურობაც გარეშე მტრისა თუ რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მოწყობილი დივერსია ხომ არ არის...

აღნიშნულ მარშრუტზე პირველი ტკივილი ჟინვალის წყალსაცავიდან იწყება, თუმცა ვიღაცისთვის წყალსაცავიც ულამაზესია, მითუმეტეს, რომ გვასწავლიან, ადამიანი საკვების გარეშე თუ ერთი თვე გაძლებს, წყლის გარეშე ერთ კვირას ვერ გაატანსო. წყალსაცავის მიერ დატბორილ ტერიტორიას აღარაფერი ეშველება, გადაყლაპა საქართველოს ისტორიის მოზრდილი ფურცელი თავის დიდებიანად (ეკოლოგიურ მომენტებზე არ ვამახვილებთ ყურადღებას), მაგრამ ახლა, როცა „ჰესების ბუმის“ წამოწყება დევდარაკის მყინვარმა დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ და დროებით ჩააფიქრა (არ გადააფიქრებინა, მაგრამ შეაყოვნა) „ჰესისტები“, კიდევ ერთხელ მოკლედ გავიხსენოთ, შეგნებულად რა ჩაძირეს 75-მეტრიანი სიღრმისა და 7/14-ზე კილომეტრის სიგრძე-სიგანის დაგუბებული არაგვის ფსკერზე.

### ჟინვალის წყალსაცავი

აქ მდებარეობდა შუა საუკუნეების მდიდარი ქართული ქალაქი ჟინვალი, რომელიც კავკასიის კარს აკონტროლებდა. წერილობით წყაროებში ჟინვალი იმ დროს ჩნდება, როდესაც დავით აღმაშენებელმა საქართველოში ყივჩაღები ჩამოიყვანა. შემდგომში, თამარ მეფის ბრძა-



ნებით დროებით სარგებლობაში გადაეცა ჭიაბერ მანდატურთუხუცესს. როდესაც ჭიაბერის სამარხი გათხარეს (დაახლოებით 45 წლის წინ. არქეოლოგი რამინ რამინიშვილი), უკვე გაძარცვული დახვდათ, მაგრამ თამარისდროინდელი 17 მონეტა მაინც იპოვეს, რომელიც მანამდე მხოლოდ ორი იყო მსოფლიოში, პეტერბურგსა და ინგლისში; რამდენიმე ადგილას XI-XII საუკუნეების 3100 მონეტაც აღმოჩნდა; ხელოსანთა დასახლებაში აღმოჩენილი იქნა „მინის ცრემლები“, (რომლებიც მხოლოდ იქ შეიძლება იყოს, სადაც არის ქურები და მინის ჩამოსასხმელი მილი) და მინის ფერადი ფლაკონები (ცალკე საკითხია კონკრეტულად დოკუმენტური ისტორია). ჟინვალის სამაროვნებშია ნაპოვნი ბეჭედზე ამოტვიფრული ღვთისმშობელი ყრმით, რომელიც 530-532 წლებით თარიღდება... არქეოლოგის თქმით, 7-8 ეკლესია გაუთხრელი დარჩა და მასთან ერთად წყალში ჩაიძირა აუარება ბრინჯაოს, რკინისა და ოქროს უნატიფესი ხელოვნების იარაღი და სამკაული...

იმავე წლებში, როცა ხევსურეთიდან რუსეთისკენ რკინიგზის გაყვანა დაიგეგმა და გათხრები ტარდებოდა, ჟინვალთან ახლოს, სოფელ დავათში აღმოჩნდა 368 წლით დათარიღებული სტელა ქართული ანბანით, რომელიც დავათის ეკლესიის სვეტში იყო ჩაშენებული და მის წინა, ხილულ ნაწილში თავზე ჯვრით გამოსახული ღვთისმშობელი ჩანდა. ქართული ანბანის ახალი დათარიღების საიდუმლო სტელას უხილავ ნაწილაში გამოჩნდა, ორ ანგელოზს ხელში ანი-დან ჰოემდე ქართული ასო-ბგერა უჭირავს და ზეცად ამაღლებს (ეს რომ პირველი ნიმუში არ იქნებოდა, ცხადია)...

### გზა

ბოლოს როდის გაიარა ჟინვალის ე.წ გადასახვევიდან ფშავ-ხევსურეთისკენ მიმავალ გზაზე რომელიმე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელემ, ვინ იცის, ფაქტია, რომ დღეს აღარ არის, მაგრამ იქ ოდესღაც ასფალტის გზა ყოფილა... თუმცა, მთლად ასეც არ უნდა იყოს საქმე, რადგან საარჩევნო ციებცხელების კვალი ვანდალურად აჩნევია კლდეებსაც და ვაი, სირცხვილო! – ვაჟას ძეგლსაც ჩარგალში! (სურათი. კლდის ფოტოს შეგნებულად არ ვდებთ, იმედია, მიხვდება ვისაც ეხება და ახლა მაინც გაასუფთავებს) ახლადდაგებული ასფალტი მხოლოდ ჩარგალის გადასახვევიდან ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმისა და მუზეუმისკენ მიმავალი გზიდან (3კმ) იწყება, ესეც, ალბათ, იმიტომ, რომ „ვაჟაობაზე“ ვერტმფრენით

ჩაფრენილ მაღალი რანგის მოხელეებს „ყველაფერი კარგად არის“ ეგონოთ, სხვა ახსნას ვერავინ უძებნის.

თბილისიდან შორს, მთაში, ჩარგალშიც იგივე მდგომარეობაა, რაც ბარში. დანაგვიანებული მდინარის ხეობის ფოტო ამჯერად ჩარგალშია გადაღებული, ვაჟას სახლ-მუზეუმის ფონზე (სურათი). დირექტორის თქმით, მათი დიდი მონდომებისა და ძალისხმევის მიუხედავად, ვერა და ვერ „მოახერხეს“ სანაგვე ბუნკერების დადგმა, არათუ ის, რომ სოფლიდან სისტემატიურად გაიტანონ ნარჩენები და ნაგვის ადგილი მდინარის ხეობის ნაპირები ხდება. ამას ისიც ერთვის, რომ ბუნებით აღფრთოვანებული ტურისტები (განსაკუთრებით უცხოელი) უკვე აღშფოთებულები აფიქსირებენ თავიანთი კამერებით მხოლოდ ქართველებისავე უპასუხისმგებლობით შექმნილ „სანაგვე მუზეუმს“.


ფშავ-ხევსურების შეხვედრის ადგილი

## შატილი

მოგზაური ავად თუ კარგად გაივლის ფშავ-ხევსურების საბრძოლველად თავშეყრისა და ამავდროულად შავი და თეთრი არაგვის შეერთების ადგილზე (შუაფხოს გადასახვევი სურათი) გადებულ ხიდს და შატილისკენ მიმავალ მთებს შეუყვება – ადამიანმა ერთხელ მაინც უნდა განიცადო ღრუბლებზე მაღლა ყოფნა და შეიგრძნო, რომ იმ სილამაზის პატრონი ხარ, რაც უფლის განგებით გებოძა.

შატილი, ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი უნიკალური ცოცხალი ძეგლი კლდეზეა შეფენილი, რომელიც საუკუნეების მანძილზე დარაჯობდა საქართველოს ჩრდილოეთ გადმოსასვლელებს და ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც. შატილის სახე სრულად არის შემონახული (აქა-იქ ძვლებისგან შეკრული გადასასვლელები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო მთელი ციხესიმაგრის შემოვლა ე.წ ქუჩაში გამოუსვლელად), რაც სხვათაშორის, კომუნისტების (კონკრეტულად, შევარდნაძის, რომლის ძალისმევითაც იმავე წლებში თუშეთში გზის გაყვანაც გადაწყდა) დამსახურებაა, 1970 წელს მათ დაიწყეს შატილის რესტავრაცია-ადაპტაცია.

შატილიდან მუცოსკენ მიმავალ გზაზე უცნაური სილამაზის მთა-სვეტები ამოიზიდება უეცრად – ეს უბრალოდ, უნდა ნახო...

## მუცო

ალპურ ზონას გადაცდები და პირიქითა ხევსურეთში მუცოს ლეგენდარული ციხესიმაგრე გაგაოცებს, რომელიც ჯერ მხოლოდ იმიტომ არის ლეგენდარული, რომ მტერმა ვერასდროს აიღო. ანკი როგორ აიღებდა, როცა ციცაბო კლდეზე აგებული ციხე-ქალაქი სამი მხრიდან მიუვალია, მეოთხე მხრიდან კი საცალფეხო ბილიკი მიუყვება. თვით სიმაგრეში ვიწრო „ქუჩები“ და კოშკებში შესასვლელი ისეთი დაბალი თაღებია, მხოლოდ პატარა ბავშვი შეირბენს, მოზრდილმა კი თავი უნდა დახაროს და წელში სანახევროდ მოიღუნოს, ანუ ფაქტობრივად, ვინიცობაა რამენაირად მეციხოვნეებს მაინც გაუსხლტებოდა და ციხე-ქალაქში შეაღწევდა, მომხვდურს კისერი უნდა შეეშვირა დამხვდურის ხმლისთვის...



მუცოს ციხე-კოშკებისკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკზე, სამაროვნებში, დღემდეა შემონახული ადამიანის ძვლები, რომლებიც სიკვდილის მოახლოების დროს საკუთარი ფეხით გადიოდნენ ციხე-ქალაქიდან და მოთმინებით ელოდნენ აღსასრულს...

ლეგენდარული მუცოს ციხე-სიმაგრე მტერმა ვერ დაანგრია, მაგრამ რომ არა ახალი ხელისუფლების მიერ გამოჩენილი ყურადღება, ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა მიწასთან გასწორებულიყო, რადგან გადაიხსნა ყველაზე მაღლა მდგომი, შეთეკაურების კოშკი და ვინაიდან მუცო ტერასული განლაგებისაა, დომინოს პრინციპით გადაიყოლებდა მუცოს მნიშვნელოვან ნაწილს.

ვინმეს წინაშე რევერანსები რომ არ გამოვიდეს, განვმარტოთ – წლები გადიოდა, მუცოს გადარჩენის პროექტი არსებობდა, მნიშვნელოვანი თანხები იყო დახარჯული მისი რეაბილიტაციის პროექტის მომზადებაზე, 2008 წელს თითქოს დააპირეს კიდეც გამაგრება, მაგრამ შემდეგ იყო აგვისტოს სამდღიანი ომი და მუცო აღარავის გახსენებია, თუმცა, არაერთი ძვირადღირებული, მაგრამ არაფრის მაქნისი და არანაირი კულტურული ღირებულების მქონე პროექტი განხორციელდა. მიზეზი არ ილეოდა, მათ შორის „გონივრული“, მიუვალ ადგილზეა და სამშენებლო მასალის მიტანის პრობლემააო, არადა, თურმე მთავარი მონდომება ყოფილა. როგორც ადგილზე გვითხრეს, 2018 წელს მუცო აღდგენილი იქნება. რა პროექტით ხორციელდება მუცოს აღდგენა, ვერ დაგვიკონკრეტა იმჟამად იქ მყოფმა მომუშავე პერსონალმა, მაგრამ არსებობდა მუცოს განახლების სამგანზომილებიანი მაკეტი, რომელიც კლდეზე დაკიდებული ციხე-ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა.


მუცოს სამაროვნები


მთის დუში

არსებობს გადმოცემა, რომ თასგანძს, შეთეკაურების გვარის მეგანძურს ებარა მუცოს საგანძური. სულ ბოლოს, დაახლოებით ორი საუკუნის წინ, განძი ებარა ფაცაცა შეთეკაურს. ყველა მუცოელი კარგად ცოცავდა კლდეებზე, მაგრამ მეგანძურს განსაკუთრებულად კარგი ცოცვა უნდა შეძლებოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში განძი უვნებლად გაეტანა და დაემალა, ხოლო სად დამალავდა, ვინიცობაა რამე მოსვლოდა, კიდევ ერთ კაცს უნდა სცოდნოდა. ფაცაცა ისე გარდაიცვალა, არავინ იცის მის გარდა კიდევ ვინ იცოდა, თუმცა, თვლიან, რომ სალოცავი თვითონ გამოაჩენს იმ ადგილს, სადაც მარხია. მთის რწმენა იმდენად დიდია, რომ მესამე საუკუნეა სადღაც მარხია მუცოს განძი, მაგრამ იმდენად წმინდაა, რომ მისი დაუფლება არავის უცდია...

**„მოგზაურთა კლუბის“ ერთ-ერთი წევრი, საქართველოს რიგითი მოქალაქის თვალით დანახული რეალობა. (შემდეგი მარშრუტი: თბილისი – წალკა – ბერთას მონასტერი – დაშბაშის ბუნებრივი ძეგლი – მანგლისის ეკლესია)**

**(გაგრძელება იქნება)**

„ეს ყველა ქართველმა უნდა იცოდეს! ეს მთელ მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ! გამომდინარე იქიდან, რომ **Facebook**-მა დაბლოკა ეს სტატია, გადავწყვიტე ახლიდან დამედო“, — წერს ერთ-ერთი ფეისბუქმომხმარებელი. რაც მასშია ნათქვამი, ამაზე საუბარი მუდამ აკრძალული გვაქვს ქართველებს, არადა, უსასრულო ფაქტებია იმისა, რომ საქართველოს ისტორიას გამუდმებით გვიყალბებენ ყველა დროში. ბოლო დროს ამას ისიც დაერთო, რომ ვიღაცები ქართველებისავე ხელით თუ ენით გამუდმებით აკნინებენ ყოველივე ქართულის არსს...

ვინც მეტ-ნაკლებად იცის **Facebook**-ი, ისიც იცის, რა შემთხვევაში და რა სახის ინფორმაცია იბლოკება, თუმცა, ვნახოთ, ამჯერად რა დაბლოკა **Facebook**-მა და რატომ დაბლოკა, დასკვნა კი თავადვე გამოვიტანოთ (ტექსტი ოდნავ შემოკლებულია)

# მსოფლიო ცივილიზაცია კოლხურ „ოქროს საწმისზე“ აღმოცენდა

## რა ინფორმაცია დაბლოკა Facebook-მა და რატომ?



„დავიწყოთ საყოველთაოდ აღიარებული ფაქტით: — ძველი ელინური ცივილიზაცია ამჟამინდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე მას შემდეგ აყვავდა, რაც მან უმოწყალოდ გაანადგურა და შთანთქა მისი წინამორბედი, პროტოქართული, იგივე პელაზგური ცივილიზაცია. ნამდვილად არ არის საკამათო ის, რომ ინდოევროპული წარმომავლობის უძველეს ბერძნულ ცივილიზაციამდე ამ სავრცეში არსებობდა მართლაც უნიკალური პროტოქართული ანუ პელაზგური ცივილიზაცია. ამ დაპირისპირებაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბროთ, მანამდე კი ერთ საინტერესო რამეს ვიტყვი: ჩვენში დიდი თუ პატარა დარწმუნებულია, რომ კოლხეთის მეფე აიეტის ქალიშვილმა მედეამ მამას და სამშობლოს უღალატა, ბერძნებს ოქროს საწმისი გაატაცებინა და ასე შემდეგ, მაგრამ საქმე სულ პირიქითაა — არგონავტებმა მედეა მოიტაცეს! თვით „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტეს უძველეს და უნიკალურ ნაშრომებშია დაფიქსირებული... აი, რას წერს ჰეროდოტე თავის ცნობილი „ისტორიაში“ (წიგნი, „კლიო“): — „ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს; გრძელი ხომალდით მისცურეს აია-კოლხიდაში, მდინარე ფაზისთან და იქ გააკეთეს ის, რისი გულისთვისაც მოვიდნენ, მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ გააგზავნა ელადაში მოციქული, რომ მოეთხოვა სამართალი მოტაცებისთვის და უკან გამოეთხოვა ასული; ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც მათ უგიათ პასუხი მათ წინაშე არგოსელი იოს მოტაცებისთვის და ამიტომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე...“

ჰეროდოტე მედეას მოტაცების ამბავს ასე აგრძელებს: — „ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ, ალექსანდრე პრიამოსის ძემ ამის შემდეგ მოინდომა რომ თავისთვის ელადადან მოეტაცა ქალი. მან კარგად იცოდა, რომ არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგან არც იმათ უგიათ თავის დროზე პასუხი. ასე მოიტაცა მან ჰელენე... ტროელებმა თავი იმით იმართლეს, რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოტაცება... ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისთვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიამოსის ძალაუფლება დაამხეს...“ ანუ ჰეროდოტე მოგვითხრობს პარის პრიამოსის ძის (ალექსანდრეს) მიერ ელენეს მოტაცებაზე და ამ ამბიდან გამომდინარე დაწყებულ ბერძენ-ტროელთა ომზე, რაც ტროას უძველესი კულტურის დამხობით დასრულდა... თუმცა, ტროელები იყვნენ პროტოქართული, პელაზგური წარმოშობის ხალხი! (ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავი კვლევები)

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ბორის გრეინშპოლი თავის ნაშრომში „ტროელები და ბერძნები“ პირდაპირ წერდა: — ქართველებმა დედამიწაზე პირველებმა მოაშინაურეს ცხენი და როგორ ჩანს, ავსტრიამდე მივიდნენ, სადაც ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 2800 წელს შექმნეს ბადენური კულტურა. როგორც ჩანს, ქართველები იყვნენ ლეგენდარული ტროელებიც, მათგან დღეს მხოლოდ ერთი ხალხი დარჩა — ქართველები...“

მოკლედ, ბერძნებმა პროტოქართული ცივილიზაციის ნანგრევებზე ააშენეს თავიანთი კულტურა და იმავდროულად ისტორიაც საფუძვლიანად გააყალბეს!..

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მედეა არ იყო მოღალატე! მედეას არ მოუკლავს თავისი შვილები! მედეა, არგონავტებმა, მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ყველაზე უსინდისო სტუმრებმა გაიტაცეს ოქროს საწმისთან ერთად! და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უთვალსაჩინოესი — ტროას კულტურა პროტოქართული იყო! უძველესი ქართულ-იბერიული ცივილიზაცია, გარკვეულწილად, ყველა იმ ცივილიზაციათა მშობელია, რომლითაც ასე ამაყობს კაცობრიობა და რომლებზეც დგას თანამედროვე მსოფლიო!

მთელ მსოფლიოში ცნობილია ასეთი მარტივი ვერსია — არგონავტები გემით მიცურდნენ აიეტის კოლხეთის უძველესი სამეფოს ნაპირებთან და იქიდან უდიდესი საგანძურით, ოქროს საწმისით დაბრუნდნენ სამშობლოში. ჯერ ერთი, ოქროს საწმისი საიუველირო ნივთი და ძვირფასეულობა არ იყო; მეორე — რეალურად ვინ იყვნენ „არგონავტები“? თუმცა ჯერ ის ვთქვათ, რას წარმოადგენდა არგონავტების გამოჩენამდე პროტოქართული და პროტოკოლხური ცივილიზაცია. მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიურ ენციკლოპედიებში შავით თეთრზე წერია, რომ დიდი ალბათობით, პროტოქართული და პროტოკოლხური ცივილიზაცია უმთავრესი ცივილიზაცია იყო! თავად განსაჯეთ:

აიეტი — კოლხეთის მეფეა!

პერსი — აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში!

ალოიე — აიეტის კიდევ ერთი ძმა, მოიხსენიება როგორც „დაფქვილი პურის ღმერთი“!

აიეტის დები:

ქალიფსო (კალიფსო) — ანუ „ქალი ფსოუდან“, მოიხსენიება როგორც ქალღმერთთა ღმერთი, რომელიც ფლობდა კუნძულ ოგიგიას ხმელთაშია ზღვის დასავლეთში!

ფაცია (ფასოფეა) — მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი, ლეგენდარული არიადნას დედა!

ცირა (ცირცეა) — კუნძულ ეას (აიას) ოქროსფერთმიანი დედოფალი, რომელიც თითქმის ყველა ევროპელი ხალხის მითიურ დედად ითვლება! (ცირა ითვლება იტალიის პირველი მეფის ავსონის დედად; ასევე დედად იტალიისა, რომლის სახელითაც აპენინის ნახევარკუნძულს დღეს მთელი მსოფლიო „იტალიას“ უწოდებს და ა.შ)

და ვინ იყვნენ ამ დროს „არგონავტები“, უძველესი ბერძნული ცივილიზაციის წარმომადგენლები? არა! და ეს დასტურდება უპირველეს ყოვლისა მარტივი ქრონოლოგიით.

ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ბერძნებმა ტროას უძველესი პროტოქართული ცივილიზაცია ჩვ. წ. აღ-მდე მე-13 საუკუნეში დაამხეს, „არგონავტები“ კი ამ მოვლენებამდე, სულ ცოტა, რამდენიმე ასეული წლით ადრე ეწვივნენ კოლხეთს. ანუ ეს ის პერიოდია, როდესაც ბერძნებს ჯერ არ ჰყავდათ არც „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტე, არც უდიდესი მოაზროვნე პლატონი და არც „ილიადას“ ავტორი ჰომეროსი.

ცნობილია ისიც, რომ იაზონს და მის არგონავტებს ხომალდ „არგოს“ („სწრაფი“) მშენებლობაში თვით ქალღმერთი ათენა (ანუ თვით სიბრძნე) ეხმარებოდა! ბერძნები ისე ძალიან იყვნენ დაინტერესებულები კოლხეთის სამეფოში დავანებული ოქროს საწმისით, რომ მათ თავად ათენა დაეხმარა. „ოქროს საწმისი“ უბრალოდ, ოქროსფრად მოელვარე ცხვრის ტყავი კი არა, ისეთი განსაკუთრებული რამ იყო, რის გარეშეც ბერძნებს არ შეეძლოთ არსებობა!

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად ვინ არიან ეს არგონავტები:

უფლისწული იაზონი, ჰერაკლე (ზევსის შვილი), თეზევსი (ასევე ზევსის შვილი და ათენის დამაარსებელი), პროკრუსტე, სიზიფე, ლაერტი, პოლიდევკი, ავგეა (ცნობილი თავლების მეპატრონე), ავთოლიკე (ელინებს შორის უეშმაკესი და უფლიდესი ღმერთის, ჰერმესის შვილი), ასკლეპიოსი (მედიცინის ღმერთი), ანთეოსი, ორფეოსი (პოეტთა პოეტი), კენეუსი (რომელიც ქალად იყო გარდასახული) და ათობით ასეთი ღმერთი თუ ნახევრად ღმერთი — ზევსის, პოსეიდონის, აპოლონისა და დიონისეს შვილები.

მოკლედ, „არგონავტები“, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მსოფლიო ნაკრებია, რომლებიც სხვა და სხვა ეპოქის შვილები იყვნენ და შეუძლებელია ერთ ხომალდზე მოხვედრილიყვნენ!

ანუ, რომ გავამარტივოთ, ბერძნებმა შექმნეს მითი, თითქოს „არგონავტების“ სახით კოლხეთში ჩავიდა მსოფლიო ნაკრები, რომელმაც, რა თქმა უნდა, დაამარცხა ფოთის „კოლხეთი“! სინამდვილეში — „არგონავტების“ მიერ კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი აფერა და დანაშაული! სწორედ „ოქროს საწმისის“ ელადაში ჩატანას უკავშირდება იმ ძველი ბერძნული ცივილიზაციის რენესანსი რომლითაც ასე აღტაცებულია მთელი კაცობრიობა. ანუ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველი ბერძნული ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან გატაცებულ სიბრძნეზე აღმოცენდა!

ეს არ არის ქართული ეთნოცენტრიზმი და ურაპატრიოტიზმი! ჩვენ ვეყრდნობით ათასწლეულების ისტორიულ გამოცდილებასა და ლოგიკას. ბოლოს და ბოლოს, ქართველებს ხომ არ აღმოგვიჩენია, რომ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაცია პროტოიბერიულ-პროტოქართული იყო, ამას მსოფლიო დონის მკვლევარები ამტკიცებენ!



თვით ის ფაქტი, რომ იმდროინდელი „წმინდა გრაალი“ — „ოქროს საწმისი“ სწორედ კოლხეთში იყო დავანებული და მის მოსაპოვებლად ძველმა ბერძნებმა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ავაზაკობა ჩაიდინეს, ბევრ რამეზე მეტყველებს... თუმცა, ეს ამბავი მხოლოდ ბერძნული ცივილიზაციის აყვავებით არ დასრულებულა — ბერძნულმა ცივილიზაციამ შვა რომაული ცივილიზაციაც, ანუ ის ცივილიზაცია, რომელმაც საფუძველი დაუდო თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას...

სწორედ ამაშია „არგონავტების მითის“ მთავარი საიდუმლო — თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია კოლხურ „ოქროს საწმისზე“ აღმოცენდა!..“